

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა

გიგი ელიზბარაშვილი

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
სადისერტაციო ნაშრომი

პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების
ძირითადი გზები
(საქართველოს მაგალითზე)

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

თბილისი
2025

სარჩევი

აბსტრაქტი.....	2
შესავალი	5
თავი I. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თეორიული საფუძვლები	12
I.1. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის არსი	12
I.2. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შესახებ თეორიული შეხედულებების ევოლუცია.....	23
I.3 ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების ეკონომიკური მაჩვენებლები	37
თავი II. პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ძირითადი სირთულეები და გამოწვევები	49
II.1. ნეკროეკონომიკა როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დაუძლეველი წინაღობა	49
II.2. რეტროეკონომიკა, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ძირითადი შემაფერხებელი ბარიერი.....	62
II.3. „ლიდერი“ და „აუტსაიდერი“ პოსტკომუნისტური ქვეყნების უმთავრესი გამოწვევები.....	72
თავი III. ქვეყნის თანაზომიერი განვითარების ინდიკატორები და საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითადი გზები.....	86
III.1. ქვეყნის თანაზომიერი განვითარების არსი და ინდიკატორები	86
III.2. ქვეყნის თანაზომიერი განვითარების ინდიკატორები: საქართველოს მაგალითი და საერთაშორისო გამოცდილება	98
III.3. საქართველოს ეკონომიკის მომხმარებელი ხასიათი და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოდელი, როგორც საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობა.....	127
დასკვნები და რეკომენდაციები	153
გამოყენებული ლიტერატურა	161
დანართი 1.....	182
დანართი 2.....	184
დანართი 3.....	253

გრაფიკები

2.3.1 „GDP მოსახლეობის ერთ სულზე, მიმდინარე და PPP ფასებში (1994-2029 წწ.).....	76
3.1.1 „თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონი“.....	96
3.1.2 „არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონი“.....	97
3.1.3 „მნიშვნელოვნად არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონი“.....	97
3.2.1 „საქართველოს K_{R1} , K_{R2} , K_{C1} და K_{C2} კოეფიციენტების დინამიკა“.....	101
3.3.1 „საქართველოს სამომხმარებლო კალათის წონების დინამიკა.....	131
3.3.2 „საქართველოს სამომხმარებლო კალათის პროდუქციის წილების დინამიკა.....	135

დიაგრამები

3.1.1 „დედაქალაქის მოსახლეობის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში“.....	91
3.2.1 „საქართველოს K_{R1} , K_{R2} და K_{C2} კოეფიციენტების დინამიკა“	103
3.2.2 „საქართველოს K_{R1} , K_{R2} , K_{C1} და K_{C2} კოეფიციენტების საშუალო მაჩვენებლები“	105
3.2.3 „ქვეყნების K_{R1} , K_{R2} , K_{C1} და K_{C2} კოეფიციენტების დინამიკა“	109
3.2.4 „ K_{R1} კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობები“	117
3.2.5 „ K_{R2} კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობები“	118
3.2.6 „ K_{C1} კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობები“	119
3.2.7 „ K_{C2} კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობები“	120
3.2.8 „ K_{R1} , K_{R2} , K_{C1} და K_{C2} კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობები“	123
3.3.1 „საგარეო სავაჭრო სალდო“.....	129
3.3.2 „საქართველოს სამომხმარებლო კალათის საშუალო წონები.....	132
3.3.3 „გრაფიკი 3.3.2-ის შესაბამისი საშ. მაჩვენებლები წრიული დიაგრამებით.....	135
3.3.4 „ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდა კლებადობით (%)“.....	145
3.3.5 „კორექტირებული ეკონომიკური ზრდა კლებადობით (%)“	145

ცხრილები

2.3.1 „GDP მოსახლეობის ერთ სულზე მიმდინარე ფასებში“.....	80
2.3.2 „GDP მოსახლეობის ერთ სულზე PPP-ის მიხედვით“.....	81
2.3.3 „საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის ‘კიბე’“.....	82
3.2.1 „საქართველოს დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები“	99
3.2.2 „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინდიკატორები“.....	100
3.3.1 „საქართველოს საგარეო ვაჭრობა (მლნ. აშშ დოლარი)“.....	128
3.3.2 „საქართველოს სამომხმარებლო კალათის წონები (%)“.....	131
3.3.3 „საქართველოს სამომხმარებლო კალათის წილები (%)“.....	133
3.3.4 „ფაქტობრივი და „ჰიპოთეზური“ საშ. ეკონომიკური ზრდა“.....	143

აბსტრაქტი

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ამავე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია. კონკურენტუნარიანია ქვეყანა, რომელშიც სულ მცირე, წარმოება ზრდადი, ეკონომიკური მაჩვენებლები კი სტაბილურია. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას, უმუშევრობის დონის შემცირებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, რაც ნებისმიერი ქვეყნის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი მიმართულია ქვეყანაში ცოდნის ეკონომიკის დანერგვის, წარმოების სტიმულირებისა, და თანაზომიერი განვითარების უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებების განხილვაზე. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის უმთავრეს მიზანს პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითადი გზების განსაზღვრა წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის მთავარი ამოცანაა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის თეორიული საფუძვლების დეტალური შესწავლა, საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და კონკურენტუნარიანობის ზრდის ძირითადი საშუალებების განსაზღვრა.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხები და მასში გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაცია პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მკვლევრებისთვის მნიშვნელოვანია. ნაშრომში აგრეთვე განხილულია კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის აუცილებელი საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე, რაც ასევე საინტერესო იქნება პოსტკომუნისტური საქართველოს და მისი ეკონომიკის ევოლუციის კვლევით დაინტერესებული პირებისთვის.

Abstract

The competitiveness of a country is an important determinant of its social and economic well-being. A competitive nation stands out for its increasing production capacity and for the stability of its economic indicators, which in turn ensure the growth of direct foreign investments, a reduction in unemployment, and an improvement in the living standards of the population - the primary concerns of any nation.

This thesis focuses on the necessary measures for introducing a knowledge economy in Georgia, stimulating production, and ensuring balanced development. The main goal of the thesis is to determine the leading methods that can be applied to enhance economic competitiveness in a post-communist society. Accordingly, the work comprises a detailed study of the theoretical foundations of the country's competitiveness, an analysis of the economic situation of post-communist countries since the collapse of the Soviet Union, and the determination of the main means for growing competitiveness.

The issues discussed in this thesis, and the statistical information applied, are relevant to researchers of the economic competitiveness of post-communist Georgia. The paper also discusses the analysis of the economic indicators of the country - a factor that is vital in growing its competitiveness - from the collapse of the Soviet Union to the present day. This will also prove interesting for those looking to research the evolution of post-communist Georgia and its economy.

შესავალი

თემის აქტუალობა. კომუნისტური რეჟიმის ნგრევის შემდეგ მასში შემავალი ქვეყნები, მათ შორის საქართველოც საკმაოდ მძიმე რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ. ამ რეალობაში ქვეყნებს წარსულის მემკვიდრეობად მოშლილი ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა, ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაცია, საწარმოო რესურსების სიმცირე, უმუშევრობის ზრდა და სხვა მრავალი პრობლემა მოეწინააღმდეგებოდა.

პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა თავიანთი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება დაიწყეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზით, რისთვისაც საჭირო იყო მრავალი მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელება.

ზოგიერთმა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ შედარებით უმტკივნეულოდ განვლო გზა საბჭოთა კავშირის დაშლიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისკენ, შეუერთდა ევროკავშირის დიდ ოჯახს და „ლიდერ“ პოსტკომუნისტურ ქვეყანად იქცა, თუმცა დანარჩენი ე.წ. „აუტსაიდერი“ პოსტკომუნისტური ქვეყნები, დღესაც კომუნისტური რეჟიმის დანატოვარი მძიმე ტვირთისგან გათავისუფლების, გლობალიზაციისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზას ადგანან (მექვაბიშვილი, 2018, გვ. 240). აუტსაიდერ პოსტკომუნისტურ ქვეყანათა რიცხვს, სამწუხაროდ, მიეკუთვნება საქართველოც.

პოსტკომუნისტური ქვეყნების, განსაკუთრებით კი აუტსაიდერ ქვეყანათა უმთავრეს გამოწვევას ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს, რომელიც მიიღწევა ქვეყნის მრავალმხრივი და არა რომელიმე ერთი სექტორის განვითარებით. ამასთან, ლიდერი პოსტკომუნისტური ქვეყნებიც მუდმივად ცდილობენ საერთაშორისო ასპარეზზე თავიანთი პოზიციების განმტკიცებას, რაშიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე დიდ როლს თამაშობს. იმისათვის, რომ პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა მიაღწიონ ეკონომიკური ზრდის მაღალ დონეს და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საჭიროა ქვეყნებმა ორიენტირი გააკეთონ შემდეგზე:

- ცოდნის ეკონომიკის დანერგვა და განვითარება;
- ნეკროეკონომიკის მაქსიმალურად აღმოფხვრა და რეტროეკონომიკის მინიმიზაცია;

- კერძო სექტორის ხელშეწყობა კერძო ინვესტიციების მოზიდვის საშუალებით;
- აქცენტი წარმოების ზრდაზე იმ სეგმენტში, რომელიც ყველაზე დიდ უკუგებას მოუტანს ეკონომიკას;
- ქვეყნის არათანაბარი განვითარების მინიმიზაცია რეგიონების განვითარების ხელშეწყობის გზით.

ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდა, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ და დღესდღეობით ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს.

კვლევის პრობლემის მდგომარეობა. დღეისათვის კონკურენტუნარიანობის ცნების განმარტების მრავალი მცდელობა არსებობს, მიუხედავად ამისა ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არის ჩამოყალიბებული კონკურენტუნარიანობის ერთიანი განმარტება, რომელიც სრულფასოვნად ასახავს მისი, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსს. ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, ართულებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების ისედაც რთულ და შრომატევად პროცესს, თუმცა როგორც ზოგადად კონკურენტუნარიანობის, აგრეთვე ეროვნული კონკურენტუნარიანობის ცნების ირგვლივ არსებული მოსაზრებების მრავალფეროვნება, ადასტურებს მის მნიშვნელობას და აქტუალობას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

პოსტკომუნისტური ქვეყნების დიდი ნაწილი დღეისათვის დგას იმ უმნიშვნელოვანესი გამოწვევის წინაშე, რასაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის უზრუნველყოფა ჰქვია. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ ქვეყანათა უმეტესობაში გაბატონებულია ნეკროეკონომიკა და დაბალხარისხიანი წარმოება, მათი კონკურენტუნარიანობის ზრდა დაკავშირებულია საკმაოდ ხანგრძლივ და დაუდალავ პროცესთან, რომელიც მოითხოვს აქტიურ ჩართულობას, როგორც მთავრობის, აგრეთვე მოსახლეობისა და კერძო მეწარმეების მხრიდან.

მიზანი და ამოცანები. წინამდებარე სადოქტორო კვლევის მიზანს წარმოადგენს პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითადი

გზების ძიება, მათი შესწავლა და შემდგომ შეფასება. ამრიგად, აღნიშნული მიზნის მისაღწევად წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში დეტალურად არის განხილული:

- ქვეყნის კონკურენტუნარიანობის არსი და მისი შეფასების ეკონომიკური მაჩვენებლები;
- ნეკროეკონომიკა, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის დაუძლეველი წინაღობა;
- რეტროეკონომიკა, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ბარიერი;
- „ლიდერი“ და „აუტსაიდერი“ პოსტკომუნისტური ქვეყნები და მათი მთავარი გამოწვევები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისკენ მიმავალ გზაზე;
- ქვეყნის თანაზომიერი განვითარების მნიშვნელობა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის და მისი შეფასების ინდიკატორები;
- საქართველოს ეკონომიკის მომხმარებლური ხასიათი და შესაბამის დარგებში წარმოების ზრდის აუცილებლობა;
- ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოდელი, როგორც საქართველოს კონკურენტუნარიანობის ზრდის საშუალება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ამოცანებს წარმოადგენს:

- ქვეყნის კონკურენტუნარიანობის თეორიული საფუძვლების დეტალური შესწავლა და ანალიზი;
- პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე, მათი კონკურენტუნარიანობის შეფასების მიზნით;
- პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდის ძირითადი საშუალებების განსაზღვრა და ანალიზი.

ამრიგად, სწორედ ეს არის გზა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია პოსტკომუნისტური ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი

ბარიერების განსაზღვრა, შეფასება, შემდგომ კი მათი აღმოფხვრისთვის საჭირო სტრატეგიების შემუშავება.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში აგრეთვე გაანალიზებულია პოსტკომუნისტური ქვეყნების კონკურენტუნარიანობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება საბჭოთა კავშირის დაშლიდან 2029 წლამდე, რაც გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ, როგორც ქვეყნების წარსული და აწმყო მგომარეობა, აგრეთვე განვსაზღვროთ სამომავლო პერსპექტივები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. წინამდებარე კვლევისთვის გამოყენებულ იქნა ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები. გარდა ამისა, ნაშრომის პრაქტიკული მხარე ეფუძნება უკვე არსებული სტატისტიკური ინფორმაციების შეგროვებას, ანალიზსა და შესაბამისი სახით ნაშრომში ასახვას. კვლევაში აგრეთვე გამოყენებულია მათემატიკური ფორმულირებები.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში განხილულია როგორც კლასიკოსი მეცნიერების მიერ წარმოდგენილი თეორიები, აგრეთვე არსებული რეალობიდან გამომდინარე, თანამედროვე მკვლევრების მიერ შემუშავებული მიდგომები, რაც თეორიული და ემპირიული ანალიზის სინთეზს ქმნის. ნაშრომში აგრეთვე ავტორის მიერ არის დამუშავებული სხვადასხვა სახეობის სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც თვალსაჩინოს ხდის პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლების დროში ცვლილებას და აიოლებს მსჯელობას მათი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზების ძიებისკენ.

ნაშრომის თეორიულ ნაწილში წარმოდგენილია როგორც ქართველი, აგრეთვე უცხოელი ავტორების ნაშრომები. ემპირიულ ნაწილში კი, გაერთიანებულია სტატისტიკური მონაცემები საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე.

გარდა ამისა, სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია ავტორისეული მიგნებები, ამ მიგნებებზე დაფუძნებული სტატისტიკური მონაცემების რაოდენობრივი ანალიზი და თეორიული მსჯელობა. სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც ავტორის მიერ არის გამოყენებული ძირითადად ეფუძნება, როგორც ადგილობრივ სტატისტიკურ წყაროებს,

ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ მოწოდებულ ოფიციალურ სტატისტიკას.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის თანაზომიერი განვითარების შეფასების ინდიკატორები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური განვითარების დონის ერთმანეთთან შედარება. საყურადღებოა, რომ ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების შემთხვევაში თითოეული კოეფიციენტი უნდა მიისწრაფოდეს ნულისკენ.

ავტორის მიერ შემუშავებული ინდიკატორების ფორმულირების გამარტივების მიზნით წარმოდგენილია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანაზომიერების ინდექსები. რაც შეეხება ავტორის მიერ შემუშავებულ თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტებს:

- K_{R1} - ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან რეგიონალური გადახრის კოეფიციენტი ერთმანეთს ადარებს ქვეყნის ცალკეული რეგიონის ან რეგიონთა ერთობლიობის ეკონომიკური განვითარებისა და ქვეყნის საშუალო ეკონომიკური განვითარების დონეებს;
- K_{R2} - დედაქალაქის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან რეგიონალური გადახრის კოეფიციენტი გვიჩვენებს ქვეყნის ცალკეული რეგიონის ან რეგიონთა ჯგუფის ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლის გადახრას დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონიდან;
- K_{C1} - ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან დედაქალაქის გადახრის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენად ჩამორჩება ან აღემატება დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონე ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონეს;
- K_{C2} - რეგიონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან დედაქალაქის გადახრის კოეფიციენტი წარმოადგენს დედაქალაქის ეკონომიკური

განვითარების დონის მაჩვენებლის გადახრას ცალკეული რეგიონის ან რეგიონთა ჯგუფის ეკონომიკური განვითარების დონიდან.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომში განხილული თეორიული საკითხები, გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაცია და ავტორის მიერ შემუშავებული მეცნიერული სიახლე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდით დაინტერესებულ სახელწმიფო უწყებებისთვის საყურადღებო და გამოსადეგი უნდა იყოს.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ისეთი საკითხები, რომლებიც ეკონომიკის გარდა სხვა დარგის სპეციალისტების დაინტერესებასაც გამოიწვევს.

პუბლიკაციები. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული მეცნიერული სიახლეები ავტორის მიერ გამოქვეყნებულია ხუთი სტატიის სახით, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებს (ჟურნალი „საქართველოს მეცნერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ და „ეკონომისტი“).

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი 158 გვერდისაგან (სარჩევის, გამოყენებული ლიტერატურისა და დანართების გამოკლებით). ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, 3 თავს, 9 პარაგრაფს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს, ასევე 7 გრაფიკს, 14 დიაგრამას, 8 ცხრილსა და სამ დანართს. დანართი 1 - ში მოცემულია აღნიშვნები, დანართი 2-ში – 123 ცხრილი, ხოლო დანართი 3-ში 43 გრაფიკი.

ნაშრომის პირველ თავში, რომელიც ეთმობა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თეორიული საფუძვლების შესწავლას, დეტალურად არის განხილული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის არსი, მის შესახებ არსებული თეორიული შეხედულებების ევოლუცია და ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასებას უზრუნველყოფენ.

მეორე თავში განხილულია პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ძირითადი სირთულეები და გამოწვევები, კერძოდ: ნეკროეკონომიკა, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის დაუძლეველი წინაღობა, მისი

წარმოქმნის მიზეზები და აღმოფხვრისთვის საჭირო გზები; რეტროეკონომიკა, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ძირითადი შემაფერხებელი ბარიერი, მოძველებული ტექნოლოგიების წარმოების პროცესში გამოყენების ნაკლოვანებები და თანამედროვე, ინოვაციურ ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა. მეორე თავში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა „ლიდერი“ და „აუტსაიდერი“ პოსტკომუნისტური ქვეყნების უმთავრესი გამოწვევებს, რომლებთან გამკლავებაც ქვეყნებს საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე უწევთ.

ნაშრომის მესამე თავში, რომელიც ეხება ქვეყნის თანაზომიერ განვითარებას, მის ინდიკატორებსა და საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითად გზებს, განხილულია ქვეყნის თანაზომიერი განვითარების მნიშვნელობა ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდაში. ამ უკანასკნელის უფრო ღრმა ანალიზისთვის მოყვანილია ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით შედგენილი დიაგრამები, გამოყენებულია ავტორის მიერ შემუშავებული მეცნიერული სიახლე და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები, როგორც საქართველოს კონკურენტუნარიანობის ზრდის პოტენციალის, აგრეთვე სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნების შესახებ. მესამე პარაგრაფში აგრეთვე გაანალიზებულია ცოდნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელობა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

თავი I. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თეორიული საფუძვლები

I.1. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის არსი

ეკონომიკურ მეცნიერებაში ტერმინი „კონკურენტუნარიანობა“ გამოიყენება, როგორც ცალკეულ სახელმწიფოსთან, აგრეთვე სახელმწიფოთა გაერთიანებებთან და ქვეყნის ეკონომიკურ ერთეულებთან მიმართებაში, რაც გულისხმობს მის განხილვას ეკონომიკის მიკრო, მაკრო, მეზო და მეგა დონეზე. კონკურენტუნარიანობის განხილვა მიკრო დონეზე მოიცავს საქონლისა და მომსახურების წარმოებას, მეზო დონეზე აერთიანებს დარგებსა და მათ გაერთიანებებს, მაკრო დონეზე განიხილება რეგიონი და ქვეყანა, ხოლო ჰიპერმაკრო დონეზე კი - რეგიონალური გაერთიანებები (Нуримбетов, 2015).

კონკურენტუნარიანობა თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკვლევი ცნებაა, რაც ძირითადად მისი ეკონომიკური შინაარსით არის განპირობებული (Shvindina, 2020). მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტუნარიანობის ცნების განმარტების მრავალი მცდელობა არსებობს, ეკონომიკურ ლიტერატურაში ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული კონკურენტუნარიანობის ერთიანი განმარტება, რომელიც სრულყოფილად ასახავს მისი, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსს, თუმცა განმარტებების ძირითადი ნაწილი ეხება საწარმოს დონეს ან ეროვნულ, რეგიონულ ეკონომიკას (Kachniewska, Kowalski, Szczech-Pietkiewicz, 2018, p.174).

როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეროვნული კეთილდღეობა არ არის მემკვიდრეობითი, იგი მიიღწევა ქვეყანაში განხორციელებული მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარების ფონზე, ვინაიდან ერის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მისი ინდუსტრიის, ინოვაციისა და განახლების შესაძლებლობაზე (Porter, 1990).

ეროვნული კონკურენტუნარიანობა მოიცავს, როგორც ეკონომიკური სუბიექტების და ინსტიტუციების შესაძლებლობას, აგრეთვე მათ კონკურენტუნარიანობას. სხვა სიტყვებით, ის კომპლექსური ცნებაა, რომელიც გარკვეული მდგენელების გაერთიანების შედეგად ეროვნულ ეკონომიკას ახასიათებს. რომ დავაზუსტოთ, ქვეყნის ეკონომიკის

კონკურენტუნარიანობა არის მთლიანობაში მაკრო, მიკრო და მეზო, სხვადასხვა ეკონომიკურ დონეზე მყოფი სუბიექტების საქმიანობის შედეგი, რაც საბოლოოდ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე აისახება. აღნიშნულ სუბიექტებს მიეკუთვნება ინდივიდუალურად მოქმედი და ურთიერთდამოკიდებული ფირმები, სხვადასხვა დარგები, საწარმოები, რომლებიც შესაძლებელია ინტეგრირებული იყოს, როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად, სახელმწიფო უწყებები, ეკონომიკური ინსტიტუციები და აგრეთვე, საზოგადოებრივი ინსტიტუტები (ბეშქენაძე, 2017, გვ. 3).

კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავია განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მდგომი ქვეყნისთვის, ვინაიდან ის განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ მდგრადობას და ეროვნულ უსაფრთხოებას, რასაც საბოლოოდ მთავარ მიზნამდე - მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფამდე მივყავართ (Porter, 2008).

თანამედროვე, მაღალგანვითარებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობა ძირითადად ტექნოლოგიურ უპირატესობებზეა დაფუძნებული, ჩამორჩენილი ქვეყნების კი რესურსებზე. ნათელია, რომ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისთვის კონკურენტუნარიანობის მიღწევის საშუალებები, და ფაქტორთა მნიშვნელობა განსხვავებულია. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის წყარო ზედმიწევნით ახასიათებს მისი ეკონომიკური განვითარების ეტაპს, ვინაიდან ისტორიულად წინა პლანზე მუდმივად გამოდის ეროვნული კონკურენტუნარიანობის ისეთი წყაროები, როგორიცაა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მდიდარი ბუნებრივი რესურსების ფლობა, წარმოების ძირითადი ფაქტორებისთვის ხელსაყრელი ფასების არსებობა, პროდუქტიულობა და ცხოვრების ხარისხი, უახლესი ტექნოლოგიები და ეკონომიკური გარემო, რომელიც წარმოშობს ტექნოლოგიურ ლიდერობას (Нуримбетов, 2015).

კონკურენტუნარიანობის ანალიზს მსოფლიოში ძირითადად ორი უმსხვილესი ორგანიზაცია, მართვის საერთაშორისო ინტიტუტი (International Institute for Management Development - IMD) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (World Economic Forum - WEF) ატარებენ (ბარათაშვილი, გეჩბაია, ღლონტი, 2012, გვ. 16). აღნიშნული ორგანიზაციები

გამოსცემენ ყოველწლიურ ანგარიშებს. მეთოდოლოგიები, რომლებიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრისთვის გამოიყენება ორივე ანგარიშისთვის ერთნაირია. ისინი ეყრდნობა მრავალ სხვადასხვა სახის ფაქტორს და განსაზღვრავს ქვეყნის განვითარებასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო უამრავ ფაქტორს შორის გამოვყოთ არსებითად მნიშვნელოვანი რამდენიმე მათგანი, ეს ფაქტორებია:

1. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;
2. ეროვნული ღირებულებები და კულტურა;
3. ინოვაცია;
4. შრომის ბაზრის ეფექტიანობა;
5. მეწარმეობის განვითარება;
6. ინფრასტრუქტურის განვითარება;
7. ეროვნული ინსტიტუტების ხარისხი.

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე ქვეყნებს უნიკალური შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ ეს უპირატესობა და გახდნენ სხვადასხვა ქვეყნის დამაკავშირებელი ხიდი ვაჭრობასა, თუ სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში. მაგალითად, გეოპოლიტიკური კუთხით საქართველოს როლი უმნიშვნელოვანესია მთელი ცენტრალური კავკასიის მასშტაბით (ისმაილოვი, პაპავა, 2007, გვ. 11). შესაბამისად, საქართველო წარმოადგენს ცენტრალური კავკასიის ქვეყნების „სატრანსპორტო დერეფანს“ და „ენერგეტიკულ ხიდს“, რაც მისი არა მხოლოდ რეგიონული არამედ, საერთაშორისო ეკონომიკური მნიშვნელობის განმსაზღვრელია (თოქმაზიშვილი, 2018, გვ. 166). მიმდინარე პერიოდის დღის წესრიგში დგას საქართველოს, როგორც „შუა დერეფნის“ გააქტიურების საკითხი, რაც დიდწილად რუსეთ-უკრაინაში არსებულმა საომარმა მდგომარეობამ გამოიწვია. აღნიშნულმა კონფლიქტმა მოახდინა რუსეთის გავლით ტვირთების გადაზიდვის პარალიზება ისეთი მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნებისთვის, როგორიცაა მაგალითად ჩინეთი. აღნიშნული პროცესების კვალდაკვალ, საქართველოში აქტიურდება ბათუმისა და ფოთის პორტის გაფართოების საკითხი, რეალური ხდება,

აგრეთვე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პროექტის განხორციელებაც. სხვადასხვა პორტის გაფართოებასთან ერთად, წინა პლანზე რკინიგზის მაქსიმალური დატვირთვა გამოდის, რომელიც აზერბაიჯანიდან თურქეთში ტვირთების გადაზიდვას უზრუნველყოფს. საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია ევროკავშირის მხარდაჭერით ახლახან დადებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ელექტროგადამცემი კაბელის შავ ზღვაში გაყვანას. ამ პროექტის განხორციელების შედეგად საქართველო შეასრულებს არა მხოლოდ სატრანსპორტო, არამედ საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციასაც. გარდა ამისა, საქართველოსთვის გაჩნდება ახალი შესაძლებლობა იყოს ელექტროენერგიის ერთ-ერთი მწარმოებელი ქვეყანა. ამრიგად, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შედეგად, საქართველოს აქვს იდეალური შესაძლებლობა აღნიშნული პოტენციალის გამოსაყენებლად. ამას გარდა, გეოგრაფიულ მდებარეობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნიადაგის ნაყოფიერება, რაც ქვეყანას უპირატესობას ანიჭებს აგრარული სექტორის განვითარებაში, ეს უკანასკნელი, კი არის არა ძირითადი, თუმცა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისთვის.

უნდა აღინიშნოს ქვეყნის ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. საქართველო მდიდარია წყლითა და წყალთან დაკავშირებული რესურსებით. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ფართობს, შეიძლება ითქვას, რომ ჰიდროენერგეტიკული პოტენციალით მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა. საქართველო აგრეთვე გამოირჩევა განახლებადი ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროებით, როგორიცაა გეოთერმული, მზისა და ქარის ენერგია და სხვ. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, აღნიშნულთაგან ყველაზე ხელსაყრელი მზის ენერგიის გამოყენებაა, ვინაიდან მზის რადიაცია საკმაოდ მაღალია. იქიდან გამომდინარე, რომ მზის ენერგიის შედეგად წარმოიქმნება ქარის ენერგია, საქართველოს მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანიც სწორედ რომ სხვადასხვა სახეობის

ენერგიის უწყვეტად, ადეკვატურ ფასად მიწოდების და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა (სემგს, 2019).

ეროვნული ღირებულებები და კულტურა. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს განეკუთვნება ეროვნული ღირებულებები და ქვეყნის კულტურული თავისებურებები. აღნიშნული ფაქტორების გამოყენება კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად ძირითადად მცირე, განვითარებადი ქვეყნებისთვის არის მიზანშეწონილი, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ გლობალურ ბაზრებზე მყარი პოზიციები, მათთვის ძალიან რთული და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია კონკურენცია გაუწიონ განვითარებულ ქვეყნებს პროდუქციის ხარისხითა და წარმოების მასშტაბით. შესაბამისად, მსგავსი ტიპის ქვეყნებს საშუალება ეძლევათ საერთაშორისო ასპარეზზე თავი წარმოაჩინონ საკუთარი უნიკალური კულტურითა და ღირებულებებით როგორცაა, მაგალითად, ქორეოგრაფია, ფოლკლორი, განსხვავებული სამზარეულო და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ამ კუთხით განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია და ქართული ქორეოგრაფია, ფოლკლორი, თუ სამზარეულო ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევს საერთაშორისო მასშტაბით.

ინოვაცია. ლიტერატურაში ინოვაციის მრავალი განსხვავებული განმარტება არსებობს. ერთ-ერთი განმარტების თანახმად, ინოვაცია არის ახალი პროდუქტის ან სერვისის შექმნა, ან უკვე არსებულის პროდუქტისა და სერვისის გაუმჯობესება (Taylor, 2017, p. 128). ინოვაციის ცნების ყველაზე ყოვლისმომცველი და ფართოდ აღიარებული განმარტება ხელმისაწვდომია ოსლოს სახელმძღვანელოში, რომელიც გამოქვეყნებულია ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციისა (Organization for Economic Cooperation and Development - OECD) და ევროკომისიის მიერ. კერძოდ, ინოვაცია არის ახალი ან კონკრეტულად განვითარებული საქონელი ან მომსახურება, ახალი მარკეტინგული ან ახალი ინსტიტუციონალური მეთოდი (OECD, 2005, p. 45). ინოვაცია, რომელიც აყალიბებს კონკურენტუნარიანობის საფუძველს არის განვითარების, მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის გასაღები. არსებობს ინოვაციის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კონკურენტუნარიანობის წარმოქმნას უწყობს ხელს, ეს პრინციპებია (Atkinson and Ezell, 2015, pp. 89-94):

- საინოვაციო პოლიტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს ინოვაციების მაქსიმიზაციაზე ყველა სექტორში;
- საინოვაციო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციის თითოეულ ფაზას და სახეობას;
- „კრეატიული ნგრევის“ უზრუნველყოფა;
- ძირითად საქონელზე, განსაკუთრებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე იმპორტული ფასების შენარჩუნება;
- ეროვნული ინოვაციებისა და პროდუქტიულობის სტრატეგიის განვითარება, ასევე ისეთი ინსტიტუტების განვითარება, რომლებიც მხარს დაუჭერენ აღნიშნულ ინოვაციებსა და სტრატეგიებს.

ინოვაციების შესახებ „მწვანე დოკუმენტის“ მიხედვით ქვეყნის, რეგიონის ან ფირმის კონკურენტუნარიანობა უპირატესად დამოკიდებულია მის შესაძლებლობაზე ინვესტირება მოახდინოს კვლევაში, ნოუ ჰაუს, ტექნოლოგიებსა და იმ უნარ-ჩვევებში, რომლებიც უზრუნველყოფენ მაქსიმალური სარგებლის მიღებას ახალი პროდუქტისა და მომსახურების შექმნის შედეგად (CEC, 1995).

საბოლოოდ, ინოვაციები ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ბიზნესის განვითარებისთვის. უფრო მეტიც, ინოვაცია არის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის საშუალო შემოსავლების, რეალური ხელფასის, შრომის პროდუქტიულობისა და განათლების დონის ზრდას, აგრეთვე შრომის სამართლიანი პირობების უზრუნველყოფას. აღნიშნულის მისაღწევად მთავრობამ უნდა გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

- ინფრასტრუქტურის განვითარების ინვესტირება;
- ახალი ტექნოლოგიების განვითარების სუბსიდირება;
- განათლების სუბსიდირება;
- ეფექტიანი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა ძლიერი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად;
- დამსაქმებელსა და მუშახელს შორის სამართლიანი ურთიერთობის უზრუნველყოფა - მაღალი მინიმალური ხელფასი და ძლიერი პროფკავშირები.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პროგრესი არის ქვეყნის ინოვაციების დონის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი, შესაბამისად მათ შორის დადებითი კორელაციაა. რაც უფრო ძლიერია სახელმწიფოს ეკონომიკა, მით უფრო დიდი თანხებია მიმართული საინვესტიციო კვლევების დასაფინანსებლად. შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინოვაციური ეკონომიკის განვითარების გზების ძიება, წინააღმდეგ შემთხვევაში თითქმის შეუძლებელი იქნება გლობალურ ბაზარზე საკუთარი ნიშის დამკვიდრება და შენარჩუნება.

შრომის ბაზრის ეფექტიანობა. მოქნილი და ეფექტიანი შრომის ბაზარი არსებითად მნიშვნელოვანია დასაქმებულთა პროდუქტიულობის ზრდისთვის. მოქნილია შრომის ბაზარი, რომელშიც დასაქმებულის გადაადგილება მიმდინარე პოზიციიდან ახალ საქმიანობაზე დაუყოვნებლივ, მინიმალური დანახარჯებით არის შესაძლებელი. შრომის ბაზარი იმ შემთხვევაშია ეფექტიანი, თუ ამ ბაზარზე სამუშაო ძალის შრომითი უფლებები დაცული, ხოლო მუშახელი კი მაქსიმალურად პროდუქტიულია (გაგნიძე, 2012, გვ. 46). ეფექტიანი შრომის ბაზარი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ აღნიშნული მდგენელი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის 12 მდგენელს შორის ერთ-ერთია.

მეწარმეობის განვითარება. მეწარმეობას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. მეწარმეობა წარმოშობს ახალ კომპანიებსა და სამუშაო ადგილებს, ქმნის სიმდიდრეს, ახალ შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში (ერქომაიშვილი, 2019, გვ. 15). ამას გარდა, მეწარმეობის თვალსაჩინო მახასიათებელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა, ამიტომ მისი ხელშეწყობა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა უზრუნველყოფს პროდუქციისა და მომსახურების წარმოების მაღალ ეფექტს, ზრდის პროდუქტიულობას და ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. შესაბამისად, მთავრობას უნდა ჰქონდეს პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული მეწარმეობის განვითარებას. საქართველოში სამეწარმეო გარემოს გასაუმჯობესებელ და კერძო

სექტორის ხელშემწყობი ღონისძიებები ხორციელდება სამთავრობო პროგრამით „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირია. სააგენტო მოწოდებულია უზრუნველყოს დინამიკური ეკონომიკური განვითარება, რომლის უზრუნველსაყოფადაც აერთიანებს ინვესტიციებს, ექსპორტსა და ადგილობრივ წარმოებას (სემგს, უთარილოხ).

ინფრასტრუქტურა. კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი სავალდებულო წინამძღოლია ფართო და ეფექტიანი ინფრასტრუქტურა. ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად აღმოიფხვრება ის პრობლემები, რომელსაც რეგიონებს შორის არსებული მანძილი განაპირობებს. იმისათვის, რომ მეწარმეებმა დროულად და უსაფრთხოდ მიაწოდონ წარმოებული პროდუქცია და მომსახურება დანიშნულების ადგილამდე, საჭიროა ქვეყანაში ხარისხიანი რკინიგზის, საავტომობილო გზების, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის უზრუნველყოფა. ინფრასტრუქტურული ქსელების ხარისხი და ექსტენსიურობა გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, ამცირებს შემოსავლის უთანასწორობას და სიღარიბეს. მნიშვნელოვანია ასევე მყარი და ფართო სატელეკომუნიკაციო ქსელი, რომელიც იძლევა სწრაფი, თავისუფალი ნაკადის ინფორმაციას და ზრდის საერთო ეკონომიკურ ეფექტიანობას ბიზნესის კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად (საქართველოს მთავრობა, 2020, გვ. 41-44).

ეროვნული ინსტიტუტების ხარისხი. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ რესურსების მოზიდვაში მთავარ როლს ეროვნული ინსტიტუტების ხარისხი თამაშობს, რაშიც იგულისხმება დემოკრატიის სიძლიერე, ჯანდაცვისა და განათლების სისტემები, კანონის უზენაესობა, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა და საკუთრების უფლებების დაცვა (ბარათაშვილი, ყურაშვილი, მახარაშვილი, 2018, გვ. 51; Livny, 2013).

კონკურენტუნარიანობის ანალიზი არის მიკრო და მაკროეკონომიკური ანალიზის სინთეზი. მაკროეკონომიკური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდის ახსნაში. დაბალი ინფლაცია, პროგნოზირებადი გაცვლითი კურსი, დაბალანსებული საჯარო საფინანსო სექტორი და რეზერვების მაღალი დონე ითვლება შეუცვლელად. კონკურენტუნარიანობა ეტაპობრივად მიიღწევა, რაც ნიშნავს, რომ კონკურენტუნარიანობის მეგა დონეზე მიღწევის აუცილებელ წინაპირობას მასთან

შედარებით „ქვედა“ დონეებზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. თუმცა, რა თქმა უნდა, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილურობა არ კმარა. მასთან ერთად, აუცილებელია მიკროეკონომიკური გარემოს ძირფესვიანი შესწავლა. აქცენტი გაკეთებულია ბიზნეს გარემოს, მოთხოვნის თავისებურებების, წარმოების არსებული ფაქტორების მახასიათებლების, ტექნოლოგიების, მენეჯმენტისა და ორგანიზაციის დონის შესწავლაზე (ბეშკენაძე, 2017).

ეროვნულ კონკურენტუნარიანობას ქვეყნის კონკურენტუნარიანი კორპორატიული სექტორი განსაზღვრავს. თავის მხრივ, კონკურენტუნარიანი ეკონომიკა უზრუნველყოფს ქვეყნის შიგა ბაზრის გაფართოებას და საგარეო ბაზრის დივერსიფიკაციას, რის შედეგადაც ქვეყანაში ოპერირებადი კომპანიებისთვის იზრდება განვითარების პოტენციალი, როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო მასშტაბით. ამრიგად, საწარმოს დონე განსაზღვრავს ეროვნულ კონკურენტუნარიანობას, კონკურენტუნარიანი ქვეყანა კი უზრუნველყოფს წარმოების ბაზრის გაფართოებას. განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც სხვადასხვა დონეზე კონკურენტუნარიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით უფრო დიდი ძალისხმევაა საჭირო, კონკურენტუნარიანობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იმისათვის, რომ განვითარებადი ქვეყანა გახდეს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო დონეზე, აუცილებელია ჯერ შიგა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. დაბალ იერარქიულ საფეხურზე მიღწეული კონკურენტუნარიანობა სხვა დონეების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის საწინდარია (ბეშკენაძე, 2017).

ეროვნული კონკურენტუნარიანობის შესახებ თანამედროვე კვლევებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია პროფესორ მაიკლ პორტერის მიერ ჩამოყალიბებული ეროვნული უპირატესობის „აღმასის მოდელი“. აღნიშნული მოდელით შესაძლებელია გავიგოთ კონკურენტული უპირატესობა, რომლის მიღწევა და შენარჩუნება შეუძლიათ ერებს ან გარკვეულ ჯგუფებს მათთვის ხელმისაწვდომი ფაქტორების საშუალებით. მაიკლ პორტერის ეროვნული უპირატესობის „აღმას“, როგორც ინდივიდუალურად, ასევე სისტემის სახით წარმოადგენს ერის ოთხი ფართო ატრიბუტი. აღნიშნულს თითოეული

ერი აყალიბებს და ამუშავებს თავისი ინდუსტრიებისთვის, რათა გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანი კონკრეტულ ინდუსტრიებში სხვა ქვეყნებთან შედარებით. ეს ატრიბუტებია (Porter, 1990):

1. სტრუქტურა, მეტოქეობა და სტრატეგია - ქვეყანაში არსებული პირობები, რომლებიც არეგულირებს კომპანიების შექმნას, ორგანიზებასა და მართვას. ასევე, შიგა მეტოქეობის ბუნება, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში ისეთი გარემოს შექმნას, სადაც კომპანიებს შეეძლება გახდნენ კონკურენტუნარიანი და დაიმკვიდრონ თავი საერთაშორისო ასპარეზზე;
2. ფაქტორული პირობები - მოიცავს ბიზნესისთვის ხელმისაწვდომ რესურსებს, როგორებიცაა კვალიფიციური მუშახელი და განვითარებული ინფრასტრუქტურა, რაც მოცემულ დარგში კონკურენტული უპირატესობის მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა. ძირითადი ფაქტორები ბუნებრივი რესურსებია, ხოლო ინფრასტრუქტურა, გამოცდილი ექსპერტები და კაპიტალი მოწინავე ფაქტორთა რიცხვს მიეკუთვნება. ქვეყანა ავითარებს რეალურ კონკურენტულ უპირატესობას მოწინავე ელემენტების განვითარებით, ამის საპირისპიროდ, ძირითადი ფაქტორების წვლილი რეგიონული უპირატესობის უზრუნველყოფაში შედარებით დაბალია;
3. მოთხოვნის პირობები - მოთხოვნა კონკრეტულ პროდუქტზე ან მომსახურებაზე ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია. პორტერის „ალმასის მოდელის“ მე-3 ატრიბუტი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ უწყობს ხელს პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა ბრენდის ან ბიზნესის ზრდას;
4. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესის ზრდაზე, არის დამატებითი სერვისები, რომლებიც მხარს უჭერენ ეროვნული უპირატესობის მქონე კომპანიებს. მაგალითად, საბერძნეთში ტურისტული სერვისები ვერასოდეს იქნებოდა ისეთი კარგი, როგორიც ახლაა, თუ იქ არსებული განსახლების და კვების ობიექტები მხარს არ დაუჭერდნენ ამ ინდუსტრიის განვითარებას.

ჩამოთვლილი ოთხი ფაქტორის გარდა მნიშვნელოვანია მთავრობის როლი კონკურენტული უპირატესობის განვითარებასა და შენარჩუნებაში, რაც ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში გამოიხატება. ეს მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებას, სამართლიანი ბაზრის პრაქტიკის, უსაფრთხოებისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ასევე საჯარო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას. უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია ქვეყნის დემოკრატიული სიძლიერე, ჯანდაცვისა და განათლების სისტემები, კანონის უზენაესობა, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა და საკუთრების უფლებების დაცვა. მაშასადამე, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს კონკურენტუნარიანობის ერთგვარი კატალიზატორის როლი. თავისი პოლიტიკის დახმარებით მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ეროვნული უპირატესობის „აღმასის მოდელის“ ოთხივე კომპონენტზე, თუმცა, როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად. აქედან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია საჯარო პოლიტიკის პრიორიტეტების მკაფიოდ ჩამოყალიბება. ზოგადი რეკომენდაციებია: განვითარების იდეოლოგიის წახალისება, შიგა ბაზარზე კონკურენციის გაზრდა და ინოვაციების წარმოების სტიმულირება (Hyтepнeкoв, 2009).

მთავრობის პოლიტიკის გარდა მნიშვნელოვანია შემთხვევითი მოვლენები, რადგან ისინი გავლენას ახდენენ კონკურენტი ფირმების პოზიციებზე. შედეგად, ძველი კონკურენტების უპირატესობები შეიძლება აღმოიფხვრას და შეიქმნას პოტენციური ახალი ფირმებისთვის, რომლებმაც მიაღწიეს კონკურენტუნარიანობის საკმარის დონეს. ომებმა, სტიქიურმა უბედურებებმა, პოლიტიკურმა სიტუაციებმა და ა.შ. შეიძლება დადებითად ან უარყოფითად იმოქმედონ ეკონომიკაზე ან მთლიანად ქვეყანაზე, წარმოშვან კონკურენტული უპირატესობა ან გაანადგურონ იგი. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული ქვეყნების (გერმოდ, გერმანია, იაპონია და იტალია) მიერ მიღწეული ომის შემდგომი წარმატებები (Hyтepнeкoв, 2009).

როგორც ვხედავთ, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრების მსგავსად, რომლის ერთიანი, აღიარებული განმარტებაც არ არის ჩამოყალიბებული, შეუძლებელია განისაზღვროს ცალკეული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის კონკრეტული ინდიკატორები. მნიშვნელოვანია ექსპორტის მოცულობა, წილი მსოფლიო

ბაზრებზე, მთლიანი სამამულო პროდუქტის (საყურადღებოა, რომ ტერმინი „მთლიანი სამამულო პროდუქტი“ არის ამჟამად მცდარად დამკვიდრებული ტერმინის „მთლიანი შიდა პროდუქტის“ ქართულად გამართული ვერსია) (პაპავა, სილაგაძე, 2019) მოცულობა, თუმცა კონკურენტუნარიანობა ყველაზე ნათლად გამოიხატება შრომის პროდუქტიულობის ზრდაში, რაც უზრუნველყოფს მდგრად ეკონომიკურ ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში (Пелипася, 2010).

თითოეულმა ქვეყანამ აქცენტი უნდა გააკეთოს იმ დარგების განვითარებაზე, რომლებიც უზრუნველყოფს შემოსავლებისა და შრომის ანაზღაურების შედარებით მაღალ დონეს, საერთაშორისო კონკურენციის პირობებში. საწარმოებმა, დარგებმა (მათმა კომპლექსებმა), რომლებზეც სპეციალიზდება ქვეყანა, უნდა უზრუნველყონ კონკურენტული საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობის წარმოება-რეალიზაცია, რომელიც ეკონომიკის სხვადასხვა სუბიექტს - მუშახელს, რესურსების მიმწოდებლებს, საწარმოებსა და ქვეყნის ეკონომიკას შემდგომი განვითარებისთვის საჭირო შემოსავლებს მოუტანს (ბეშკენაძე, 2017). რა თქმა უნდა, აღნიშნული დიდწილად დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონეზე, გეოგრაფიულ მდებარეობასა და დანარჩენ მსოფლიოსთან არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

1.2. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შესახებ თეორიული შეხედულებების

ევოლუცია

ტერმინი „კონკურენტუნარიანობა“ განსაკუთრებით აქტუალური დეკოლონიზაციის შემდეგ გახდა, რადგან მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩაერთო მრავალი ახალი სახელმწიფო და გაიზარდა ქვეყნებს შორის კონკურენცია. ამ პერიოდში გამოიკვეთა ეკონომიკური განვითარების თეორიული კონსტრუქცია, რომელიც ეძღვნებოდა მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნების კონკურენტული უპირატესობების გამოვლენას და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში კონკურენტუნარიანობის გაზრდის მეთოდების აღწერას (Исаев, Нурмухаметов, 2013, с. 215).

რამდენადაც ცხადია აღნიშნული ტერმინი ფირმასთან, ან თუნდაც პროდუქტთან მიმართებით, იმდენად მრავალი კითხვა ჩნდება ეროვნულ დონეზე კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების ირგვლივ, რადგან მათი იდენტიფიცირება საკმაოდ რთული და თითოეული ქვეყნისთვის სხვადასხვაგვარია. მართლაც, ტერმინი „პროდუქტის კონკურენტუნარიანობა“ დიფერენცირებული პროდუქციით გაჯერებულ ბაზარზე მისი წარმატებით გაყიდვის შესაძლებლობაა, რაც გულისხმობს საქონლის სამომხმარებლო და ღირებულებითი მახასიათებლების უპირატესობას სხვა პროდუქტთან შედარებით (Senyshyn, Kundytskyj, Zlydnyk, 2020, p. 158).

„ფირმის კონკურენტუნარიანობა“ გულისხმობს მის უნარს შექმნას და აწარმოოს საბაზრო პროდუქტები კონკურენტ საწარმოებთან შედარებით ისეთ ფაქტორთა უპირატესობებით, როგორებიცაა: ხარისხი, ფასი, ტექნოლოგიური პროგრესი და სხვ., მიიღოს სტაბილური მოგება და ადვილად ადაპტირდეს ახალ გარემოსა და კომპანიის შიგნით არსებულ ისეთ ცვლილებებთან, რომლებიც კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას მიაანიჭებს აღნიშნულ ფირმას (Chikan, 2008, p. 13).

რაც შეეხება ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, ის მოიცავს სახელმწიფოს განვითარების ეკონომიკურ, საგანმანათლებლო, მენეჯერულ, კულტურულ და სხვ. მნიშვნელოვან ასპექტს. შესაბამისად, ეროვნულ დონეზე კონკურენტუნარიანობის გაგებისთვის აუცილებელია განვიხილოთ ქვეყნების და რეგიონების კონკურენტუნარიანობის თეორიათა ფორმირება-განვითარება, რომელიც აქტიურად დაიწყო XVIII საუკუნის ბოლოდან (Пилипенко, 2005, с. 1).

განსხვავებული აზროვნების სკოლების მიერ, ეკონომიკური აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა მიზნები და სოციალური ღირებულებები ხაზგასმული. შესაბამისად, ის მეთოდები და საშუალებები, რომლებსაც კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის მისაღწევად გვთავაზობდნენ სხვადასხვაგვარი იყო. განსხვავდებოდა აგრეთვე სხვადასხვა სკოლის მიერ შემოთავაზებული კონკურენტუნარიანობის განმარტებისა და ფორმირების შესახებ განსაზღვრებები.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ეკონომიკური მეცნიერება არ იყო ყოველთვის მზად ზედმიწევნით ზუსტად, სრულფასოვნად აეხსნა ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები

და სწორი პასუხი გაეცა ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ამა თუ იმ პერიოდის დღის წესრიგში იდგა (პაპავა, 2020, გვ. 29-30).

კონკურენტუნარიანობის შესახებ თეორიების ქრონოლოგიურ განვითარებაში შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა ეტაპი (Пилипенко, 2005, с. 413). განვიხილოთ თითოეულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ის ძირითადი თეორიები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნულ დონეზე კონკურენტუნარიანობის შესწავლაში.

თეორიების განვითარების პირველი ეტაპი დაკავშირებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, რუსეთთან, აშშ-სა და იაპონიასთან, სადაც მიმდინარეობდა სამრეწველო და ტექნიკური რევოლუცია. აღნიშნული ქვეყნები მონაწილეობდნენ პირველი გლობალური ინტეგრაციის (1846-1914 წწ.) და გლობალური დეზინტეგრაციის (1914-1945 წწ.) ციკლში. იმ პერიოდისთვის არსებობდა დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა (სსრკ) და შვედეთის წამყვანი სამეცნიერო ცენტრები, სადაც იქმნებოდა და ვითარდებოდა თეორიები საერთაშორისო ვაჭრობასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ირგვლივ (Пилипенко, 2005, сс. 413-414).

XVI-XVIII საუკუნეებში დასავლურ სამყაროში გავრცელებული იყო „მერკანტილიზმი“, როგორც დომინანტური ეკონომიკური სისტემა. შეიძლება ითქვას, რომ მერკანტილიზმი იყო პირველი ეკონომიკური მოძღვრება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ შეხედულებების წარმოშობა-განვითარებას. მერკანტილიზმი ემყარებოდა აზრს, რომლის თანახმადაც ერის სიმდიდრის დაგროვებისა და ძალაუფლების დამყარების საუკეთესო გზა ექსპორტის წახალისება და იმპორტის შეზღუდვა იყო. აღნიშნული შეზღუდვა ძირითადად ვრცელდებოდა სამრეწველო საქონლის იმპორტზე, ხოლო იაფი ნედლეულის ქვეყანაში შემოტანა დასაშვები იყო, რადგან ხელს უწყობდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას. ამრიგად, მერკანტილისტური მოძღვრების საყრდენს საგარეო ვაჭრობის რეგულირებით დადებითი სავაჭრო ბალანსის მიღწევა, შედეგად კი ქვეყანაში სამუშაო ადგილების და სიმდიდრის, განსაკუთრებით კი ოქრო-ვერცხლის დაგროვების უზრუნველყოფა წარმოადგენდა (Krugman, 1996, p. 18; Блауг, 1994, с. 9).

კონკურენციის თეორიის შემუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა კლასიკურმა ეკონომიკურმა სკოლამ, რომელიც წარმოიშვა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა (ადამ სმიტი, დეივიდ რიკარდო, ელი ჰექშერი და ბერტილ ოლინი) რამდენიმე თეორიაში გამოხატეს დანახარჯების უპირატესობის მიღწევის მნიშვნელობა (Siudek, Zawajska, 2014, p. 94). შოტლანდიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი, „ეკონომიკის მამად“ წოდებული ადამ სმიტი მერკანტილიზმს პროტექციონისტული შეცდომების ნაზავს უწოდებდა (Блауг, 1994, с. 9). ადამ სმიტი თავის „აბსოლუტური უპირატესობის თეორიაში“ აცხადებს, რომ თავისუფალ ვაჭრობაში ჩართულ თითოეულ მხარეს შეუძლია სარგებლის მიღება, თუ სპეციალიზდება იმ საქონლის წარმოებაში, რომელშიც მას გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს საქონლის წარმოებას საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალი დანახარჯებით, რაც ადამ სმიტის თქმით, განსაზღვრავს კონკურენტუნარიანობის საფუძველს (Smith, 1776).

ადამ სმიტის აბსოლუტური უპირატესობის თეორიას ავითარებს 1817 წელს ჩამოყალიბებული შედარებითი უპირატესობის თეორიის შესახებ მოსაზრება, რომელიც ეკუთვნის კლასიკური სკოლის კიდევ ერთ გავლენიან წარმომადგენელს, ინგლისელ ეკონომისტ - დეივიდ რიკარდოს. მისი თეორიის თანახმად, ქვეყანას შეუძლია მიიღოს საერთაშორისო ვაჭრობიდან სარგებელი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას არ გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა. ამისათვის საკმარისია ფლობდეს შედარებით უპირატესობას კონკრეტული საქონლის წარმოებაში, რაც გულისხმობს სხვა ქვეყნებთან შედარებით მოცემული საქონლის წარმოებას დაბალი ალტერნატიული დანახარჯით. შესაბამისად, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა საქონლის ექსპორტირების გზით, გამართლებულია მხოლოდ შეფარდებითი უპირატესობის მქონე ქვეყნებისთვის (Ricardo, 2004).

აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობის თეორიებს დიდი წვლილი მიუძღვით რეგიონების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის შესახებ სამეცნიერო მიდგომების ჩამოყალიბებაში. აღნიშნულ თეორიებზე დაყრდნობით შესაძლებელია გამოიყოს რეგიონული სპეციალიზაციის ინდუსტრიები. ადამ სმიტისა და დეივიდ

რიკარდოს მიერ შემუშავებული თეორიების შემდეგ ინგლისელმა ეკონომისტმა, ალფრედ მარშალმა შეიმუშავა ინდუსტრიული რეგიონების თეორია. აღნიშნულ თეორიაში გამოყოფილია მცირე და საშუალო საწარმოების ინდუსტრიული რეგიონები, როგორც ვერტიკალურად ინტეგრირებული ქარხნების ალტერნატივა, რაც გულისხმობს არა ერთ დონეზე მყოფი საწარმოების, არამედ წარმოების ან განაწილების სხვადასხვა ეტაპზე ჩართული კომპანიების ერთობლიობას ერთი საკუთრების ქვეშ, რასაც საბოლოოდ მთლიანი ინდუსტრიის მართვის შესაძლებლობამდე მივყავართ (Buzzell, 1983). ამასთანავე, ხაზგასმულია ტერიტორიულად ახლოს მდებარე მცირე საწარმოების შესაძლებლობა, ადგილობრივ რესურსებზე წვდომის, ტექნოლოგიების გამოყენებისა და მასშტაბის ეკონომიის შედეგად კონკურენცია გაუწიონ მსხვილ საწარმოებს. ალფრედ მარშალმა ამ უკანასკნელს უწოდა მცირე საწარმოების კლასტერები კონკურენტუნარიანობის სამი ძირითადი ფაქტორით:

1. კვალიფიციური მუშახელის საერთო ბაზარი;
2. ფირმებს შორის ადგილობრივი ვაჭრობა;
3. შრომის ადგილობრივი ფირმათშორისი დანაწილება.

ამრიგად, აღნიშნული კონცეფციის თანახმად, კონკურენციაზე სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად არსებით გავლენას ახდენს ტექნოლოგიები და მასშტაბის უკუგება. წარმოების მასშტაბის გაფართოება კი მცისიერად ზრდის მწარმოებლის უპირატესობას კონკურენტებთან შედარებით და ამცირებს საქონლის ფასებს (Rocha, Sternberg, 2005, p. 270).

მე-20 საუკუნის დასაწყისში შვედმა ეკონომისტებმა, ელი ჰეკშერმა და ბერტილ ოლინმა ჩამოაყალიბეს ფარდობითი უპირატესობის ნეოკლასიკური თეორია, რომელიც ავითარებს დეივიდ რიკარდოს შედარებითი უპირატესობის მოდელს. თეორია ეფუძნება მსჯელობას, რომლის მიხედვითაც აუცილებელია წარმოების ფაქტორების - შრომის და კაპიტალის არსებობა. აღნიშნული ფაქტორების უხვად არსებობის პირობებში კი ქვეყანა უნდა სპეციალიზდეს ისეთი სახეობის საქონლის წარმოებაზე, რომლის წარმოებისთვის საჭირო დანახარჯები შედარებით დაბალია. სხვადასხვა ქვეყანას ერთი და იგივე საქონლის წარმოებისთვის შესაძლებელია ჰქონდეს განსხვავებული ხარჯები. მაგალითად,

თუ ერთ ქვეყანაში შრომითი რესურსები წარმოების დანარჩენ ფაქტორებთან შედარებით ჭარბია, მაშინ ეს ქვეყანა შრომა-ინტენსიურია, რაც ნიშნავს, რომ სამუშაო ძალა იაფი, ხოლო შრომის ანაზღაურების ხარჯები დაბალია. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ქვეყანა მოახდენს იმ საქონლის ექსპორტს, რომლის წარმოებისთვისაც საჭირო იქნება შრომითი რესურსების ინტენსიური გამოყენება. ამის საპირისპიროდ, ქვეყანა შეიძლება იყოს კაპიტალ-ინტენსიური, შესაბამისად ექსპორტზე გაიტანს ისეთ საქონელს, რომლის საწარმოებლადაც კაპიტალის ჭარბი რაოდენობა იქნება საჭირო (Leamer, 1995, p. 1; Siudek, Zawojaska, 2014, p. 94).

კლასიკოსების მიერ შემუშავებული სრულყოფილი კონკურენციის მოდელი კონკურენტუნარიანობის შესახებ თეორიული შეხედულებების ევოლუციის კიდეც ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სრულყოფილად კონკურენტული ბაზარი ხასიათდება წარმოებული პროდუქციის ერთგვაროვნებით და მონაწილეთა დიდი რაოდენობით, სადაც ვერც მყიდველი და ვერც გამყიდველი ვერ ახდენს გავლენას საბაზრო ფასზე, რაც ნიშნავს, რომ ისინი ფასის მიმღებნი არიან (Mankiw, 2014, p. 66).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა ვერცერთი მხარე გავლენას ვერ ახდენს პროდუქციის ფასზე, შესაბამისად მათ არ აქვთ სტიმული გამოიყენონ ისეთი მარკეტინგული საშუალებები, როგორიცაა მაგალითად რეკლამა და დიზაინის ცვლილება თავიანთი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად. ავსტრიელი მეცნიერი, ჟოზეფ შუმპეტერი აღნიშნავს, რომ სრულყოფილი კონკურენციის მოდელი გამოუსადეგარია იქ, სადაც საუბარია სიახლეებისაკენ სწრაფვაზე. ის თვლის, რომ აღნიშნული მოდელის რეალურ სახელმწიფოში არსებობა აზრს მოკლებულია, ვინაიდან შეუძლებელია სახელმწიფოს მიერ დაწესებული, თუნდაც მცირედი შეზღუდვების გარეშე კერძო სექტორის გამართული ფუნქციონირება, რასაც სრულყოფილი კონკურენციის მოდელი უგულებელყოფს (Шумпетер, 1995, с. 54).

არასრულყოფილი კონკურენციის დროს ბაზარზე ბევრი გამყიდველია, თუმცა სრულყოფილად კონკურენტული ბაზრისგან განსხვავებით ისინი ყიდიან ჰეტეროგენულ საქონელს. აღსანიშნავია, რომ დიფერენცირებული საქონლის შეთავაზების მიუხედავად,

ბაზრის მონაწილეებს არ აქვთ განუსაზღვრელი ძალაუფლება საქონელზე ფასების გნსაზღვრისას (ხარაიშვილი და სხვ., 2014, გვ. 297).

კონკურენტუნარიანობის შესახებ თეორიების განვითარების მე-2 ეტაპი მოიცავს შრომის საერთაშორისო დანაწილების თეორიებსა და საწარმოო ძალების კონცენტრაციას (Пилипенко, 2005, с. 3). XX საუკუნის 70-იან წლებში პოლ სამუელსონმა და რონალდ ჯონსმა ჰეკშერ-ოლინის თეორიის ძირითადი დებულებების საფუძველზე შეიმუშავეს „საგარეო ვაჭრობის სპეციფიკური ფაქტორების თეორია“. სამუელსონი-ჯონსის მიერ შემუშავებულ თეორიაში საქონლის წარმოებაში ორის ნაცვლად სამი ფაქტორი: შრომა, მიწა და კაპიტალი მონაწილეობს. დეივიდ რიკარდოსა და ჰეკშერ-ოლინის თეორიების მიხედვით ქვეყანა უზრუნველყოფილია წარმოების ფაქტორებით, რომელთაც შეუძლიათ ინდუსტრიებს შორის თავისუფალი გადაადგილება, თუმცა პრაქტიკაში ფაქტორთა სრული მობილურობა, განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში, რეალობას მოკლებულია. შესაბამისად, ჩნდება კითხვები იმის შესახებ, როგორ განვითარდება საერთაშორისო ვაჭრობა, თუ წარმოების ზოგიერთი ფაქტორი არ იქნება მოძრავი და ვერ გადაადგილდება დარგებს შორის. აღნიშნული კითხვის პასუხად შეიძლება მივიჩნიოთ წარმოების სპეციფიკური ფაქტორების თეორია. მოცემული თეორიის მიხედვით, საერთაშორისო ვაჭრობა ეფუძნება საქონლის ფარდობით ფასებში განსხვავებებს, რასაც იწვევს ქვეყნებში არსებული წარმოების სპეციფიკური ფაქტორების განსხვავებული რაოდენობა. წარმოების სპეციფიკური ფაქტორების თეორია კლებადი შემოსავლის კანონს ემყარება, რაც გულისხმობს, რომ წარმოებაში ინვესტირებული შრომის ყოველი დამატებითი ერთეული იწვევს მისი მოცულობის სულ უფრო მცირე ზრდას. აღნიშნულ მოდელში წარმოების ფაქტორები იყოფა მობილურ და სპეციფიკურ ფაქტორებად: მობილური ფაქტორები თავისუფლად გადაადგილდება ინდუსტრიებს შორის, ხოლო სპეციფიკური ფაქტორები შესაძლებელია უმოძრაო იყოს გარკვეულ ინდუსტრიებს შორის. საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად ვითარდება ექსპორტის სექტორისთვის დამახასიათებელი ფაქტორები, იმპორტის კონკურენტი სექტორისთვის დამახასიათებელი - მცირდება (Soumaya, Wilson, Nixon, 2003, p. 139).

სპეციფიკურ ფაქტორთა მოდელზე დაყრდნობით, თავისუფალი ვაჭრობის მომხრენი ძირითადად იქნებიან საექსპორტო ინდუსტრიების სპეციფიკური ფაქტორების მფლობელები, თავისუფალი ვაჭრობის მოწინააღმდეგენი კი უმეტესწილად იქნებიან ისინი, ვინც იმპორტის კონკურენტი სექტორის სპეციფიკურ ფაქტორებს ფლობენ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ვაჭრობას არ ექნება მკვეთრი გავლენა მობილური ფაქტორების მფლობელთა შემოსავლებზე (Suranovic, 2010, p. 239). ამრიგად, მოცემული თეორია მნიშვნელოვანი წინაპირობაა ქვეყნების კონკურენტუნარიანობის შესახებ თეორიული შეხედულებების განვითარების გზაზე, ვინაიდან ქვეყნის წილი საერთაშორისო ვაჭრობაში მისი კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია.

1979 წელს პოლ კრუგმანი თავისი ახალი სავაჭრო თეორიით მხარს უჭერს თავისუფალი ვაჭრობის თანმიმდევრულ, ეტაპობრივ განვითარებას. არ არსებობს მეთოდი იმის გასარკვევად, თუ რომელი ინდუსტრია გახდება მომგებიანი ინვესტიციების მოსაზიდად და რომელი მათგანი მოუტანს ქვეყანას მეტ შემოსავალს, შესაბამისად, ეტაპობრივი მოქმედებებით შესაძლებელი გახდება იმ უზარმაზარი პოლიტიკური ხარჯების შემცირება, რაც თან ახლავს სტრატეგიულ ვაჭრობაში სახელმწიფოს ჩარევას. აღსანიშნავია, რომ პოლ კრუგმანმა მიიღო ნობელის პრემია საერთაშორისო ვაჭრობის ანალიზისთვის, რომელშიც კრუგმანმა უარყო მითი იმის შესახებ, რომ თანამედროვე ვაჭრობა ძირითადად ეკონომიკურად არათანაბარ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს. ამის საპირისპიროდ, მან აჩვენა რომ ვაჭრობა მიმდინარეობს განვითარების თვალსაზრისით ახლოს მყოფ, მსგავსი მახასიათებლების მქონე ქვეყნებს შორის, სადაც მომხმარებლები პროდუქტის მრავალფეროვან არჩევანს ითხოვენ, რაც სამრეწველო წარმოებაში მასშტაბის ეფექტიან ეკონომიას იწვევს (Krugman, 1979).

განვითარების მეორე ეტაპზე ფორმირებულ კიდევ ერთ თეორიას წარმოადგენს მაიკლ პორტერის მიერ 1985 წელს ჩამოყალიბებული ღირებულებათა ჯაჭვის კონცეფცია. აღნიშნული კონცეფცია დაფუძნებულია იმ აქტიურობების ერთობლიობაზე, რომელსაც კომპანია ახორციელებს მომხმარებლებისთვის გარკვეული ღირებულებების შესაქმნელად. კონცეფციის მიხედვით კომპანიის საქმიანობა იყოფა პირველად და

დამხმარე აქტიურობებად. პირველადი აქტიურობები (წარმოება, სერვისი, ინფრასტრუქტურა, მარკეტინგი და გაყიდვები და სხვ.) მყისიერ გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და რეალიზაციაზე, ხოლო დამხმარე აქტიურობები (ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიური განვითარება, ადამიანისეული რესურსების მართვა და სხვ.) პირველადის შემავსებელია და არსებითია ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ქვეყანაში არსებული კომპანიების წარმატებული ოპერირება და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდაა, ღირებულებათა ჯაჭვის მოცემული კონცეფცია მნიშვნელოვანია (Porter, 1985, pp. 45-50).

კონკურენტუნარიანობის შესახებ ცნების ევოლუციის მესამე ეტაპზე შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ექვსი კონცეფცია:

პირველი, მაიკლ პორტერის მიერ 1990 წელს ჩამოყალიბებული „ეროვნული კონკურენტული უპირატესობის კონცეფცია“, რომელიც პარაგრაფ I.1-ში დავახასიათეთ ე.წ. „აღმასის მოდელის“ სახით.

მეორე, მაიკლ პორტერის მიერ 1990 წელს ჩამოყალიბებული „ქვეყნების კონკურენტული განვითარების ეტაპები“, რომლის მიხედვითაც გამოყოფილია ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ეტაპები ოთხი მამოძრავებელი ძალის შესაბამისად. ეს არის წარმოების, ინვესტიციების, ინოვაციებისა და სიმდიდრის ფაქტორები. პირველ სამ ეტაპზე ეროვნული კონკურენტუნარიანობა იზრდება, ხოლო მეოთხე ეტაპზე კი შეიმჩნევა ზრდის თანდათანობით შენელება. დავახასიათოთ თითოეული ეტაპი (Lengyel, 2007, pp. 599-601; Porter, 1990).

1. **წარმოების ფაქტორებით განპირობებული ეტაპი.** ამ ეტაპზე ქვეყნის თითქმის ყველა კონკურენტუნარიანი ინდუსტრია სარგებლობს წარმოების ძირითადი ფაქტორებით, ძირითადად ბუნებრივი რესურსებითა და არაკვალიფიციური შრომით;
2. **ინვესტიციით განპირობებული ეტაპი.** ამ ეტაპზე ეროვნული კონკურენტული უპირატესობა ემყარება ქვეყნის და მისი ფირმების მზაობასა და უნარს,

განახორციელონ აქტიური ინვესტიციები. ფირმები ინვესტირებას ახდენენ გლობალურ ბაზრებზე არსებული საუკეთესო ტექნოლოგიებით აღჭურვილი, თანამედროვე, ეფექტიანი და ფართომასშტაბიანი საწარმოების მშენებლობაში;

3. **ინოვაციებით ამოძრავებელი ეტაპი.** ამ ეტაპს ეწოდება „ინოვაციაზე ორიენტირებული“, რადგან ფირმები ქმნიან ინოვაციურ ტექნოლოგიებს. ეკონომიკის ინოვაციურ ეტაპზე კონკრეტული ფირმები კონკურენციას უწევენ მსოფლიო ბაზარზე ოპერირებად კომპანიებს ინდუსტრიის დიფერენცირებულ სეგმენტებში;

4. **სიმდიდრით ამოძრავებელი ეტაპი.** ქვეყნის ამ ეტაპზე გადასვლა ეროვნული კონკურენტუნარიანობის კლების დასაწყისია. მისი მამოძრავებელი ძალა უკვე მიღწეული სიმდიდრეა. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ადრე მიღწეული სიმდიდრით მართული ეკონომიკა ვერ შეინარჩუნებს ამ სიმდიდრეს. ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ის არის, რომ მენეჯერების, ინვესტორების, ინდივიდების მოტივაცია იცვლება იმ მიმართულებით, რაც ხელს არ უწყობს ინოვაციებში სისტემატურ ინვესტირებას და, შესაბამისად, მის გაუმჯობესებას.

ამრიგად, პორტერის მიერ ჩამოყალიბებული აღნიშნული ეტაპები პირდაპირ გვიჩვენებს გზას ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისკენ და აგრეთვე გვაძლევს სიგნალებს აღნიშნულ გზაზე მოსალოდნელი წინაღობების შესახებ.

მესამე, მაიკლ ენრაიტის მიერ ჩამოყალიბებული „რეგიონალური კლასტერების თეორია“, რომლის მთავარი ამოცანა, კონკურენტული უპირატესობის გეოგრაფიული მასშტაბის შესწავლა იყო. ენრაიტი ვარაუდობდა, რომ კონკურენტული უპირატესობები იქმნება არა ზენაციონალურ ან ეროვნულ, არამედ რეგიონულ დონეზე, სადაც მთავარ როლს რეგიონების განვითარების ისტორიული წინაპირობები, ბიზნეს კულტურის მრავალფეროვნება და წარმოებისა და განათლების ორგანიზება თამაშობს (Enright, 2003).

მეოთხე, ნორვეგიელი ეკონომისტის, ერიკ რეინერტის მიერ შემოთავაზებული „ეკონომიკური საქმიანობის ხარისხის ინდექსი“, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ეკონომიკაში. აღნიშნული ინდექსი აფასებს ეკონომიკურ აქტიურობას ქვეყნის მაღალი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის

შესაძლებლობის მიხედვით. რეინერტის ინდექსში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარებას (Kattel, Reinert, 2010).

მეხუთე, ამერიკელი ეკონომისტი პოლ კრუგმანის ერთ-ერთ ნაშრომში ქვეყნის კონკურენტუნარიანობა განხილულია, როგორც საქონლისა და მომსახურების წარმოების შესაძლებლობა, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო კონკურენციის მოთხოვნებს, რის შედეგადაც მოსახლეობის ცხოვრების დონე იზრდება (Krugman, 1994, p. 31).

ეროვნული კონკურენტუნარიანობის განვითარების შესახებ თეორიების ევოლუციის მესამე ეტაპის დასასრულად შეიძლება მივიჩნიოთ პორტერის კლასტერების მოდელი, რომელიც კონკურენციის თეორიის მნიშვნელოვანი ნაწილია. აღნიშნულ თეორიაზე დაყრდნობით, ფირმის კონკურენტული უპირატესობა არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებაში მდგომარეობს (Porter, 1998).

მნიშვნელოვანია განვიხილოთ უძველეს ქართველ მოღვაწეთა და თანამედროვე მკვლევართა აზრი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხის ირგვლივ.

საქართველოში ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრებასა და განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში ვკითხულობთ მის ნააზრევს ადამ სმიტის, დეივიდ რიკარდოს, ჯონ სტიუარდ მილის და სხვათა ნაშრომების შესახებ, რაც ნიშნავს, რომ იგი კარგად ერკვეოდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ევროპის ეკონომიკურ პოლიტიკაშიც. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ კონკურენცია ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი იყო. იგი ემხრობოდა თავისუფალ ვაჭრობას და ამბობდა რომ საქონლის გაცვლა თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი გადასახადისგან, ის გამობდა ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს უხეშ ჩარევას (ჭავჭავაძე, 1956). ილია თვლიდა, რომ თავისუფალი კონკურენცია დადებითი შედეგის მომტანი იქნებოდა მანამ, სანამ გაზრდიდა პროდუქციის ხარისხს, ან შეამცირებდა მის ფასს. სახელმწიფო მხოლოდ მაშინ უნდა ჩარეულიყო ბაზრის ფუნქციონირებაში, თუ მწარმოებელთა მიერ გადადგმული ნაბიჯები მოსახლეობის კეთილდღეობას შეასუსტებდა. რა თქმა უნდა, ემხრობოდა საერთაშორისო

ეკონომიკურ ინტეგრაციას და საქართველოს მოიხსენიებდა, როგორც კარიბჭეს ევროპასა და აზიას შორის (Veshapidze, Mchedlishvili, 2020, p. 3).

აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძის პოზიცია, რომელიც წერდა, რომ ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას განსაზღვრავს ერის მიერ გაწეული შრომა. შესაბამისად, მოუწოდებდა ქართველ ერს, რომ საზღვარგარეთულ ქვეყნებში არსებულ უკეთეს ეკონომიკურ პირობებზე კი არ დარჩენოდათ თვალი, არამედ ეშრომათ იმისთვის, რომ საქართველოსაც მიეღწია მსგავსი ეკონომიკური წარმატებისთვის. ამ წარმატების გასაღებს კი წარმოების კარგ ორგანიზებასა და შრომის სათანადო პირობების შექმნაში ხედავდა, რისი უზრუნველყოფის შემდეგაც შესაძლებელი გახდებოდა უცხოური გამოცდილების გაზიარება, კაპიტალის მოზიდვა და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა. როგორც ნიკო ნიკოლაძის ნააზრევთან აღვნიშნეთ, საზოგადოება იღებს იმ ზომის კეთილდღეობას, რა სიდიდის შრომასაც დებს მასში.

როგორც ვხედავთ, საქართველოში კონკურენტუნარიანობის მნიშვნელობის შესახებ მოსაზრებების ჩამოყალიბება მრავალი წლის წინ დაიწყო. უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის დიდ ქართველ მოღვაწეთა ნააზრევი იმდენად ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ღირებულებებზე დაფუძნებული, სწორად გააზრებული და სიღრმისეულად გადმოცემულია, რომ დღეს, განუსაზღვრელი შესაძლებლობების არსებობის საუკუნეში, როდესაც ვკითხულობთ თანამედროვე მეცნიერ-მკვლევართა მიერ ჩამოყალიბებულ და საყოველთაოდ აღიარებულ თეორიებს, ვხედავთ, რომ ფუნდამენტი ამ თეორიებისთვის არის საკითხები, რომლებსაც ქართველი მოღვაწეების ნააზრევში ვკითხულობთ.

მიმდინარე პერიოდში, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორად გლობალური კონკურენტუნარიანობა მიიჩნევა, ვინაიდან მის გარეშე შეუძლებელია საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

დღეისათვის, საქართველოში კონკურენციის პოლიტიკას არეგულირებს „კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი“, რომელიც იცავს ბაზარს არასამართლიანი კონკურენციისგან და უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარებას. არასამართლიანი კონკურენციის ცნების ქვეშ შესაძლოა მოიაზრებოდეს ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებები გამოხატული ბაზრის განაწილების, ფასების

დაფიქსირებისა და სხვა სახით, რითაც იზღუდება კონკურენცია და ზიანი ადგება მომხმარებელთა უფლებებს (გოგიაშვილი, 2009, გვ. 60). ზემოთ აღნიშნული კანონის დაცვის გარანტი არის საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ჯანსაღი კონკურენცია ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე. ეროვნულ დონეზე კონკურენტუნარიანობის განვითარების ირგვლივ შეიძლება გამოვეყნოთ თანამედროვე ქართველ მეცნიერ-მკვლევართა შეხედულებები:

ელდარ ისმაილოვისა და ვლადიმერ პაპავას წიგნში „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები“ ვკითხულობთ: ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მის უნარზე, ნაყოფიერად გამოიყენოს ეროვნული, შრომითი, მატერიალური, ბუნებრივი და ფინანსური რესურსები. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ნებისმიერი სახის კონკურენცია, რადგან ის წარმოადგენს ეკონომიკის მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის ერთგვარ სტიმულს. საერთაშორისო კონკურენციის პირობებში ქვეყნებს საშუალება ეძლევათ სპეციალიზდნენ იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, რომელშიც შედარებით უფრო კონკურენტუნარიანნი არიან სხვა ქვეყნებთან შედარებით (ისმაილოვი, პაპავა, 2007, გვ. 167).

პროფესორ ვლადიმერ პაპავას ნაშრომში „საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე“, ხაზგასმულია, რომ პრაქტიკაში არც ერთი ქვეყნის ბაზარზე რეალურად არ დაფიქსირებულა სრულყოფილი კონკურენცია და ის საბაზრო ეკონომიკაში მხოლოდ გარკვეული ეკონომიკური კანონზომიერებების შესასწავლად გამოიყენება (პაპავა, 1995).

პროფესორი ეთერ ხარაიშვილი კონკურენციას ახასიათებს როგორც მეტოქეობას, რომელიც მიმართულია მომგებიანი, უკეთესი პირობების მიღებისკენ (ხარაიშვილი, 2011, გვ. 13). აღსანიშნავია აგრეთვე ქართველი ეკონომისტების, რევაზ გველესიანისა და ირინა გოგორიშვილის განმარტება კონკურენციის შესახებ, რომლის თანახმადაც კონკურენცია, ეს არის ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სუბიექტების სხვადასხვა სახის საქმიანობა, რომლებიც სამეურნეო მეტოქეობაში ჩართულნი და ურთიერთდამოკიდებულნი არიან, შესაბამისად, თითოეული სუბიექტი დასახული მიზნის მისაღწევად იყენებს კონკურენტების შევიწროების პოლიტიკას (გველესიანი, გოგორიშვილი, 2012).

ქართველი ეკონომისტი სლავა ფეტელავა აღნიშნავს, რომ კონკურენტუნარიანობის შესახებ მიდგომები და განმარტებები ვითარდებოდა და ვითარდება ეკონომიკური თეორიების განვითარების კვალდაკვალ, თუმცა ის, რაც დღესაც უცვლელი რჩება და მანამ იარსებებს, სანამ სოციალური არსებობს არის კონკურენცია (ფეტელავა, 2008, გვ. 26).

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უცხოელ და ქართველ მეცნიერ-მკვლევართა განმარტებების განხილვის პარალელურად მნიშვნელოვანია სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩამოყალიბებული განმარტებები.

OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) ეროვნულ კონკურენტუნარიანობას განმარტავს, როგორც ქვეყნის შესაძლებლობას, უზრუნველყოს მთლიანი სამამულო პროდუქტის მიზნობრივი მაჩვენებელი, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას (Aiginger, Barenthaler-sieber, Vogel, 2013, p. 9).

WEF-ის (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი) განმარტებით ქვეყნის კონკურენტუნარიანობა არის ინსტიტუტების და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ქვეყნის პროდუქტიულობის დონეს განსაზღვრავენ. პროდუქტიულობის დონე კი ქვეყნის კეთილდღეობის დონის განმსაზღვრელია (Cann, 2016).

IMD (მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი) კონკურენტუნარიანად მიიჩნევს ქვეყანას, სადაც შექმნილია ისეთი გარემო, რომელშიც კონკურენტუნარიანი ბიზნესი წარმოიქმნება (Bris, et al., 2016).

IMD და WEF ატარებენ კონკურენტუნარიანობის ანალიზს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. აღნიშნული ორგანიზაციები გამოსცემენ ყოველწლიურ ანგარიშს (შესაბამისად, Competitiveness Yearbook და Global Competitiveness Reports), სადაც გაანალიზებულია კონკურენტუნარიანობის შესახებ მსოფლიოს უახლესი ტენდენციები. მეთოდოლოგიები, რომელიც აღნიშნული ანგარიშის მომზადების პროცესში გამოიყენება, ორივე ორგანიზაციისთვის თითქმის იდენტურია, მოიცავს ფაქტორთა მრავალფეროვნებას, და ემსახურება მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ქვეყნის წარმატების განსაზღვრას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ეროვნული კონკურენტუნარიანობის ცნება გასული საუკუნეებიდან დღემდე მუდმივად ვითარდება, რაშიც ჩართულნი არიან მეცნიერ-

მკვლევრები და საერთაშორისო ორგანიზაციები. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოებული ანგარიშები მნიშვნელოვანად ასტიმულირებს მასში შემავალი ქვეყნების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ სწრაფვას სხვადასხვა მიმართულებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქვეყნის პოზიცია აღნიშნული ანგარიშების მიერ წარმოებულ რეიტინგებში მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და ზოგადად იმიჯის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია. ეს უკანასკნელი პირდაპირ უკავშირდება უცხოელი ინვესტორების ქვეყნით დაინტერესებას, რაც საბოლოოდ ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სექტორის განვითარების გასაღებს წარმოადგენს.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროვნული კონკურენტუნარიანობა ეს არის ჯაჭვი, რომელშიც გაერთიანებულია კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალა ეროვნული კეთილდღეობის განმსაზღვრელ ყველა სფეროში, სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ მიზნად დასახული და გატარებული სწორი, მიზანმიმართული და რეალობას მორგებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და როგორც პირად, ასევე ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი, რასაც საბოლოოდ საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფამდე მივყავართ.

I.3 ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების ეკონომიკური მაჩვენებლები

კონკურენტუნარიანია ქვეყანა, სადაც ყალიბდება ქმედითი პირობები იმისთვის, რომ ეკონომიკურმა აგენტებმა შექმნან სიმდიდრე და ჰქონდეთ შესაძლებლობა შეიმუშავონ და განახორციელონ „ბედნიერი მოსახლეობის“ ინდივიდუალური მიდგომები (Frey, Stutzer, 2002, p. 402). შესაბამისად, მანამ, სანამ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენცია პირადი ეკონომიკური სარგებლის მიღების პარალელურად „ბედნიერი მოსახლეობის“ მიდგომების შესამუშავებლად მიმდინარეობს, ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ (Mankiw, 2014, p. 7), წარმოიქმნება მოთხოვნა და იქმნება ჯანსაღი კონკურენცია, რაც ეკონომიკის გამართული ფუნქციონირებისკენ წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასება წარმოდგენილია ეკონომიკის რეალური მდგომარეობის ანალიზის გარეშე, რომელიც თავის მხრივ, უტყუარი

ინფორმაციის არსებობას მოითხოვს (ხადური, 2002, გვ. 52). ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ირგვლივ მეცნიერ-მკვლევართა მიერ ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახეობის განმარტება, რომელთა განხილვაც კონკურენტუნარიანობის შეფასების პროცესის მუდმივი თანმდევია. თეორიული ასპექტის მნიშვნელოვნების მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკის მიმდინარე და მომავალი მდგომარეობის ანალიზისთვის, რომელიც სხვა მრავალ მაჩვენებელთან ერთად კონკურენტუნარიანობასაც მოიცავს, აუცილებელია მაკროეკონომიკური ინდიკატორების გამოყენება. ამრიგად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების დროს, რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული შედეგის მისაღებად, აღნიშნული საკითხის ირგვლივ ჩამოყალიბებული თეორიული ცნებების გარდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდიკატორებს, რომლებიც ქვეყნის განვითარების დონისა და მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის პოტენციალის შესახებ ეკონომიკურ და სტატისტიკურ მონაცემებს გვაწვდის. მთელი რიგი ინდიკატორებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი (ბარათაშვილი, გეჩბაია, ღლონტი, 2012, გვ. 33-34; Marsh, Tokarick, 1994):

- ეროვნული ვალუტის სტაბილურობა;
- სამომხმარებლო ფასების ინდექსი;
- მთლიანი სამამულო პროდუქტი და მისი ცვლილება;
- მთლიანი ეროვნული შემოსავალი;
- მთლიანი ეროვნული დანაზოგი;
- უმუშევრობის დონე;
- შრომის პროდუქტიულობა;
- ეკონომიკური ზრდა ვაჭრობის თვალსაზრისით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი;
- ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი.

განვიხილოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის როლი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პოზიტიური სცენარის გასავითარებლად.

ქვეყნის მაკროეკონომიკურ ზრდასა და ეროვნულ დონეზე კონკურენტუნარიანობის ზრდას შორის დადებითი კორელაციური კავშირია. ეროვნული ვალუტის სტაბილურობა

არის მაჩვენებელი, რომელიც ქვეყნის მიმდინარე და მომავალ ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. მონეტარული სტაბილურობა შესაძლოა შეფასდეს (Bini-Smaghi, 1994):

1. მისი შიგა მსყიდველობითუნარიანობის მიხედვით (ფასების დონე);
2. მისი პოტენციური ღირებულებით მომავალში ხელმისაწვდომ თანხებთან მიმართებაში (საპროცენტო განაკვეთი);
3. მისი ფარდობითი ღირებულებით სხვა ვალუტებთან მიმართებაში (გაცვლითი კურსი).

ფასების სტაბილურობა არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც დაბალი, სტაბილური და პროგნოზირებადი ინფლაციის პირობებში შენარჩუნებულია ქვეყნის ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა. აღნიშნულის გასაზომად საშუალოვადიან პერიოდში სამომხმარებლო ფასების ინდექსი გამოიყენება (Carson, Dziobek, Enoch, 2002, p.137; Oner, 2023). სწრაფად მზარდი ინფლაციის შედეგად სხვა უარყოფით შედეგებთან ერთად, მცირდება ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარი, იზრდება საპროცენტო განაკვეთები და ფერხდება ეკონომიკური ზრდა. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არის მონეტარული პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც ცენტრალურ ბანკს ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნებას ავალდებულებს. აღნიშნული ე.წ. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი მეტ-ნაკლები წარმატებით გამოიყენება ინდუსტრიულ ქვეყნებში, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდა ინდუსტრიული ქვეყნებისა ამ მიდგომით მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, სარგებლობს (Croce, Khan, 2000).

განვითარებად ქვეყნებში, მაგალითად, საქართველოში, სათუთა ის საკითხი თუ რამდენად უზრუნველყოფს ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის დადგენა მის სტაბილურად დაბალ დონეზე შენარჩუნებას, რადგან ქვეყნები ეკონომიკის განვითარების დაბალი ტემპით, განიცდიან მნიშვნელოვან რყევებს სხვადასხვა მიმართულებით, რაც გვამღევეს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად აქცენტი უნდა გაკეთდეს არა რომელიმე ერთ მიმართულებაზე, არამედ საჭიროა კომპლექსური მიდგომა. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ დადგენილი სამიზნე მაჩვენებელი გადაიხედოს ცენტრალური ბანკის მიერ ქვეყნის ეკონომიკის რეალური მდგომარეობის შესაბამისად.

საინტერესოა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის შესახებ ჯოზეფ სტიგლიცის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ აღნიშნული რეჟიმის პრაქტიკაში განხორციელება დიდხანს არ გასტანს, რადგან განვითარებადი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს არ ძალუძთ ინფლაციის მართვა (პაპავა, 2020, გვ. 278). მოლოდინი ფასების სტაბილურობის შენარჩუნების ან მისი არასასურველი ცვლილების შესახებ განაპირობებს ეკონომიკური აგენტების ქმედებებს (Bernanke, 2006, p. 14). ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად უნდა შესრულდეს ფულის ძირითადი ფუნქციები და უზრუნველყოფილ იქნას მისი მსყიდველობითუნარიანობა (Gerdesmeier, 2011, p.5). გაცვლითი კურსის სტაბილურობის განსაზღვრა შესაძლებელია, როგორც ნომინალურად, ასევე რეალურად. რეალური გაცვლითი კურსის შესწავლა არის არსებითად მნიშვნელოვანი ეკონომიკურ აქტიურობაზე ზემოქმედების განსასაზღვრად. უნდა აღინიშნოს, რომ რეალური გაცვლითი კურსის არასტაბილურობის ეფექტი დამოკიდებულია ეკონომიკის გახსნილობაზე არა მხოლოდ ვაჭრობის კუთხით, არამედ მისი უნარით გავლენა იქონიოს შედარებით ფასებზე (Bini-Smaghi, 1994). მაშასადამე, რაც უფრო ღიაა ეკონომიკა მით უფრო მგრძნობიარეა ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ.

არსებობს სხვა მრავალი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე. მათ შორის არის ცენტრალური ბანკის ქმედებები გაცვლით კურსზე, ქვეყნის პოზიცია საერთაშორისო ასპარეზზე, ქვეყნის უსაფრთხოება და სტაბილური ბიზნეს გარემო, მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნა-მიწოდება, რაც დამოკიდებულია მათი შემოსავლის დონეზე, გემოვნებაზე, პრიორიტეტებსა და სხვა ფაქტორებზე. სუსტი ეროვნული ვალუტა აძვირებს იმპორტს, ხოლო ექსპორტს ასტიმულირებს. შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ძვირდება სამომხმარებლო კალათა, რაც აუარესებს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას. ეროვნული ვალუტის სტაბილურობა კი ქვეყანაში არსებულ სასაქონლო ბაზარზე სტანდარტული, კონკურენტული ფასების შენარჩუნებას უწყობს ხელს, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონეს გააუმჯობესებს. ასევე მნიშვნელოვანია სტაბილური ეროვნული ვალუტის გავლენა მთლიან სამამულო პროდუქტზე.

დღეისათვის, ფასების სტაბილურობის მონიტორინგისა და ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დასადგენად გამოიყენება ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორი, როგორიცაა სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI). CPI ზომავს ტიპური ოჯახის მოხმარებას ისეთ ყოველდღიურ საქონელსა და მომსახურებაზე, როგორიცაა საკვები, ტანსაცმელი, სასმელი, საცხოვრებელი, ტრანსპორტი, ჯანმრთელობა და სხვ. (Graf, 2020, p.11). CPI-ს უპირატესობას სამომხმარებლო კალათის, როგორც მისი გამოთვლის მეთოდის ქვეყნებს შორის შედარებითობა წარმოადგენს. აღნიშნული ინდიკატორის აგების მაღალი სიზუსტე, ხელმისაწვდომობა და განახლების ხშირი შესაძლებლობა კი, კიდევ უფრო ღირებულს ხდის მის გამოყენებას ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ანალიზის დროს (Marsh, Tokarick, 1994).

მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP) არის მაკროეკონომიკური ინდიკატორი, რომელიც ერთობლივი გამოშვების ყველაზე განზოგადებული მაჩვენებელი და ეკონომიკური აქტიურობის საზომია, შესაბამისად ფუნდამენტს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას მთლიანი სამამულო პროდუქტის ცვლილების ანალიზი წარმოადგენს. საყოველთაოდ დამკვიდრებული განმარტების თანახმად მთლიანი სამამულო პროდუქტი არის ქვეყნის შიგნით, დროის განსაზღვრულ პერიოდში წარმოებული საბოლოო პროდუქციისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება (Mankiw, 2014, p. 479). ეკონომიკის მთლიანი სამამულო პროდუქტის ფორმულა შემდეგნაირად გამოისახება:

$$GDP = C + G + I + (X - M),$$

სადაც: C არის მოხმარება, იგივე სამომხმარებლო დანახარჯები; I - ბიზნესისა და შინამეურნეობების კაპიტალური ინვესტიციები; G - სამთავრობო დანახარჯები (X-M) - ექსპორტისა და იმპორტის სხვაობა, იგივე წმინდა ექსპორტი (NX).

როგორც მოცემული ფორმულიდან ვხედავთ, რაც უფრო მაღალია წმინდა ექსპორტის მაჩვენებელი მით უფრო მეტია ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტი, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წმინდა ექსპორტსა და ეროვნული ვალუტის სიმდიერეს შორის უარყოფითი კორელაციაა. ნათელია, რომ წმინდა ექსპორტის ზრდით გამოწვეული მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდა, ეროვნული ვალუტის

სტაბილურობას შეასუსტებს. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ წმინდა ექსპორტის ზრდა ნაკლებად შედეგიანი იქნება ეკონომიკის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის, თუ მასთან ერთად ქვეყანაში არ განვითარდება ის მაჩვენებლები, რომელთაც შეუძლიათ დათრგუნონ ეროვნული ვალუტის გაუფასურების უარყოფითი შედეგები.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას აუცილებელია GDP-ის რეალური და ნომინალური მნიშვნელობების გათვალისწინება. ნომინალური GDP ზომავს ქვეყანაში წარმოებული ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულებას მიმდინარე ფასებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული მაჩვენებელი გვიჩვენებს კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ პროდუქციაზე დახარჯულ თანხას მიმდინარე ფასებში. რეალური GDP ითვალისწინებს ფასების ნებისმიერ ცვლილებას, შესაბამისად, თუ ნომინალურ GDP-ს დავაკორექტირებთ ფასების დონის ცვლილების შესაბამისად მივიღებთ რეალურ GDP-ს. აღნიშნული კორექტირებისთვის ე.წ. GDP დეფლატორი გამოიყენება (Dyner, Sheiner, 2018, p. 11).

$$GDP_d = \frac{nGDP}{rGDP},$$

სადაც: GDP_d - მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორია; $nGDP$ - ნომინალური მთლიანი სამამულო პროდუქტია, ხოლო $rGDP$ - რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი.

მაშასადამე, GDP დეფლატორი გვიჩვენებს თუ რამდენად გაიზარდა ფასები ადგილობრივი წარმოების პროდუქტსა და მომსახურებაზე, რაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და მთლიანად ეკონომიკის ზრდისთვის არსებითად მნიშვნელოვანია.

GDP-ის ცვლილების წლიურ საშუალო მაჩვენებელს მოცემული ეროვნული ეკონომიკისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში კი წარმოადგენს ადგილობრივ ვალუტაზე დაფუძნებული, საბაზრო ფასებში გამოხატული GDP-ის საანგარიშო წლის მნიშვნელობის სხვაობა მისი წინა წლის მნიშვნელობასთან, რომელიც ამ უკანასკნელთან არის დაპროცენტებული (WHO, n.d.). აღნიშნული მაჩვენებელი

ეკონომიკური სიჯანსაღისა და მომავალი შესაძლო ზრდის მაჩვენებელია, რომელიც შეგვიძლია შემდეგნაირი ფორმულირებით წარმოვადგინოთ (Mankiw, 2010, p. 27):

$$\Delta GDP = \frac{GDP_1 - GDP_0}{GDP_0} \times 100\%,$$

სადაც, ΔGDP მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპია, GDP_1 და GDP_0 კი შესაბამისად, მიმდინარე და წინა წლების მნიშვნელობებია. თუ ΔGDP დადებითი სიდიდეა ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკა იზრდება, ხოლო თუ უარყოფითია, მაშინ საქმე გვაქვს ეკონომიკურ რეცესიასთან. ეკონომიკური ზრდის პირობებში ქვეყანას აქვს პოტენციალი გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი სხვადასხვა დარგში, რაც ეკონომიკის რეცესიის ფონზე შეუძლებელია.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის შეფასებისთვის გამოიყენება ეკონომიკური ზრდის შეფასების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი - მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე. აღნიშნული მაჩვენებლის შემთხვევაში ბუნებრივია, რომ მხოლოდ მაშინ გაიზრდება ეკონომიკა, როდესაც მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ზრდას გადააჭარბებს. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ის ზრდა შესაძლებელია გამოიწვიოს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებამ, რაც ეკონომიკური ზრდის გამომწვევი არ შეიძლება იყოს. ეკონომიკის ზრდაზე მსჯელობის დროს საყურადღებოა ისიც, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება, შესაძლოა ეკონომიკური ზრდის გამომწვევი იყოს, თუმცა არა პოზიტიურ ჭრილში, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკა იზრდება მოსახლეობის გარდაცვალებისას დაკრძალვის ცერემონიებთან დაკავშირებული სხვადასხვა ეკონომიკური აქტიურობების შედეგად. ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანია არა კონკრეტული მაჩვენებლის ზრდა, არამედ იმ მიზეზების ანალიზი, რაც აღნიშნულ ზრდას განაპირობებს.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის შეფასების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მთლიანი ეროვნული შემოსავალი (GNI), რომელმაც პრაქტიკულად ჩაანაცვლა ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორი, როგორიცაა ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (GNP). GNP-ის დაანგარიშებისას არ გაითვალისწინება ეროვნული საზღვრები და მასში

შედის ქვეყნის ყველა მაცხოვრებლისა და ბიზნესის შემოსავლები, მიუხედავად იმისა ეს თანხები გაედინება საზღვარგარეთ თუ რჩება ქვეყნის საზღვრებში (Макконнелл, Брю, 1999, c. 142). მნიშვნელოვანია აგრეთვე ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის განხილვა, როგორიცაა წმინდა ეროვნული პროდუქტი (NNP).

GNP-ის გამოსათვლელი ფორმულა შემდეგნაირად გამოიყურება (Mankiw, 2010, p. 30):

$$GNP = GDP + FPFA - FPTA,$$

სადაც: FPFA ფაქტორული გადახდებია საზღვარგარეთიდან, ხოლო FPTA - ფაქტორული გადახდები საზღვარგარეთ.

რაც შეეხება GNI-ს, აღნიშნული ინდიკატორი ორიენტირებულია ეროვნულ პრინციპზე და აღრიცხავს ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ არსებული რეზიდენტი პირებისა და საწარმოებისგან ქვეყანაში შემოდინებულ სიმდიდრეს. GNI-ს განმასხვავებელი თავისებურება GDP-სგან სწორედ რომ გეოგრაფიული საზღვრებია. ქვეყნის GNI გაიანგარიშება, როგორც GDP-სა და ქვეყნის შიგნით არარეზიდენტებისგან მიღებული შემოსავლების სხვაობას დამატებული არარეზიდენტი საწარმოების მიერ რეზიდენტებისთვის გადასახდელი თანხები. GNI-ს გამოსათვლელი ფორმულა შემდეგნაირად გამოისახება (Galbis, 1991):

$$GNI = GDP + Y_{\text{გ}},$$

სადაც: GNI - მთლიანი ეროვნული შემოსავალი, ხოლო $Y_{\text{გ}}$ - საზღვარგარეთიდან წმინდა ფაქტორული შემოსავლებია.

NNP არის წმინდა ეროვნული შემოსავალი, რომელიც მიიღება მთლიანი ეროვნული შემოსავლიდან კაპიტალის ამორტიზაციის გამოკლებით, რაც გულისხმობს წლის განმავლობაში ქვეყანაში არსებული აქტივების (ქარხნები, დანადგარები, საცხოვრებელი შენობები და სხვ.) ცვეთას და შემდეგი ფორმულით გამოისახება (Mankiw, 2010, p. 30):

$$NNP = GNP - D,$$

სადაც: D ამორტიზაციის აღმნიშვნელო ცვლადია.

NNP არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სხვა ქვეყნებთან შედარებით ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად. მაშასადამე NNP შედარებითი საზომია,

რომელსაც შეუძლია გვიჩვენოს ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობა, მოგვაწოდოს ღირებული ინფორმაცია ბაზრის სიჯანსაღისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

რიგ შემთხვევებში, GNI მიჩნეულია ქვეყნების ცხოვრების სტანდარტის საუკეთესო განმსაზღვრელად, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ნაკლოვანებები, რომლებიც ამ ინდიკატორის გამოთვლას ახლავს თან, კერძოდ, GNI არ მოიცავს ცალმხრივ ტრანსფერებს, როგორცაა, მაგალითად, ფულად გზავნილებს, რაც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ცხოვრების დონის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს (Capelli, Vaggi, 2016). მთელი რიგი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ფულადი გზავნილებია უცხოური ვალუტის ქვეყანაში შემოდიანების მნიშვნელოვანი წყარო, რაც, თავის მხრივ, ეროვნული ვალუტის სტაბილურობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის სტაბილურობის შენარჩუნებას. ამასთან, ყველა ქვეყნის სტატისტიკური ორგანო ვერ ახერხებს აღნიშნული მაჩვენებლის დაანგარიშებას. შესაბამისად ასეთ ქვეყნებში ძირითად დასაყრდენ მაჩვენებლად GDP რჩება, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული მიზეზების გამო სრულფასოვნად მთლიანი სამამულო პროდუქტიც ვერ ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, რადგან მასში არ აღირიცხება ე.წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ (Lemieux, 2007, p. 8). ჩრდილოვანი ეკონომიკას სხვანაირად არაფორმალურ, მიწისქვეშა ან პარალელურ ეკონომიკასაც უწოდებენ. ის მოიცავს როგორც უკანონო ქმედებებს, აგრეთვე ლეგალური საქმიანობიდან მიღებულ დაურეგისტრირებელ შემოსავალს. შესაბამისად, ჩრდილოვანი ეკონომიკის ნაწილია ყველა ის საქმიანობა, რომელიც საგადასახადო ორგანოებში მოხსენიების შემთხვევაში დაიბეგრებოდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკიდან მიღებული შემოსავლის სულ მცირე ორი მესამედი ლეგალურ ეკონომიკაში იხარჯება და დადებით გავლენას ახდენს მასზე (Schneider, Enste, 2002). აქედან გამომდინარე, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა უნდა შეფასდეს სხვადასხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების გამოყენებით, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ცალკეული მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ნაკლოვანების გავლენა საბოლოოდ მიღებულ შედეგზე.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე შეფასდეს მისი მთლიანი ეროვნული დანაზოგი (GNS). ის წარმოადგენს მთლიანი ეროვნული შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც არ შედის საბოლოო მოხმარებაში და შედგება როგორც პირადი, ასევე ბიზნესისა და სახელმწიფო დანაზოგებისაგან. ზოგადად, ქვეყნები, რომლებშიც მთლიანი ეროვნული დანაზოგი მაღალია, მოსახლეობის მაღალი ცხოვრების სტანდარტითა და პოზიტიური, მდგრადი ეკონომიკური მდგომარეობით ხასიათდებიან. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის მეშვეობით შესაძლებელია პროგნოზების გაკეთება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის პოტენციალის, მისი ზრდის ან შემცირების შესახებ.

ეკონომიკური ზრდის, სოციალური სტაბილურობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას დასაქმების კუთხით. უმუშევრობის დაბალი დონე ნიშნავს ეკონომიკურად გამართული მოსახლეობის უმრავლესობას, რომელიც სამომხმარებლო ხარჯებს წარმართავს და აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას. მსოფლიო ბანკის მონაცემებით დასაქმების 1%-იანი ზრდა 0,6%-ით გაზრდის GDP-ს (ETHRWorld, 2023). ცალკეული ქვეყნის უმუშევრობის დონე გამოითვლება შემდეგი ფორმულით (Mankiw, 2010, p. 37):

$$U = \frac{P}{L},$$

სადაც U - უმუშევრობის აღმნიშვნელი ცვლადია, P - უმუშევარი მოსახლეობა, ხოლო L - სამუშაო ძალა.

მომდევნო ინდიკატორი, რომელიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ამავე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე შრომის პროდუქტიულობაა. ის არის ეკონომიკური ეფექტიანობის საზომი, რომელიც ადარებს საქონლისა და მომსახურების რაოდენობას მათი წარმოებისთვის საჭირო რესურსების რაოდენობასთან. შრომის პროდუქტიულობის ინდიკატორები შემდეგნაირად გამოითვლება:

$$GDP_{pv} = \frac{GDP_{cp}}{N_e},$$

სადაც: GDP_{pv} მთლიანი სამამულო პროდუქტია ერთ დასაქმებულზე, GDP_{cp} - მთლიანი სამამულო პროდუქტი მუდმივ ფასებში, N_e - დასაქმებულთა რაოდენობა.

$$GDP_{ph} = \frac{GDP_{cp}}{N_{wh}},$$

სადაც, GDP_{ph} არის მთლიანი სამამულო პროდუქტის ოდენობა სამუშაო საათზე გათვლით, ხოლო N_{wh} - დასაქმებულთა სამუშაო საათების მთლიანი რაოდენობა.

შრომის პროდუქტიულობის სტატისტიკით შესაძლებელია შეფასდეს ეკონომიკური ზრდის გამომწვევი მიზეზები. კერძოდ, ეკონომიკური ზრდა შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც დასაქმების ზრდამ, ასევე სამუშაო ძალის ეფექტიანმა მუშაობამ. ეკონომიკაში, თუ შრომის პროდუქტიულობა მაღალია, იწარმოება და მოიხმარება მეტი საქონელი და მომსახურება ისე, რომ არ იზრდება შესრულებული სამუშაოს მოცულობა. პროდუქტიულობა არის ცალკეული ინდივიდების, ადამიანთა ჯგუფის და ერის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი, შესაბამისად შეუძლებელია ქვეყანა იყოს კონკურენტუნარიანი, თუ მას პროდუქტიულობის დაბალი დონე აქვს.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა „ვაჭრობის თვალსაზრისით“. სხვადასხვა ქვეყნის განვითარების ისტორია ცხადყოფს, რომ შეუძლებელია განვითარდეს ქვეყანა ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში. ქვეყნების ინდივიდუალურობიდან, მათი გეოგრაფიული მდებარეობის, კულტურული თავისებურებების, რესურსებზე წვდომისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით ბუნებრივია, რომ თითოეული მათგანის განვითარებისკენ მიმავალი გზა ერთმანეთისგან განსხვავებულია, თუმცა ყოველი ქვეყნის შემთხვევაში გარდაუვალ აუცილებლობას ეკონომიკის გახსნილობა წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ შეუძლებელია ქვეყანა განვითარდეს გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობის გარეშე (მექვაბიშვილი, 2018, გვ. 240). ღია ეკონომიკა ქვეყნას მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობისკენ მიმავალ კარს უღებს, სადაც ეკონომიკური ზრდის და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საფუძველი სავაჭრო გახსნილობაა. ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში კი ქვეყანა სტაგნაციისა და ქრონიკული ჩამორჩენის პრობლემის წინაშე დგება (მექვაბიშვილი, 2018, გვ. 240). გლობალურ სავაჭრო სისტემაში ქვეყნის ჩართულობის

განსაზღვრისთვის იზომება ექსპორტისა და იმპორტის ჯამის მთლიან სამამულო პროდუქტთან თანაფარდობა.

მორიგი მაკროეკონომიკური ინდიკატორი, რომელიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე ზემოქმედებს არის სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი, რომელიც სამთავრობო შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობით იზომება. დადებით ბალანსს სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტი, უარყოფით ბალანსს კი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ეწოდება. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა შესაძლოა მნიშვნელოვნად შეაფერხოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდა, პროფიციტმა კი პირიქით, დაასტიმულიროს იგი (Mankiw, 2010, p. 485). მთავრობები ადგენენ ქვეყნის წლიურ საბიუჯეტო გეგმას, იღებენ სესხს პარტნიორი ქვეყნებისგან, რათა შედგენილი გეგმის მიხედვით განახორციელონ ისეთი სახეობის საჯარო ინვესტიციები, რომლებიც მოსახლეობის საკეთილდღეოდ გარდაიქმნებიან. სამთავრობო ვალის აღებას მაშინ აქვს აზრი, როდესაც მას შემოსავლის მომავალი ნაკადების გამომუშავება შეუძლია. სწორედ ამ მიზნით სესხულობს ერთი ქვეყანა, ხოლო მეორე ქვეყანა გაასესხებს ფულად სახსრებს. სამთავრობო ვალის არსებობა არ მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირეზე, რადგან სწორედ ამ პრინციპით ფუნქციონირებს მრავალი ქვეყნის ეკონომიკა, მთავარი არის ის, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა ნასესხები ფულადი სახსრებისგან შემატოს ეროვნულ ეკონომიკას სიცოცხლისუნარიანობა. სწორედ მთავრობის ამ უნარზეა დამოკიდებული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარების პოტენციალიც.

სუვერენული რისკები, იგივე საკრედიტო რეიტინგი ყველა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს პარამეტრს წარმოადგენს, ის გავლენას ახდენს პირდაპირი ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილებაზე (Luitel, Vanpee, 2018, p. 5), ჩვენთვის კი ცნობილია, რომ ქვეყანაში ინვესტიციების დონე და კონკურენტუნარიანობის ზრდა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ქვეყანა ნაყოფიერი საინვესტიციო ნიადაგით ასტიმულირებს ეკონომიკურ აქტიურობას და აუმჯობესებს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. შესაბამისად, იმ ქვეყანაში, რომელშიც ინვესტიციების განხორციელება მიმზიდველია, კონკურენტუნარიანობის ზრდის პოტენციალიც მაღალია.

თავი II. პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ძირითადი სირთულეები და გამოწვევები

II.1. ნეკროეკონომიკა როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დაუძლეველი წინაღობა

ეკონომიკა ფუნქციონირებს მომხმარებლების, კერძო საწარმოებისა და სახელმწიფოს ერთობლივი ქმედებით, სადაც მომხმარებლები იძენენ იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელსაც აწარმოებს ბიზნესი, ხოლო სახელმწიფო მონაწილეობს როგორც პროდუქციის შეძენაში, ასევე დასაქმების ზრდასა და გადასახადების დაწესებაში.

ქვეყნების მიხედვით განსხვავდება ეკონომიკის შემადგენელი ორგანოების განვითარების დონე და ფუნქციონირების პრინციპები, თუმცა ყოველი ქვეყნისთვის მთავარ გამოწვევას ეკონომიკის გამართული ფუნქციონირება, ე.ი. კერძო სექტორის, მომხმარებლებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ურთიერთქმედება წარმოადგენს.

განვითარების დონის, ისტორიული თავისებურებების, გეოპოლიტიკური მდებარეობისა და სხვა მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თავისებურებების მიხედვით ყოველი ქვეყნის ეკონომიკა განსხვავებულია. შესაბამისად, განსხვავდება მათი კონკურენტუნარიანობის მიღწევისკენ მიმავალი გზაც. ქვეყნის სახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის, პროდუქციის წარმოების, სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობებისა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მაღალ დონეზე ფუნქციონირების გამო ზოგიერთი ქვეყნისთვის უფრო მარტივია კონკურენტუნარიანობის მოპოვება. ქვეყნებს კი ღარიბი ეკონომიკური წარმოებით, დაბალი ან საშუალო განვითარების დონითა და იმპორტდამოკიდებული მოხმარებით, კონკურენტუნარიანობისკენ მიმავალ გზაზე მრავალი წინაღობის გადალახვა მოუწევთ.

ნეკროეკონომიკა, იგივე „არასიცოცხლისუნარიანი ეკონომიკა“ ქვეყნის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც მასში არსებული წარმოება ეკონომიკურ აქტიურობაზე გავლენას ვერ ახდენს, რადგან წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა არ წარმოიქმნება. აღნიშნულის გამომწვევი შესაძლოა იყოს პროდუქციის წარმოების მაღალი დანახარჯები ან მისი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა (პაპავა, 2010ა, გვ. 22-23; 2010ბ, გვ. 37-38; პაპავა, 2020, გვ. 120).

ზოგადად, ნეკროეკონომიკის წარმოშობა დაკავშირებულია კომუნისტური რეჟიმის ნგრევასა და მისი ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესთან. ზოგიერთმა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, რაც ევროკავშირში მათ გაწევრიანებაში გამოიხატა, ხოლო დანარჩენმა ქვეყნებმა გეოგრაფიული მდებარეობის ან ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამო ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ მოიპოვეს დასავლური სამყაროს სრულფასოვანი წევრობა და ე.წ. აუტსაიდერ ქვეყნებად იქცნენ (Papava, Tokmazishvili, 2008, p. 2). მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი დასრულებულად შეიძლება მივიჩნიოთ პოსტკომუნისტური ქვეყნების იმ ნაწილისთვის, რომლებიც ევროკავშირის ოჯახს შეუერთდნენ. აუტსაიდერ ქვეყნებთან დაკავშირებით კი ეკონომისტთა ნაწილი თვლის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი კვლავ მიმდინარეობს, თუმცა არსებობს მოსაზრება იმის შესახებაც, რომ რეალურად ამ ქვეყნებშიც დასრულებულია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი და ჩამოყალიბებულია ე.წ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი, რომლის საფუძველსაც ნეკროეკონომიკა წარმოადგენს (Papava, 2010a, p. 362).

შეუძლებელია მთლიანი ეკონომიკური სისტემა არასიცოცხლისუნარიანი იყოს. გამოდის, რომ როდესაც ეკონომიკის გარკვეული ნაწილი მკვდარია, მისი სხვა ნაწილი სიცოცხლისუნარიანია და ეკონომიკის საკეთილდღეოდ ფუნქციონირებს. შესაბამისად, ნეკროეკონომიკის ცნების გვერდზე უნდა განვიხილოთ ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანი ნაწილის შემსწავლელი ე.წ. „ვირტუალური ეკონომიკის“ ცნება, რომელსაც პირობითად ვიტალური ეკონომიკა, ანუ ვიტაეკონომიკა შეიძლება ეწოდოს. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ ვიტაეკონომიკაში წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა არსებობს, ხოლო ნეკროეკონომიკის პირობებში შექმნილ საბოლოო საქონელზე მისი დაბალი ხარისხის ან მაღალი ფასის გამო მოთხოვნა არ წარმოიქმნება (პაპავა, 2010ა, გვ. 23-24; Papava, 2005, p. 31-32; Papava, 2009, p. 199).

ნეკროეკონომიკასა და ვიტაეკონომიკას შორის არსებული კავშირის განხილვის შემდეგ, უნდა აღვნიშნოთ მათგან შემდგარი ხუთი ჯგუფი, რომლებსაც ვხვდებით პოსტკომუნისტურ ეკონომიკაში. პირველი მათგანი სახელმწიფო სექტორში ფუნქციონირებადი ნეკროეკონომიკაა, ეს უკანასკნელი ძირითადად გადამამუშავებელ

მრეწველობაში ვლინდება, რომელში წარმოებული პროდუქციაც როგორც წესი, სტრატეგიული დანიშნულების მქონეა, თუმცა ვინაიდან აღნიშნული საწარმოები არაკონკურენტუნარიანია, მათში წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა არ არსებობს. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება სახელმწიფო სექტორში ფუნქციონირებადი ვიტაეკონომიკა, რომლის ძირითად საფუძველსაც ენერგეტიკა, ვაჭრობა, მომსახურება, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა წარმოადგენს, რაც შეეხება, ნეკროეკონომიკას კერძო სექტორში, მესამე ჯგუფს მიეკუთვნება და მოიცავს გადამამუშავებელი მრეწველობის მქონე საწარმოების იმ ნაწილს, რომლებმაც შეიცვალეს საკუთრების ფორმა და სახელმწიფო მფლობელობიდან კერძო საკუთრებაში გადავიდნენ (პაპავა, 2010ა, გვ. 24-25; Papava, 2005, p. 32-33), თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არ აქვს მნიშვნელობა თანამამრავლთაგან პირველის მნიშვნელობას, როდესაც მეორე მათგანი ნულის ტოლია. ე.ი. საკუთრების ფორმის ცვლილების მიუხედავად საწარმო, მოძველებული ტექნოლოგიებითა და არაკონკურენტუნარიანი წარმოებით ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისთვის კვლავ არაფრის მომცემი იქნება. მეორე ჯგუფის პრივატიზების შემთხვევაში გადავდივართ მეოთხე, პრივატიზებული ვიტაეკონომიკის ჯგუფში, რომელიც ძირითადად მრეწველობის მცირე და ზოგიერთ შემთხვევაში საშუალო ობიექტებს მოიცავს. ბოლო, მეხუთე ჯგუფი ახალი კერძო ინვესტიციებით შექმნილი ვიტაეკონომიკაა და მოიცავს ეკონომიკის ყველაზე „ჯანსაღ“ ნაწილს (პაპავა, 2010ა, გვ. 25-26; Papava, 2005, p. 32-22).

მოკლედ მიმოვიხილოთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა. პირველ რიგში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები დავყოთ გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით (Kaledin, 2009, p. 28):

- ბალტიის ქვეყნები: ესტონეთი, ლიტვა, ლატვია;
- ცენტრალური აზიის ქვეყნები: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი;
- სამხრეთ კავკასიის ქვეყნები: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი;
- აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები: უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა;
- რუსეთი.

ბალტიის ქვეყნები პოსტსაბჭოთა ქვეყნების იმ რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოახერხეს ქვეყანაში არსებული რესურსების მობილიზება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ლიბერალური დემოკრატიის დამყარება. დღეისათვის, სამივე ქვეყანა ევროკავშირის, ნატოს, ევროზონისა და OECD-ის წევრია, რაც ნებისმიერი ქვეყნისთვის, მით უფრო საბჭოთა წარსულის მქონეთათვის დიდ მიღწევას წარმოადგენს. მიმდინარე პერიოდში არაერთი ყოფილი საბჭოთა ქვეყნის მიზანს წარმოადგენს აღნიშნულ ორგანიზაციებში გაწევრიანება. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ბალტიის ქვეყნები მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციაში მაღალი შემოსავლის მქონე ეკონომიკებად არის მოხსენიებული (Hamadeh, Rompaey, Metreau, 2023).

ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ყაზახეთის ეკონომიკა ყველაზე დიდია როგორც აბსოლუტური, ასევე მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ოდენობით (WB, n.d.b.). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყაზახეთმა ორიენტირი მინერალური რესურსების მოპოვებასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე გააკეთა, რის შედეგადაც ის მაღალი საშუალო შემოსავლის მქონე ეკონომიკების რიცხვს შეუერთდა (OECD, n.d.b., pp. 19-20; Hamadeh, Rompaey, Metreau, 2023).

ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება ასევე ყირგიზეთი, რომელიც ითვლება დაბალი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანად (Hamadeh, Rompaey, Metreau, 2023). მიუხედავად უხვი ბუნებრივი რესურსების, ჰიდროელექტროენერგიის წარმოების შესაძლებლობის, სოფლის მეურნეობისა და ტურისტული ინდუსტრიის განვითარების დიდი პოტენციალისა, აღნიშნული ქვეყანა კვლავაც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანათა რიცხვშია (Karatayev, Clarke, 2014).

უზბეკეთი ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის გამოირჩევა ფულადი გზავნილების მზარდი რაოდენობით და მდგრადი ვაჭრობით, რასაც ხელს უწყობს მისი მდებარეობა. კერძოდ, უზბეკეთი რეგიონში ერთადერთია, რომელიც ესაზღვრება ცენტრალური აზიის დანარჩენ ოთხ ქვეყანას, ავღანეთს და მის არცერთ მეზობელს არ აქვს ზღვაზე უშალო გასასვლელი (Rakhmetov, Rakhmetova, 2022, p. 2). რა თქმა უნდა, აღნიშნული არ არის საკმარისი ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდისა და

განვითარების მაღალ საფეხურზე გადასვლისთვის, შესაბამისად უზბეკეთი, როგორც დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანა (Hamadeh, Rompaey, Metreau, 2023) განვითარებად ქვეყანათა რიგებს მიეკუთვნება.

ტაჯიკეთი მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მიხედვით ცენტრალური აზიის ყველაზე ღარიბ ქვეყნად სახელდება (WB, 2023a). აღნიშნულ ქვეყანაში ძალიან მაღალია სიღარიბის მაჩვენებელი, რაც დიდწილად გამოწვეულია არადივერსიფიცირებული საექსპორტო წარმოებით და რამდენიმე ძირითად კულტურაზე დამოკიდებულებით (Lerman, Sedik, 2008, p. 1). უნდა აღინიშნოს ტაჯიკეთის ეკონომიკის მაღალი სენსიტიურობა გარე შოკების მიმართ, რაც კიდევ უფრო აფერხებს ქვეყნის განვითარებას.

თურქმენეთი საშუალო შემოსავლის მქონე განვითარებადი ქვეყანაა, რომლის ეკონომიკაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა. ქვეყანა ფლობს ნავთობის მნიშვნელოვან რესურსებს და მსოფლიოში რეიტინგით მეხუთე ქვეყანაა გაზის მარაგებით. თურქმენეთი ახორციელებს ნახშირწყალბადის უხვ წარმოებასა და ექსპორტს. მის მთავარ სავაჭრო პარტნიორს კი ჩინეთი წარმოადგენს (Hojanazarova, 2023, p. 85-86).

როგორც ვხედავთ, ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა ქვეყნები განვითარების დონით ერთ საფეხურზე დგანან, თუმცა განსხვავებულია მათი შემოსავლები, სახელმწიფო რესურსები, სავაჭრო ურთიერთობები და განვითარების პოტენციალი. ზოგიერთი მათგანი უფრო ეფექტიანად იყენებს ქვეყანაში არსებულ რესურსს და განვითარების პოტენციალიც მეტი აქვს, მაშინ როცა, მაგალითად, თურქმენეთში სახელმწიფო მონოპოლისტური სისტემაა გაბატონებული, რაც ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციას ანადგურებს და შესაბამისად ხაზს უსვამს ქვეყნის საერთაშორისო, წარმატებულ მომავალს, თუმცა საბოლოო ჯამში სამივე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყანა მიეკუთვნება ე.წ. აუტსაიდერ პოსტკომუნისტურ ქვეყანათა რიცხვს, ვინაიდან აღნიშნული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური სისტემა ძალიან შორს არის დასავლური სტილის კაპიტალიზმისგან.

სამხრეთ კავკასიის სამივე პოსტსაბჭოთა ქვეყანა საშუალო შემოსავლის, განვითარებადი ეკონომიკის მქონეა. მეზობელ ქვეყნებს შორის ეკონომიკური

მაჩვენებლებით აზერბაიჯანი ლიდერობს, მას მოსდევს საქართველო, ყველაზე დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლებით კი სომხეთი ხასიათდება. დავიწყოთ პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანის განხილვით: აზერბაიჯანი მაღალი საშუალო შემოსავლის მქონე განვითარებადი ქვეყანაა, რომელიც ხასიათდება ეკონომიკური განვითარების მაღალი და უმუშევრობის დაბალი მაჩვენებლებით (Hamadeh, Rompaey, Metreau, 2023). ქვეყანას ნავთობისა და ბუნებრივი აირის უზარმაზარი ეროვნული რესურსი გააჩნია, სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აზერბაიჯანმა უარი თქვა სოფლის მეურნეობაზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე და ჩამოაყალიბა ინდუსტრიაზე დაფუძნებული ეკონომიკა, რომლის საფუძველიც ნავთობის წარმოების ინდუსტრიის გავრცელება გახდა (Muradov, 2021, p. 117-118; Niftiyev, 2020, p. 3). მიუხედავად ნავთობისა და გაზის სფეროში ოპერირებადი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა, აზერბაიჯანში არსებული ვითარება პრობლემურია კანონის უზენაესობის კუთხით. ქვეყანა მსოფლიო საშუალო მაჩვენებლებს ჩამორჩება აგრეთვე საკუთრების უფლებისა და სასამართლო ეფექტიანობის საკითხებში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხეთი ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად ჩამოყალიბდა, თუმცა ამ გზაზე მრავალი წინაღობის გადალახვა მოუწია, რომელსაც დეტალურად მოგვიანებით განვიხილავთ. ქვეყნის წამყვანი ინდუსტრიებია: მანქანათმშენებლობა, ლითონის დამუშავება, მეტალურგია, სამშენებლო მასალებისა და საკვები პროდუქტების წარმოება. აღსანიშნავია, რომ ქვეყანა ებრძვის დაბალი ინვესტიციების მაჩვენებელს, სუსტია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაც. (WB, 2023b) აზერბაიჯანის მსგავსად, ქვეყანაში კანონის უზენაესობა, სასამართლო ეფექტიანობისა და ქვეყნის საკუთრების უფლების მაჩვენებლები მსოფლიო საშუალო მაჩვენებლებზე დაბალია (IEF, 2023).

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა საქართველოს, ქვეყანა მცირე ზომის განვითარებადი ეკონომიკით ხასიათდება. მეზობელი სომხეთისგან განსხვავებით მას გააჩნია სტრატეგიული მნიშვნელობის გეოპოლიტიკური მდებარეობა. საქართველო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს უმოკლესი გზით აკავშირებს, როგორც მეზობელ სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ასევე ჩინეთის დასავლეთ ნაწილთან და სამხრეთ სპარსეთთან, რაც

ნათელს ჰყენს მის სატრანზიტო შესაძლებლობებს (ტყეშელაშვილი, კილაძე, 2017). ქვეყანა გამოირჩევა მდიდარი ბუნებრივი რესურსებითა და სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებით მაღალი ტემპებით. თუმცა, მიუხედავად განვითარების დიდი პოტენციალისა, საქართველო განვითარების დონით დსთ-ის წევრი ქვეყნების გვერდით განიხილება, ვინაიდან მისი ეკონომიკური განვითარება ჯერ კიდევ შორს არის დასავლური ქვეყნების ეკონომიკური მიღწევებისგან.

აღმოსავლეთ ევროპის სამივე პოსტსაბჭოთა ქვეყანა: უკრაინა, ბელარუსი და მოლდოვა განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებია, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან ცდილობდნენ სწორი პოლიტიკა გაეტარებინათ, ერთი მხრივ, რუსეთთან სტაბილური ურთიერთობის შესანარჩუნებლად, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად. 2022 წელს დაწყებულმა რუსეთის ომმა უკრაინაში ამ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. მიმდინარე პერიოდში მოლდოვა რუსეთის აგრესიის კიდევ ერთი სამიზნეა, მაშინ როდესაც ბელარუსი ცდილობს არც გაანაწყენოს მეგობარი რუსეთი, და არც მიემხროს მის ქმედებებს უკრაინასთან კონფლიქტში.

რუსეთის ფედერაცია, როგორც ფართობით, ასევე ეკონომიკური სიძლიერით ერთ-ერთ ყველაზე დიდ სახელმწიფოდ ითვლება. მისი სატრანსპორტო, ასევე ნავთობისა და გაზის პოტენციალი და ბირთვული სტრატეგიული ძალები ქვეყნის ძალაუფლებას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. რუსეთის ეკონომიკის სიძლიერის მიუხედავად უნდა აღინიშნოს მისი სისუსტე სახელმწიფოს მართვასა და საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში (ბახტაძე, ვეშაპიძე, ზუბიაშვილი, 2021, გვ. 230). ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები ორ ნაწილად იყოფა: ერთ მხარეს არიან ქვეყნები, რომლებზეც რუსეთი დომინირებს, და რომელთა დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ქვეყანა უმაღლეს მუქარის ენით იწყებს საუბარს, ხოლო მეორე მხარეს არიან ქვეყნები, რომლებიც ემიჯნებიან, აკრიტიკებენ და გმობენ რუსულ აგრესიულ პოლიტიკას და უარს აცხადებენ მასთან დიპლომატიურ ურთიერთობებზე.

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში კონკურენციის შეზღუდვა გახდა ნეკროეკონომიკის შექმნის წინაპირობა. აღნიშნულ ქვეყნებში „წარმატებით“

ფუნქციონირებენ არასიცოცხლისუნარიანი ფირმები, რომელთა წარუმატებლობაც გამოწვეულია მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც შედეგად დაბალხარისხიანი საქონლის წარმოებას იწვევს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ როგორ აგრძელებენ ფუნქციონირებას ისეთი ფირმები, რომელთა მიერ წარმოებულ პროდუქციაზეც მოთხოვნა არ არსებობს. ზოგადად, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მკვდარი ეკონომიკა არანაირ გავლენას არ ახდენს ეკონომიკის ჯანსაღად ფუნქციონირებად, ე.წ. ვიტალურ ნაწილზე და არაკონკურენტუნარიანი წარმოება უკვალოდ ქრება ეკონომიკური ციკლიდან. ამის საპირისპიროდ, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში მთავრობა ხელოვნურად აცოცხლებს ნეკროეკონომიკას, სუბსიდიების, გადასახადებისგან გათავისუფლებისა და მთავრობისთვის სხვადასხვა ხელმისაწვდომი ბერკეტების საშუალებით, რაც შედეგად ეკონომიკის სიცოცხლისუნარიან ნაწილზე უარყოფითად აისახება (Papava, 2005, p. 30). მართალია ნეკროეკონომიკა ძირითადად პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მკვდარი საწარმოების ფუნქციონირების პრობლემას გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იაპონიაშიც ვხვდებით.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი განხილვის საგანს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, ამ კონკრეტულ ქვეთავში კი ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე ნეკროეკონომიკის გავლენის ანალიზი წარმოადგენს, გავაანალიზოთ ნეკროეკონომიკის როლი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში მთავრობას, კერძო სექტორსა და მოსახლეობას თავისი წილი პასუხისმგებლობები აქვთ გადანაწილებული, თუმცა ძირითადი აქცენტი მაინც კერძო სექტორის გამართულ ფუნქციონირებაზე კეთდება, ვინაიდან მთავრობა მოწოდებულია ქვეყანაში უზრუნველყოს ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც მოსახლეობის ინტერესებს, ასევე შეუქმნის ღირსეულ, კონკურენტულ გარემოს ბიზნესს და შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო მოთხოვნებთან. მაშასადამე, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის აუცილებელია:

- მთავრობა, რომელიც ზრუნავს ქვეყნის იმიჯზე, მოსახლეობასა და ბიზნეს გარემოზე;
- მოსახლეობა, რომელიც ეროვნული კულტურის მატარებელი, სამუშაო ძალის მიმწოდებელი და წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის წყაროა;
- კერძო სექტორი, რომლის გამართულად ფუნქციონირებაზეც დიდწილად არის დამოკიდებული როგორც მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი, ასევე მთავრობის ქმედებები და ქვეყნის საერთაშორისო აღიარება ამა თუ იმ დარგში.

აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით გამოდის, რომ ქვეყანას შეუძლია იყოს კონკურენტუნარიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოსა და მოსახლეობის მხარდაჭერის კვალდაკვალ ქვეყანაში ვითარდება მაღალტექნოლოგიური წარმოება, რომლის შედეგიც კონკურენტუნარიანი პროდუქტია.

ახლა კი განვიხილოთ რა გავლენას ახდენს ნეკროეკონომიკა სახელმწიფოზე, მოსახლეობასა და კერძო სექტორზე და საბოლოო ჯამში როგორ აისახება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე:

- ნეკროეკონომიკა, იგივე მკვდარი ეკონომიკის სახელწოდებითაა ცნობილი, რომლის ფიქტიურ სიცოცხლესაც სახელმწიფო უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრებიდან. ბიუჯეტიდან არასიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური წარმოების დაფინანსებას კი უკუგება არ აქვს არც საზოგადოებრივი კეთილდღეობის და არც კერძო სექტორის განვითარების თვალსაზრისით. პირიქით, აღნიშნული ქმედება უარყოფითად აისახება ეკონომიკის კონკურენტუნარიან ნაწილზე. გამოდის, რომ ნეკროეკონომიკის უარყოფითი გავლენა სახელმწიფოზე იმაზე მეტია ვიდრე უბრალოდ მასში ჩადებული სახსრების პარალიზება. ნეკროეკონომიკა წარმოადგენს ტვირთს სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური წარმოებისთვის, რაც პრაქტიკულად დამლუპველია ქვეყნის კონკურენტუნარიანობისთვის;

- მოსახლეობაზე ნეკროეკონომიკის უარყოფითი გავლენა მკაფიოდ თვალსაჩინოა. გარდა იმისა, რომ არასიცოცხლისუნარიანი, უსარგებლო წარმოება ბიუჯეტის, ე.ი. მოსახლეობის ხარჯზე „ფუნქციონირებს“, დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობის მოხმარების შესაძლებლობებს, ვინაიდან კონკურენტული წარმოება ფერხდება და მცირდება პროდუქციისა და მომსახურების არჩევანი მომხმარებელთათვის;
- კერძო სექტორზე ნეკროეკონომიკას პირდაპირი, უარყოფითი გავლენა აქვს. იქიდან გამომდინარე, რომ ე.წ. უსიცოცხლო წარმოება ტვირთად აწვება ქვეყანაში არსებულ სიცოცხლისუნარიან, კონკურენტულ წარმოებას, ნელ-ნელა იწვევს აღნიშნული საწარმოების უკუსვლას და საწყის, წარმოების პრიმიტიულ ნიშნულზე აბრუნებს მათ. შედეგად, ნეკროეკონომიკის პირობებში ქვეყანაში არსებულ მკვდარ წარმოებას წარუმატებელი წარმოება ემატება, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის პოტენციალს ხაზს უსვამს.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ძირითადი ფაქტორი, რაც ხელს უწყობს მკვდარი ფირმების მბრძანებლური ეკონომიკის რეჟიმში ფუნქციონირებას. ამ უკანასკნელს წარმოადგენს წლების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიცია, რომელიც სახელმწიფო მხარდაჭერის საფუძველზე მკვდარი საწარმოების უსარგებლო ფუნქციონირებას უწყობს ხელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მკვდარი ფირმების მფლობელობაში არსებული საწყობები გაივსება მათ მიერ წარმოებული არაკონკურენტუნარიანი პროდუქციით, შედეგად შეუძლებელი გახდება შემოსავლის მობილიზება და დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურებით დაკმაყოფილება. საბოლოოდ, ეს მდგომარეობა სახელმწიფოსადმი უიმედო ვალების დაგროვებას და საწარმოების ურთიერთდავალიანების აბსურდულ ქსელს წარმოქმნის (პაპავა, 2010ა, გვ. 29; Papava, 2005, p. 33-34).

მბრძანებლურ ეკონომიკაში არასიცოცხლისუნარიანი ფირმების მიერ ე.წ. უიმედო ვალების დაგროვებისადმი უდარდელი დამოკიდებულება განპირობებული იყო წლების განმავლობაში დამკვიდრებული ვალების ჩამოწერის რუტინული მექანიზმით, რაც მდგომარეობდა შემდეგში: სახელმწიფოს მიმართ გარკვეული რაოდენობის

ვალდებულებების დაგროვების შემდეგ, ფირმის ხელმძღვანელი აკეთებდა განაცხადს აღნიშნული ვალის ჩამოწერასთან დაკავშირებით, რასაც სახელმწიფოს შესაბამისი ორგანო ძირითად შემთხვევაში დადებითად გადაწყვეტდა ხოლმე. სამწუხაროა, თუმცა ცხადია, რომ ხსენებული „საგადასახადო ამნისტიის“ სხვადასხვა ვარიანტი პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებშიც ვლინდება (Papava, 2005, p. 34; Николаев, 2002; Шульга, 2002).

აშკარაა, რომ გარკვეულ ქვეყნებში ნეკროეკონომიკის ფუნქციონირება უარყოფით გავლენას ახდენს მათ განვითარებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ნეკროეკონომიკისგან თავის დაღწევის მექანიზმის გამოვლენა, შემდგომ კი მისი ამოქმედების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

გასაღები, რომელიც სახელმწიფომ უნდა ეძიოს ნეკროეკონომიკისგან თავის დასაღწევად, ზემოთ ხსენებულ პოსტკომუნისტურ ეკონომიკაში ფუნქციონირებადი პირველი და მესამე ჯგუფის არეალის შემცირებასა და მეხუთე ჯგუფის გაფართოებაშია. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ვიტაეკონომიკის, კონკრეტულად კი, კერძო ინვესტიციების ხარჯზე შექმნილი კერძო სექტორის განვითარებას. მოცემული ტიპის ფირმები საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ხელმძღვანელობენ, რაც ნეკროეკონომიკის წარმოქმნის საშიშროებას უგულებელყოფს (პაპავა, 2010ა, გვ. 30-31).

რაც შეეხება მეორე და მეოთხე ჯგუფებს, არსებობს მათი ნეკროეკონომიკად გარდაქმნის საშიშროება, ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ხელი შეეწყოს ახალი ინვესტიციების მოზიდვას (პაპავა, 2010ა, გვ. 31).

პირველი ჯგუფისთვის სიცოცხლისუნარიანობის შესაძენად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მოეწყოს ტენდერი სტრატეგიული ინვესტორის გამოსავლენად, რომელიც ღია იქნება, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. შედეგად, არასიცოცხლისუნარიანი წარმოება ჩაბარდება გამარჯვებულ ინვესტორს იმ იმედით, რომ ახალ სიცოცხლეს შესძენს მას (პაპავა, 2010ა, გვ. 31-32).

მესამე ჯგუფი უპერსპექტივოა, პრივატიზებული ნეკროეკონომიკა შეფასებულია როგორც ჯართი (პაპავა, 2010ა, გვ. 32).

თეორიული თვალსაზრისით, ნეკროეკონომიკის აღმოსაფხვრელად გაკოტრების შესახებ კანონმდებლობა გამოიყენება. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში აღნიშნული კანონები

დანეკროზებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის ამუშავებას ხელი ეშლება (პაპავა, 2010ა, გვ. 31). აღნიშნულის შესახებ საყოველთაოდ აღიარებული ერთი რომელიმე კანონმდებლობა არ არსებობს. გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის მთავარი პრინციპია თავიდან აიცილოს ისეთი ფირმების ვადაზე ადრე ლიკვიდაცია, რომლებიც ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანნი არიან, თუმცა ეს უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ დაირღვეს კრედიტორთა უფლებები (პაპავა, 2017).

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ აღნიშნული პრინციპი თანამედროვე ეკონომიკაში არსებულ რეალურ სირთულეებს სრულად ვერ ითვალისწინებს.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საკმაოდ რთულია ამა თუ იმ ფირმის სიცოცხლისუნარიანობის შესახებ ობიექტური გადაწყვეტილების მიღება, რადგან ერთმანეთს უნდა შეედაროს საწარმოს მოქმედი და სალიკვიდაციო ღირებულება. იმისათვის რომ დადგინდეს აღნიშნული ღირებულება, საჭიროა საწარმოს მომავალი შემოსავლებისა და ხარჯების განსაზღვრა, რაც საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს დიდი ალბათობით მიღებული შედეგების უზუსტობის გამო. საჭიროა ჩამოყალიბდეს საწარმოს ოპტიმისტური რეორგანიზაციისა და ბიზნეს-გეგმა. რაც შეეხება, საწარმოს სალიკვიდაციო ღირებულებას, მისი განსაზღვრისთვის უნდა შეფასდეს საწარმოს აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა. ხშირ შემთხვევაში, ფირმის გაკოტრების ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები მხარს უჭერს საწარმოს რეორგანიზაციას და არა მის ლიკვიდაციას, რაც ეკონომიკაში არასიცოცხლისუნარიანი ფირმების ფუნქციონირებას უწყობს ხელს (პაპავა, 2017). უნდა აღინიშნოს, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნების მსგავსად არც განვითარებულ ქვეყნებშია ამ კუთხით საქმე იოლად, კერძოდ, გართულებულია გაკოტრების ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების იურიდიული პროცედურები (პაპავა, 2010ა, გვ. 33).

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი გვთავაზობს მის ახალ ფორმულირებას, კერძოდ: გაკოტრების ეროვნული კანონმდებლობის მთავარი პრინციპი უნდა იყოს ბალანსის შენარჩუნება ერთი მხრივ, კრედიტორების ინტერესების დაცვას ხოლო, მეორე მხრივ, მკვედარი ფირმების დროულად ლიკვიდაციას შორის (პაპავა, 2017).

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში, სადაც ეკონომიკის ჯანსაღი ნაწილი ნეკროეკონომიკის მძევალია, პრაქტიკულად შეუძლებელია საუბარი საერთაშორისო ეკონომიკურ სტანდარტებთან ჰარმონიზებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. გამოსავალი, რომელიც პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების მიერ ნეკროეკონომიკისგან თავის დაღწევაში მდგომარეობს მოცემული ქვეყნებისთვის ფუნდამენტურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული. იმისათვის, რომ ნეკროეკონომიკის არსებობამ არ დააზიანოს ეკონომიკის ჯანსაღად ფუნქციონირებადი ნაწილი, საჭიროა მკვდარი წარმოება ავტომატურად მოიკვეთოს ეკონომიკური ციკლიდან. ეს ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფო უზრუნველყოფს ახალი, კერძო ინვესტიციებით შექმნილი ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანი ნაწილის განვითარებას და ნეკროეკონომიკის გაკოტრებას. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებას, რომელიც ძირითადად, კერძო საკუთრების სისტემას ეყრდნობა. საბაზრო ეკონომიკა მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლების პრინციპებიდან გამოდის, რაც საბოლოო ჯამში კერძო სექტორისთვის მყარი, კონკურენტუნარიანი და გამართული ფუნქციონირების ნიადაგს ქმნის. საბაზრო ეკონომიკა ცოცხალი ეკონომიკური ციკლიდან უმტკივნეულოდ კვეთს ნეკროეკონომიკის უსიცოცხლო წარმოებას, რომელსაც არანაირი დადებითი შედეგები არ მოაქვს ეკონომიკისათვის, რის შედეგადაც კონკურენტუნარიანი წარმოება განაგრძობს წარმატებით ფუნქციონირებას და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაში წვლილის შეტანას.

ამრიგად, მანამ სანამ პოსტსაბჭოთა ქვეყნები თავს არ დააღწევენ იმ, კიდევ ერთ სისტემურ წყვდიადს, რომელშიც წლების განმავლობაში არასწორად ან არამიზნობრივად გადადგმული ნაბიჯების გამო მოექცნენ, გაუჭირდებათ მიაღწიონ კონკურენტუნარიან ეკონომიკურ წარმოებას და გახდნენ დასავლური ოჯახის სრულუფლებიანი წევრები.

II.2. რეტროეკონომიკა, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ძირითადი შემაფერხებელი ბარიერი

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაში ფუნქციონირებადი ისეთი ჯანსაღი საწარმოების არსებობაა, რომელთა წარმოების შედეგად კონკურენტუნარიანი პროდუქტია. სამწუხაროდ, მოცემული რეალობა ცხადჰყოფს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, ძირითადად ეს ეხება ღარიბ და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს, პროდუქციის წარმოებისთვის გამოიყენება მოძველებული ტექნოლოგიები, რის შედეგადაც გარდაუვალია დაბალხარისხიანი პროდუქციის წარმოება. შედეგად, მსგავსი ტიპის ქვეყნებისთვის შეუძლებელია გრძელვადიანი მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. რაც შეეხება, შესაძლო მოკლევადიან დადებით ეფექტს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებით დაბალხარისხიანი წარმოების შედეგად მიიღება სიმულაციური ეკონომიკური ზრდა, რომელსაც არანაირი საერთო არ აქვს ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ წინსვლასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან (Howit, 2000).

ეკონომიკას, რომელშიც ფირმები საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო, მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებით აწარმოებენ პროდუქციას, თუმცა ამის მიუხედავად, აღნიშნულ პროდუქციაზე მოთხოვნა მაინც არსებობს, ეწოდება რეტროეკონომიკა. ეს ტერმინი ორი სიტყვის გაერთიანების შედეგად არის წარმოებული, „რეტრო“, რომელიც ლათინურად ნიშნავს წარსულისკენ მიპყრობილს, და „ეკონომიკა“. თეორიას, რომელიც ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას აღწერს რეტროეკონომიკის ეწოდება (პაპავა, 2017; Papava, 2017a; Papava 2017b, pp. 455-462).

მნიშვნელოვანია განვიხილოთ რეტროეკონომიკასა და II.1 ქვეთავში განხილულ ნეკროეკონომიკას შორის მსგავსება-განსხვავებები. საერთო დამახასიათებელი თავისებურება ორივე მათგანისთვის წარმოების ჩამორჩენილი ტექნოლოგიების გამოყენებაა, თუმცა ნეკროეკონომიკის შემთხვევაში ტექნოლოგიები იმდენად მოძველებულია, რომ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა არ წარმოიქმნება და მსგავსი ტიპის საწარმოები მთლიანად სახელმწიფოს მხარდაჭერით ფუნქციონირებენ. რაც

შეეხება, რეტროეკონომიკას, მართალია ტექნოლოგიები თანამედროვესთან შედარებით მოძველებულია, თუმცა წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა მაინც არსებობს. სახელმწიფოს ამ უკანასკნელის შემთხვევაშიც დამხმარე რგოლის ფუნქცია აკისრია, თუმცა მისი როლი ზომიერია და შიგა ბაზრის საერთაშორისო კონკურენციისგან დაცვით შემოიფარგლება (პაპავა, 2017; Papava, 2017b, p. 456).

რეტროეკონომიკის ჩამოყალიბებას ხელს უწყობენ შემდეგი ფაქტორები (პაპავა, 2020, გვ. 343-345):

1. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა - აღნიშნული ზღუდავს ახალი ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელება-გამოყენებას. ასეთ პირობებში, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება დაკავშირებულია სანქციებთან, რაც ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ ქვეყნებში ოპერირებადი ფირმებისთვის ფინანსურად არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ისინი იძულებულნი ხდებიან დასჯერდნენ მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებას თავიანთი პროდუქციის წარმოებაში, რაც რეტროეკონომიკის ჩამოყალიბების ერთ-ერთ წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ;

2. ეკონომიკის მონოპოლიზაცია - პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მონოპოლიური ფირმა ახალ ტექნოლოგიებზე პატენტს ყიდულობს არა იმისთვის, რომ წარმოებაში მყისიერად გამოიყენოს, არამედ იმიტომ, რომ კონკურენტმა ფირმებმა ვერ შეძლონ მისი გამოყენება. შემდგომ, როდესაც პატენტის შემსყიდველი მონოპოლისტი ფირმა აღნიშნული ტექნოლოგიის მოხმარებას გადაწყვეტს, შესაძლოა იმ დროისთვის უფრო ახალი ტექნოლოგიებიც იყოს შექმნილი, რის გამოც ამ უკანასკნელის გამოყენებას აზრი ეკარგება. შედეგად, იფლანგება მაღალტექნოლოგიური რესურსი, რომლის თავის დროზე გამოყენების შედეგიც ხარისხიანი პროდუქციის წარმოება უნდა ყოფილიყო. ამრიგად, თანამედროვე ტექნოლოგიების შეძენა და მისი „დაკონსერვება“ კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით არაგონივრული გადაწყვეტილებაა, რადგან რეტროეკონომიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობით ზიანი ადგება ქვეყნის მთელ ეკონომიკურ სისტემას, ეკონომიკური სისტემის არასტაბილურობის პირობებში კი შეუძლებელია რომელიმე ფირმა კონკურენტუნარიანი და წარმატებული იყოს.

3. ლიდერი საერთაშორისო კონკურენტების ქცევა - საერთაშორისო ბაზარზე ოპერირებადი ლიდერი ფირმები, როგორც წესი ყიდნიან მეორეულ ტექნოლოგიებს, რათა შეინარჩუნონ კონკურენტული უპირატესობა და გამოათავისუფლონ ეკონომიკური სივრცე უახლესი ტექნოლოგიების დასანერგად. ხსენებულ ე.წ. “Second Hand” ტექნოლოგიებს, რომლებიც ძირითადად შრომატევადი, მასალატევადი ან ეკოლოგიურად საშიშია, ყიდულობენ დაბალშემოსავლიანი, ნაკლებად ცნობილი, განვითარებად ქვეყნებში ოპერირებადი ფირმები, ვინაიდან მათ არ აქვთ უახლესი ტექნოლოგიების პატენტების შესაძენად საჭირო ფინანსური რესურსები. საბოლოოდ, ეს უკანასკნელი იწვევს არა ინოვაციურ, არამედ იმიტაციურ ტექნოლოგიურ წინსვლას და ხელს უწყობს რეტროეკონომიკის ჩამოყალიბებას.

4. განათლების დაბალი დონე - რთულია ფირმამ წარმატებას მიაღწიოს და თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებაზე გადავიდეს იქ, სადაც საკუთარ შრომას სამუშაო ბაზარს ძირითადად განათლების დაბალი დონის მქონე მუშახელი სთავაზობს. ზოგადად, განათლებული მუშახელი ნიშნავს მუშაობის უკეთეს ხარისხს, პროდუქტიულობის მაღალ დონესა და დამსაქმებელი კომპანიის მოგების ზრდას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განათლების მაღალი დონის მქონე ადამიანების დასაქმების შემთხვევაშიც კი, უმნიშვნელოვანესია დამსაქმებელმა საკუთარ ბიზნეს ინტერესებსა და სამომავლო პერსპექტივაში დასახულ მიზნებზე დაყრდნობით შეიმუშაოს თანამშრომელთა გადამზადების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მარტივი, მოქნილი მოდელი, რომელზე გაღებული ხარჯიც მცირედი იქნება იმ უკუგებასთან შედარებით, რასაც ფირმა ხსენებული შიგა პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში მოიმკის (Duncan, 2018).

5. ზომბი ეკონომიკა - რეტროეკონომიკის შექმნის ფაქტორებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზომბი ეკონომიკაა. იაპონური გამოცდილების საფუძველზე, განვიხილოთ ე.წ. მკვდარი ფირმების ფუნქციონირების გავლენა კონკურენტუნარიან ეკონომიკაზე. გადახდისუუნარო ფირმების ოპერირებას იაპონურ ეკონომიკაში „ზომბი“ ფირმების ფუნქციონირება ეწოდება. აღნიშნული ფირმების ხელოვნურად ოპერირებას ხელს უწყობს ე.წ. „ზომბი ბანკების“ დაკრედიტების სისტემა, რომლებიც სტანდარტულზე

დაბალ პროცენტში გასცემენ სესხებს ზომბ ფირმებზე, შედეგად კი აღნიშნული ფირმები განაგრძობენ უსარგებლო წარმოებას, რაც ვნებს ეკონომიკის კონკურენტუნარიან ნაწილს (Papava, 2010b, pp. 36-37). აქ, მნიშვნელოვანია ორი საკითხის განხილვა:

- როგორ აგრძელებენ ფუნქციონირებას არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დამკრედიტებელი ზომბი ბანკები;

- რა გავლენას ახდენს აღნიშნული დაკრედიტება ბაზარზე რეალურად ოპერირებად, სიცოცხლისუნარიან ფირმებზე.

„ზომბი ბანკები“, რომლებიც არასიცოცხლისუნარიან „ზომბ ფირმებს“ აკრედიტებენ, მთავრობის მხარდაჭერით ფუნქციონირებენ. სამთავრობო გარანტიებით, დეპოზიტების დაკრედიტებითა და სხვა შეღავათებით სარგებლობის შედეგად აღნიშნული ბანკები სამთავრობო ბიუჯეტის, ე.ი. გადასახადის გადამხდელთა წყალობით ოპერირებენ. ამ ტიპის ფინანსური წყობა კი ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი ფირმების ზომბებად გადაქცევას. მნიშვნელოვანია განვიხილოთ კონკურენტუნარიან ფირმებზე ზომბი ფირმების ფუნქციონირების გავლენა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზომბი ფირმები ფუნქციონირებენ ზომბი ბანკების მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტების დახმარებით, რომლის უკანაც მთავრობა დგას. შედეგად, ვიღებთ ეკონომიკის ზომბირებას, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკაში ოპერირებადი ჯანსაღი ფირმები, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიუხედავად, არასიცოცხლისუნარიან, ზომბ ფირმებთან კონკურენციაში მარცხდებიან, რადგან ამ უკანასკნელთ, მთავრობისა და ზომბი ბანკების მხარდაჭერის გამო უპირატესობა აქვთ, როგორც წარმოებული პროდუქციის ფასების, ასევე დასაქმებულთა ხელფასის რეგულირებაში (Papava 2010b, pp. 36-37).

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების მიმდინარე და იაპონიის წარსული გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ ზომბი ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის ჯანსაღი ნაწილი იძულებულია იტვირთოს არასიცოცხლისუნარიანი ფირმების ფუნქციონირების მძიმე ტვირთი, რაც საბოლოოდ ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას დაღს დაასვამს. აქედან გამომდინარე, ისე, როგორც საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აუცილებელია ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც ავტომატურად მოჰკვეთს ეკონომიკას მკვდარი

ფირმების სახით არსებულ დანეკროზებულ ნაწილს. ზომები ეკონომიკის შესახებ იაპონური გამოცდილება ცხადყოფს, რომ მსგავსი ტიპის ფირმები ფუნქციონირებენ სახელმწიფოსა და ე.წ. „ზომები ბანკების“ მხარდაჭერით, რის შედეგადაც მათ არანაირი ინტერესი აღარ აქვთ, ტექნოლოგიურად განაახლონ წარმოება და შეცვალონ ფირმის მენეჯმენტი თანამედროვე მეთოდების შესაბამისად. არასიცოცხლისუნარიანი ფირმების არსებობა კი ხელს უწყობს რეტროეკონომიკის ჩამოყალიბებას. არასიცოცხლისუნარიანი ფირმების არსებობა ნიშნავს მდარე საქონლის წარმოებას, რომელიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელის შემშლელ და რეტროეკონომიკის ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება. რეტროეკონომიკის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია ზომბირებული რეტრო ფირმებისთვის გაკოტრების კანონმდებლობის შემუშავება, რომლის მთავარ პრინციპსაც, როგორც უკვე II.1 ქვეთავში აღვნიშნეთ, უნდა წარმოადგენდეს ბალანსის შენარჩუნება, ერთი მხრივ, კრედიტორების ინტერესების დაცვის, ხოლო მეორე მხრივ, არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულად ლიკვიდაციისთვის.

ჩამოთვლილი ხუთი ფაქტორიდან პირველი ოთხის შედეგად ღარიბ და ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში ხდება რეტროეკონომიკის ფორმირება, ხოლო მეხუთე ფაქტორი გავლენას ახდენს როგორც ღარიბ და განვითარებად, ასევე ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებზეც (პაპავა, 2020, გვ. 345).

კონკურენტუნარიანობის ზრდაზე საუბარი რთულია იმ ქვეყნებში, სადაც ან უკვე ჩამოყალიბებულია რეტროეკონომიკა ან მისი წარმოქმნის საფრთხე არსებობს. მიმდინარე პარაგრაფში ჩვენ განვიხილეთ ფაქტორები, რომლებიც რეტროეკონომიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, II.1 ქვეთავში კი განხილული გვაქვს პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეები, რომელთაგან უმეტესობა განვითარებადი ეკონომიკის, დაბალი ან საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანაა. აღნიშნულზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობაში ოპერირებადი ფირმები სწორედან რომ მეორეული, მოძველებული ტექნოლოგიების მომხმარებლები არიან, რაც ბუნებრივია ექვქვემ აყენებს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო მასშტაბით.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს საკვლევ თემას პოსტკომუნისტური ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ზრდის მიმართულებები წარმოადგენს, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებზეც აქცენტი უნდა გაკეთდეს რეტროეკონომიკის მინიმიზაციის ან მისი თავიდან აცილებისთვის. რეტროეკონომიკის მინიმიზაციისთვის უპირველეს ამოცანას ე.წ. „ტექნოლოგიური ხაფანგიდან“ თავის დაღწევა წარმოადგენს (Дементьев, 2006, с. 17). ეს უკანასკნელი გულისხმობს გარკვეული ფორმების არჩევანს დაბალეფექტიან ტექნოლოგიურ წარმოებაზე, რაც იწვევს ადეკვატური ხარისხის პროდუქციის შექმნას. ამრიგად, იმისათვის, რომ ქვეყანაში აღმოიფხვრას მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად წარმოებული დაბალხარისხიანი პროდუქცია, რომელიც მოკლევადიან პერიოდში იწვევს ეკონომიკის „ბუტაფორიულ“ ზრდას და რომელზე მოთხოვნაც დროთა განმავლობაში სულ უფრო მცირდება, საჭიროა აქცენტი გაკეთდეს მაღალტექნოლოგიური წარმოების დანერგვა-განვითარებაზე, აღნიშნულის განხორციელებაში კი მთავრობის როლი შეუფასებელია (Papava, 2017a; Papava, 2017b, p. 457).

ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა მოდელი არსებობს. ერთ-ერთ მათგანის თანამედროვე კლასიფიკაცია ეკონომიკურ ზრდის სამ ტიპს ახასიათებს (პაპავა, 2018, pp. 4-5; Papava, 2018, p. 110; Hudson, 2015, p. 34-35):

1. „მოწინავე ზრდა“, რომელიც დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით აწარმოებენ პროდუქციას;

2. „კუდში მიმდევარი ზრდა“, რომელიც ახასიათებთ ქვეყნებს, რომელთა წარმატებაც ნავთობის ან სურსათის ექსპორტირების შედეგია;

3. „დამწევი ზრდა“, დამახასიათებელია ქვეყნებისთვის, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებს მინიმალური პროდუქციის წარმოებისთვის იყენებენ, რათა წარმოებული მცირედი, თუმცა მაღალხარისხიანი პროდუქციით თავი დაიმკვიდრონ ბაზარზე.

დამწევი ზრდა მოიაზრება განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების დაახლოების ხელშემწყობად. ეკონომიკური ზრდის ამ ტიპის ქვეყნები ცდილობენ მოახდინონ საშინაო რესურსების მაქსიმალური მობილიზაცია იმისთვის, რომ თავიანთი

ეკონომიკური მაჩვენებლებით გაუთანაბრდნენ ან გაუსწრონ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს. ერთ-ერთი რესურსი, რომელიც აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოიყენება არის განათლების სისტემის გაუმჯობესება (პაპავა, 2018, გვ. 5; Papava, 2018, p. 111).

გარდა ზემოთ ხსენებული სამი ტიპის მოდელისა, მნიშვნელოვანია განვიხილოთ „დამწევი ზრდის“ საპირისპირო, „ჩამორჩენილი ზრდის მოდელი“, რომლის თანახმადაც ქვეყნები მოძველებულ, შრომატევად ან მასალატევად ტექნოლოგიებს იყენებენ წარმოებაში, რის შედეგადაც იქმნება არაკონკურენტუნარიანი პროდუქცია, რაც ქმნის ქვეყანაში რეტროეკონომიკის შექმნის რეალურ პირობებს (პაპავა, 2018, გვ. 5; Papava, 2018, p. 111).

იმისათვის რომ ქვეყანა ჩამორჩენილი ზრდის მოდელიდან დამწევი ზრდის მოდელზე გადავიდეს და თავი დააღწიოს ქვეყანაში უკვე გაბატონებულ ან პოტენციურად განვითარებად რეტროეკონომიკას, ფინანსური სტაბილურობის გარდა სხვა მრავალ ფაქტორთა ხელშეწყობაა მნიშვნელოვანი. ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც არა მოკლევადიან დადებით ეფექტს, არამედ გრძელვადიან ეკონომიკურ აღმავლობას გვიქადის არის ქვეყანაში არსებული განათლების საერთო დონის ზრდა (Kim, 2007). მრავალი მეცნიერის მიერ განათლების დონის ზრდა განხილულია როგორც ადამიანისეული კაპიტალის ზრდა ეკონომიკური განვითარებისთვის. განვიხილოთ, თუ რატომ არის არსებითად მნიშვნელოვანი ადამიანისეული კაპიტალის განვითარება უახლესი ტექნოლოგიების დანერგვისთვის. კერძოდ,

- ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა წარმოდგენილია შესაბამისი განათლების მქონე ადამიანების გარეშე. მათ მიერ გაზიარებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება სხვადასხვა დარგში ოპერირებად ფირმებს მიმართულებას მისცემს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აწარმოონ ხარისხიანი პროდუქცია;
- მოძველებული ტექნოლოგიური წარმოებიდან მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე გადასვლის შემდეგ საჭიროა ამ პროცესებში მონაწილეობით დაინტერესებული მუშახელის მომზადება და უკვე ჩართული კადრების გადამზადება

მათი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, რაც მათი მხრიდან შესაბამის განათლებას, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მოითხოვს.

აქედან გამომდინარე, განათლების დონის ზრდა რეტროეკონომიკის მინიმიზაციისა და ტექნოლოგიური პროგრესის ხელშემწყობი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ზოგადად, განათლება განიხილება, როგორც ინვესტირება ადამიანისეულ კაპიტალში. ქვეყანაში არსებული განათლების დონე, გარდა რეტროეკონომიკის დაძლევისა, არსებითად არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან (Owings, Kaplan, 2019). ქვეყანა, რაც უფრო დიდ ინვესტირებას განახორციელებს თავის საგანმანათლებლო სისტემის გასავითარებლად, მით უფრო დიდ უკუგებას მიიღებს ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის სახით. პრიმიტიული ენით რომ ავხსნათ, ქვეყანაში არსებული განათლების მაღალი დონე გულისხმობს კვალიფიციური კადრებით სავსე შრომის ბაზარს. ადამიანები, რომლებმაც ინვესტირება განათლებაში განახორციელეს სთავაზობენ მაღალკვალიფიციურ შრომას, შესაბამისად აქვთ მაღალი მატერიალური მოთხოვნები დამსაქმებლების მიმართ. მეორე მხრივ, დამსაქმებელი მზად არის გაიღოს შედარებით მაღალი ანაზღაურება კვალიფიციური კადრის დასაქმებაში, როდესაც იცის, რომ მას მაღალი შრომის პროდუქტიულობა აქვს, ვიდრე არჩევანი გააკეთოს დაბალკვალიფიციურ კადრზე ნაკლები ანაზღაურებით, რომელმაც შესაძლოა პროფესიული გადამზადების შემთხვევაშიც კი ვერ მიაღწიოს პროდუქტიულობის იმ მაჩვენებელს, რაც კვალიფიციური მუშახელის დასაქმების შემთხვევაში დაფიქსირდებოდა. მაღალი ანაზღაურების მქონე მუშახელი გულისხმობს დასაქმებულთა პირადი შემოსავლების, შესაბამისად ქვეყანაში არსებული მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განათლება სოციალური სტაბილურობისა და მდგრადი, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა, რაც არის ფუნდამენტი ქვეყანაში არსებული ნებისმიერი სფეროს წარმატებით ფუნქციონირებისთვის.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში განათლების დონის ზრდის მნიშვნელოვანი წვლილის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ განათლების დონის ზრდასა და

ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას შორის დადებითი კორელაციური, თუმცა არაპირდაპირპროპორციული კავშირია. ქვეყანაში ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაზე განათლების დონის ზრდის პარალელურად გავლენას უამრავი სხვა ფაქტორი ახდენს, მაგალითად ლუქსემბურგი ევროკავშირის წევრი ყველაზე მცირე ზომის სახელმწიფოა, თუმცა მისი მოქნილი საგადასახადო სისტემით, ეკონომიკური პოლიტიკითა და სანდოობით, იმდენად მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისთვის, რომ ქვეყანაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მოცულობა მაღალ ნიშნულზეა, ეს უკანასკნელი კი, რასაკვირველია, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე (WB, n.d.a.). ლუქსემბურგის წარმატების საპირისპირო მაგალითს წარმოადგენს, მაგალითად, პოსტსაბჭოთა ლიეტუვა, რომელიც განათლების დონის მიხედვით ათი მოწინავე ქვეყნის რიცხვშია (Jazib, 2023), თუმცა მისი მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე განათლების მაღალი დონის მქონე ათეულის სხვა ქვეყნებთან შედარებით გაცილებით დაბალია (WB, n.d.a.). აღნიშნული გამოწვეულია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობაში არსებული კორუფციის მაღალი დონითა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონით. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში განათლების დონის ზრდით გამოწვეული ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება მაშინ არის თვალსაჩინო და შედეგიანი, როდესაც ადამიანისეული კაპიტალის განვითარების უკან ეფექტიანი, განვითარებაზე ორიენტირებული, სანდო სახელმწიფო მმართველობა დგას.

იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდა შეუძლებელია რეტროეკონომიკის დაძლევის გარეშე, უფრო დაწვრილებით განვიხილოთ სახელმწიფოს როლი რეტროეკონომიკის დაძლევაში, თუ რა სახეობის პოლიტიკა უნდა გაატაროს სახელმწიფომ იმისთვის, რომ აღმოფხვრას ქვეყანაში რეტროეკონომიკა, ასევე მიაღწიოს და შეინარჩუნოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა გრძელვადიან პერსპექტივაში (პაპავა, 2017):

- არასიცოცხლისუნარიანი, ე.წ. „მკვდარი ფირმების“ უსარგებლო ფუნქციონირებისგან ქვეყნის ბაზრის დაცვა, შესაძლებელია გაკოტრების კანონმდებლობის შინაარსში ცვლილებების შეტანით. კერძოდ, ფირმებმა, რომლებიც

სახელმწიფო მფარველობის ხარჯზე ფუნქციონირებენ და რომელთა მიერ წარმოებული პროდუქცია არაკონკურენტუნარიანი და სრულიად უსარგებლოა, როგორც ადგილობრივი ბაზრის, ასევე მომხმარებლებისთვის, უნდა შეწყვიტონ ფუნქციონირება. ქვეყნის საშინაო ბაზრის გათავისუფლება მსგავსი ტიპის არაჯანსაღი ფირმებისგან ხელს შეუწყობს კეთილსინდისიერად ოპერირებადი საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას და რეტროეკონომიკის მინიმიზაციას;

- ქვეყანაში არსებული კორუფციის დონის მინიმუმამდე დაყვანა, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისა და სანდოობის განსამტკიცებლად;

- გამჭვირვალე, გამართულად ფუნქციონირებადი სამართლებრივი სივრცის შექმნა ქვეყანაში;

- ქვეყნის შიგა წარმოების წახალისება მასში არსებული რესურსების მობილიზებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების პატენტების შეძენის საშუალებით. შედეგად შემცირდება იმპორტული საქონლის მოცულობა, რაც სტიმულს მისცემს ფირმებს, რომ შექმნან საკუთარი, ინდივიდუალური და ინოვაციური პროდუქცია, რომელიც არა მხოლოდ ქვეყნის შიგა, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც ღირსეულ ადგილს დაიკავებს;

- ქვეყანაში არსებული საბანკო-საკრედიტო სისტემის მოწესრიგება იმისთვის, რომ დიდი პოტენციალის მქონე ახალბედა ფირმებმა შეძლონ დასახული მიზნების რეალობაში განხორციელება.

ორიენტირი ქვეყანაში არსებული საშუალო და უმაღლესი განათლების ხელშეწყობაზე, რადგან ცნობილია, რომ როგორც რეტროეკონომიკის შემცირების, ასევე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ზოგადად მდგრადი, გრძელვადიან ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტური წინაპირობა ცოდნის ეკონომიკის განვითარებაა. ეს უკანასკნელი გულისხმობს ეკონომიკის ისეთ მდგომარეობას, როდესაც (გელაშვილი, 2017):

1. ცოდნა იქნეს სრულფასოვანი საქონლის სახეს;
2. ნებისმიერი ტიპის საქონელი უნიკალური ცოდნის მატარებელია;
3. ცოდნა ეკონომიკური ფაქტორია.

აღსანიშნავია, რომ ცოდნის ეკონომიკის ფორმირების პროცესში სამეწარმეო საქმიანობის ინოვაციურობა მნიშვნელოვანია ბიზნესის ყველა სუბიექტისთვის. იმისათვის რომ ცოდნაზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ ეფექტიანად იფუნქციონიროს აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან შემუშავებულ და გატარებულ იქნას ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა (ბედიანაშვილი, 2020, გვ. 193).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში რეტროეკონომიკის აღმოსაფხვრელად განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას, სახელმწიფოს მხრიდან შიგა წარმოების ზრდისკენ მიმართულ გონივრულ, მიზანმიმართულ და ეფექტიან სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკის შემუშავებას და გამჭვირვალე, სამართლიანი საგადასახადო და საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობას, ასევე განაპირობებენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდასაც. შესაბამისად, დადებითი კავშირი რეტროეკონომიკის მინიმიზაციასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას შორის აშკარა და ნათელია.

II.3. „ლიდერი“ და „აუტსაიდერი“ პოსტკომუნისტური ქვეყნების უმთავრესი გამოწვევები

პოსტკომუნისტური ქვეყნები ევროპისა და აზიის ყველაზე სწრაფად ცვალებადი საზოგადოებებია. კომუნისტური რეჟიმის ნგრევისა და საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების განვითარების პერიოდი სამ ათწლეულზე მეტს ითვლის. კომუნისტურმა სისტემამ მასში შემავალი ქვეყნები საკუთარი რეჟიმის დიქტატორულ მიზნებს დაუქვემდებარა და ბუნებრივი განვითარების შესაძლებლობა წაართვა, შედეგად კი აღნიშნული ქვეყნები მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან სოციალურ სტრუქტურაში მოექცნენ და ჰომოგენური ხასიათი შეიძინეს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებს საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა დარჩათ, რაც მოშლილი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, ბიუჯეტის დეფიციტის, ინფლაციის, საწარმოო რესურსების სიმცირის, უმუშევრობის ზრდისა და სხვა მრავალი პრობლემის სახით გამოიხატა. ბუნებრივია, თითოეული წევრი ქვეყნისთვის აღნიშნული მემკვიდრეობის სიმძიმე განსხვავებული გახლდათ და დამოკიდებული იყო ამ ქვეყნების წარსულ და საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისთვის არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ

მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, ყოველი ქვეყნისთვის სირთულის განსხვავებული ხარისხი ექნებოდა საბჭოთა პერიოდის მძიმე ტვირთისგან გათავისუფლებასაც.

პოსტკომუნისტური ქვეყნების მიერ სისტემის დანატოვარ მძიმე მემკვიდრეობასთან გამკლავების მთავარ გზას კომუნისტურ პერიოდში არსებული სახელმწიფო ინსტიტუციების საბაზრო ტიპის ინსტიტუციებად გარდაქმნა წარმოადგენდა (Nunberg, 1999). უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტური წყობილებიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი ძალიან რთული იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვის, ვინაიდან ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებულ სახელმწიფოებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პარალელურად უნდა ეზრუნათ საკუთარი სახელმწიფოებრიობის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების შექმნაზე (Balcerowicz, 1995, p. 146; Milanovic, 1998, p. 3; Papava, 1996, p. 252). ამ ქვეყნებთან შედარებით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი უფრო გაუიოლდა ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას (გდრ), ვინაიდან გარდამავალ პროცესს წინ უძღვოდა მისი გაერთიანება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან (გფრ) (Папавა, 2003, с. 327). მიუხედავად იმისა, რომ მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ეკონომიკაში 1980-იანი წლების ბოლოს დაიწყო, 1989 წლის ბოლოს ბერლინის კედლის დაცემამ და ორი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის დაშლამ მკვეთრად დააჩქარა აღნიშნული პროცესი (Exeter, Fries, 1998). ეს პროცესი მეოცე საუკუნის მიწურულს განხორციელებულ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნება (Stiglitz, 1991 p. 137) და განხილულია როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გლობალური მსოფლიო პროცესი (Berend, 1994). სწორედ ამ პროცესის შედეგები ყოფს პოსტკომუნისტურ ქვეყნებს ლიდერებად (ევროკავშირის წევრები) და აუტსაიდერებად (ქვეყნები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის ევროპულ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ) (Papava, 2010a, p. 361).

მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი ორ ფაზას მოიცავდა. პირველი, რომელიც ძირითადად დასრულებულია უმეტეს (თუმცა არა

ყველა) ქვეყანაში, გულისხმობდა ბაზრების შექმნასა და ვაჭრობის ლიბერალიზაციას, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციასა და სხვადასხვა საქმიანობაში ხელისუფლების როლის მინიმუმამდე დაყვანას. რაც შეეხება, მეორე ფაზას, ძირითად გამოწვევებს კერძო და საჯარო ინსტიტუტების განვითარება წარმოადგენდა, რომლის მიღწევაც ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში იყო შესაძლებელი. ზოგადად, ჯანსაღად ფუნქციონირებადი ბიზნესი ქმნის ქვეყანაში კარგ კლიმატს ინვესტიციების მოზიდვისთვის, რაც დადებითად აისახება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე, შესაბამისად პრივატიზაციის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აწ უკვე დამოუკიდებელი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიერ სოციალურ-ეკონომიკურად მდგრადი სახელმწიფოების ჩამოყალიბების გზაზე, რომელიც უკიდურესად მძიმე, სამოქალაქო დაპირისპირების, პოლიტიკურად, სოციალურად და ეკონომიკურად არასტაბილურ ვითარებაში, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობის გარეშე მიმდინარეობდა (ჭითანავა, 2018, გვ. 133).

გარდამავალი პერიოდის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აგრეთვე ადამიანისეული ფაქტორის განსაზღვრა. ზოგადად, ადამიანების განწყობას ქვეყანაში განსახორციელებელი ეკონომიკური თუ სხვა სახეობის ცვლილებების მიმართ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. პოსტკომუნისტური ქვეყნების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ლიდერ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სადაც კომუნისტური რეჟიმის გავლენა მხოლოდ ნაწილობრივი იყო, ადამიანებს ჰქონდათ მზაობა დაეწყოთ ზრუნვა კერძო მიზნებისთვის და თავიანთი ოჯახებისთვის მაქსიმალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის, რის საფუძველსაც სახელმწიფოს მიმართ შიშისგან გათავისუფლება წარმოადგენდა. ამის საპირისპიროდ, სრულად კომუნისტურ რეჟიმს დაქვემდებარებულ აუტსაიდერ ქვეყნებში მოსახლეობამ მთლიანად ვერ დაიხსნა თავი ძველი ჩვევებისგან, ვერ მოახერხა იმ შიშისგან თავის სრულად დაღწევა, რომელსაც კომუნისტური რეჟიმი წლების განმავლობაში უნერგავდა, რამაც სხვა წარუმატებლად განხორციელებულ რეფორმებთან ერთად ხელი შეუწყო გარდამავალი პერიოდის წარმატებით დაგვირგვინებას და ამ ქვეყნების აუტსაიდერებად ჩამოყალიბებას (Papava, 2010a, pp. 362-363).


საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყნები ორ ჯგუფად გაიყვნენ. პირველ ჯგუფში შედიოდნენ ქვეყნები, რომლებსაც ჰქონდათ საკუთარი ინსტიტუციები: საზღვარი, ცენტრალური ბანკი, ეროვნული ვალუტა, საბაჟო და არ განიცდიდნენ კვალიფიციური კადრების დეფიციტს. ეს ქვეყნები ლიდერებად ჩამოყალიბდნენ. რაც შეეხება მეორე ჯგუფის ქვეყნებს, ისინი დამოკიდებულნი იყვნენ გაერთიანებაში არსებულ ინსტიტუციებზე, რომელიც საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ვრცელდებოდა მასში შემავალ ყველა ქვეყანაზე, მაგრამ მისი დაშლის შემდეგ აღნიშნული ინსტიტუციები რუსეთის ფედერაციას დარჩა, ხოლო ქვეყნები, რომლებიც საერთო ინსტიტუციებით სარგებლობდნენ მათ გარეშე დარჩნენ. ამრიგად, მოცემული ქვეყნების დღის წესრიგში არა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის გავლა, არამედ ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინსტიტუციების ჩამოყალიბება იდგა, რაც ძალიან რთულად მისაღწევი იყო მაშინდელი რეალობიდან გამომდინარე. საბაზრო ეკონომიკასთან თავსებადი ინსტიტუციური სისტემის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნის, მაკროეკონომიკის სტაბილიზაციის, პრივატიზაციისა და საწარმოთა რესტრუქტურის მცდელობის ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს პოლონური „შოკური თერაპია“, რომელიც პოლონეთის იმდროინდელი ფინანსთა მინისტრის, ლეშეკ ბალცეროვიჩის სახელს ატარებს. ბალცეროვიჩის გეგმა აღნიშნული ცვლილებების უმოკლეს დროში გატარებას ითვალისწინებდა. შოკური თერაპია წარმატებით განხორციელდა პოლონეთში, რის შემდეგაც რუსი ეკონომისტისა და წარმატებული რეფორმატორის, იგორ გაიდარის გეგმის მიხედვით მოხდა მისი ტრანსფორმაცია და რუსეთში, შემდგომ კი საქართველოში გატარება. აღნიშნული თერაპია რუსეთისთვის წარმატებული აღმოჩნდა, ხოლო საქართველოში კრახით დასრულდა. ამის მიზეზი თავიდანვე ნათელი იყო. ბალცეროვიჩის გეგმის მთავარი ინსტრუმენტი ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, სუბსიდირების მინიმუმამდე დაყვანა, დოტაციების განულება და მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უნდა ყოფილიყო, რომელსაც საქართველო ფიზიკურად ვერ გაატარებდა, რადგან არ გააჩნდა ეროვნული ვალუტა, არ ჰყავდა კვალიფიციური კადრები, რომლებსაც ახლადშექმნილ ინსტიტუციებში დაასაქმებდა. საქართველოში ინსტიტუციები ფორმალურად იყო შექმნილი და თითქმის არ

ფუნქციონირებდნენ. აქედან გამომდინარე პოლონური შოკური თერაპიის გატარება საქართველოში სრულიად უშედეგო აღმოჩნდა. პოლონეთთან ერთად სწრაფად განვითარდნენ ვარშავის ხელშეკრულებიდან გამოსული და ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებსაც მეტნაკლებად საკუთარი ინსტიტუციები გააჩნდათ. თუმცა ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონის ქვეყნებმა დღემდე ვერ გადალახეს გარდამავალი ეკონომიკის სირთულეები.


იმისათვის, რომ მარტივი აღსაქმელი იყოს მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის დროში ცვალებადობის დინამიკა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების საფუძველზე (იხ. დანართი 2, ცხრილები 110-112) (IMF, 2024) აგებულია პოსტკომუნისტური ქვეყნების (პოსტკომუნისტური ქვეყნების ანალიზი არ ეხება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას) მთლიანი სამამულო პროდუქტის მაჩვენებლების დინამიკის გამომსახველი გრაფიკები მოსახლეობის ერთ სულზე, როგორც მიმდინარე ფასებში ასევე მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის (PPP) მიხედვით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში (1992-2029 წწ.), საიდანაც 2024-2029 წლების მონაცემები წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზს (ელიზბარაშვილი, 2024ა, გვ. 44-47).

გრაფიკი 2.3.1


მთლიანი სამამულო პროდუქტის მნიშვნელობები მოსახლეობის ერთ სულზე, გამოხატული, როგორც, მიმდინარე ფასებში, ასევე მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (PPP წერტილოვანი გრაფიკები) მიხედვით 1994-2029 წლებში




ბელარუსი




ბულგარეთი




ესტონეთი




თურქმენეთი




ლატვია




ლიეტუვა




მოლდოვა




პოლონეთი




რუმინეთი




რუსეთი




საქართველო




სლოვაკეთი




სომხეთი




ტაჯიკეთი




უზბეკეთი



უკრაინა





მოცემული გრაფიკების ანალიზი ამყარებს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ ბალტიისპირეთის და სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გვევლინებიან ე.წ. ლიდერ ქვეყნებად, რომელთათვისაც ხსენებული მაჩვენებლები წლების განმავლობაში მკვეთრად იზრდება, ხოლო ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონის ე.წ. აუტსაიდერი ქვეყნების შემთხვევაში ზრდა გაცილებით ნელი ტემპით მიმდინარეობს. აღნიშნულის თვალნათლად წარმოსადგენად ჩავატარეთ გათვლები თითოეული პოსტკომუნისტური ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ცვლილების მარტივად საჩვენებლად, საბჭოთა კავშირის დაშლიდან 21-ე საუკუნის მესამე ათწლეულის მიწურულამდე. განვსაზღვრეთ ხუთი პერიოდი (ელიზბარაშვილი, 2024ა, გვ. 47):

- I – საბჭოთა კავშირის დაშლიდან მე-20 სკ-ის ბოლომდე (1992-2000 წწ.);
- II – 21-ე სკ-ის პირველი ათწლეული (2001-2010 წწ.);
- III – 21-ე სკ-ის მეორე ათწლეული (ამ ქვეყნებში კორონავირუსის პანდემიის გავრცელებამდე 2011-2019 წწ.);
- IV - კორონავირუსის პანდემიისა და პოსტპანდემიური პერიოდი (2020-2023 წწ.);

- V - საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზი (2024-2029 წწ.).

პერიოდების განსაზღვრის შემდეგ გამოვთვალეთ თითოეული პერიოდისა და ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალო მაჩვენებლები, როგორც ნომინალურ ღირებულებაში გამოხატული, ასევე მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით, რომლებიც დალაგებულია ცალკეულ პერიოდებში კლების მიხედვით იხ. ცხრილები 2.3.1-2.3.2). გათვლები ჩატარებულია დანართ 2-ში მოყვანილი 110-112 ცხრილების საფუძველზე, რომლებიც ასევე წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს (IMF, 2024).

ცხრილ 2.3.1-ზე მოცემულია პოსტკომუნისტური ქვეყნების მოსახლეობის ერთ სულზე ჩვენ მიერ შემუშავებული პერიოდების მიხედვით გაანგარიშებული ნომინალური მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალო მაჩვენებლები მიმდინარე ფასებში, ცხრილ 2.3.2-ზე კი ანალოგიური მაჩვენებლები მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის (PPP) მიხედვით (ელიზბარაშვილი, 2024ა, გვ. 48-49).

ცხრილი 2.3.1

მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP) მოსახლეობის ერთ სულზე მიმდინარე ფასებში (აშშ დოლარი)

I პერიოდი			II პერიოდი			III პერიოდი			IV პერიოდი			V პერიოდი		
№	ქვეყანა	GDP	№	ქვეყანა	GDP	№	ქვეყანა	GDP	№	ქვეყანა	GDP	№	ქვეყანა	GDP
1	ჩეხეთი	6 202	1	ჩეხეთი	14 634	1	ჩეხეთი	20 646	1	ესტონეთი	27 310	1	ესტონეთი	36 056
2	უნგრეთი	4 391	2	ესტონეთი	11 359	2	ესტონეთი	19 677	2	ჩეხეთი	26 804	2	ჩეხეთი	33 160
3	სლოვაკეთი	3 658	3	უნგრეთი	10 926	3	სლოვაკეთი	18 060	3	ლიეტუვა	24 102	3	ლიეტუვა	32 474
4	პოლონეთი	3 601	4	სლოვაკეთი	10 880	4	ლიეტუვა	16 227	4	სლოვაკეთი	21 718	4	სლოვაკეთი	29 599
5	ესტონეთი	3 128	5	ლატვია	9 047	5	ლატვია	15 224	5	ლატვია	20 895	5	ლატვია	27 877
6	ლიეტუვა	2 763	6	პოლონეთი	8 893	6	უნგრეთი	14 305	6	უნგრეთი	18 834	6	უნგრეთი	27 580
7	ლატვია	2 231	7	ლიეტუვა	8 814	7	პოლონეთი	13 828	7	პოლონეთი	18 519	7	პოლონეთი	26 188
8	რუსეთი	1 893	8	რუსეთი	6 831	8	რუსეთი	12 347	8	რუმინეთი	15 479	8	რუმინეთი	22 943
9	ბულგარეთი	1 536	9	თურქმენეთი	5 719	9	ყაზახეთი	10 869	9	ბულგარეთი	13 085	9	ბულგარეთი	19 692
10	რუმინეთი	1 463	10	რუმინეთი	5 607	10	რუმინეთი	10 268	10	რუსეთი	12 983	10	ყაზახეთი	16 532
11	თურქმენეთი	1 443	11	ყაზახეთი	4 867	11	თურქმენეთი	8 455	11	ყაზახეთი	11 025	11	თურქმენეთი	15 104
12	ბელარუსი	1 285	12	ბულგარეთი	4 493	12	ბულგარეთი	8 161	12	თურქმენეთი	10 486	12	რუსეთი	15 032
13	ყაზახეთი	994	13	ბელარუსი	3 724	13	ბელარუსი	6 638	13	ბელარუსი	7 395	13	საქართველო	10 778
14	ალბანეთი	784	14	ალბანეთი	2 875	14	აზერბაიჯანი	5 988	14	ალბანეთი	6 538	14	ალბანეთი	10 555
15	უკრაინა	750	15	აზერბაიჯანი	2 760	15	ალბანეთი	4 544	15	აზერბაიჯანი	6 274	15	სომხეთი	10 270
16	საქართველო	631	16	უკრაინა	2 085	16	საქართველო	4 484	16	საქართველო	6 077	16	მოლდოვა	10 169
17	უზბეკეთი	592	17	სომხეთი	2 036	17	სომხეთი	3 814	17	სომხეთი	5 924	17	ბელარუსი	8 375
18	მოლდოვა	465	18	საქართველო	2 008	18	მოლდოვა	3 342	18	მოლდოვა	5 557	18	აზერბაიჯანი	8 196
19	სომხეთი	414	19	მოლდოვა	1 281	19	უკრაინა	3 159	19	უკრაინა	4 644	19	უკრაინა	6 002
20	აზერბაიჯანი	410	20	უზბეკეთი	933	20	უზბეკეთი	2 254	20	უზბეკეთი	2 154	20	უზბეკეთი	3 401
21	ყირგიზეთი	288	21	ყირგიზეთი	594	21	ყირგიზეთი	1 246	21	ყირგიზეთი	1 556	21	ყირგიზეთი	2 141
22	ტაჯიკეთი	151	22	ტაჯიკეთი	426	22	ტაჯიკეთი	915	22	ტაჯიკეთი	1 009	22	ტაჯიკეთი	1 522

**მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP) მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითი
უნარიანობის პარიტეტის (PPP) მიხედვით (აშშ დოლარი)**

I პერიოდი			II პერიოდი			III პერიოდი			IV პერიოდი			V პერიოდი		
№	ქვეყანა	GDP-PPP	№	ქვეყანა	GDP-PPP	№	ქვეყანა	GDP-PPP	№	ქვეყანა	GDP-PPP	№	ქვეყანა	GDP-PPP
1	ჩეხეთი	15 454	1	ჩეხეთი	23 660	1	ჩეხეთი	34 911	1	ჩეხეთი	45 786	1	ლიეტუვა	57 508
2	უნგრეთი	11 718	2	ესტონეთი	20 084	2	ესტონეთი	30 557	2	ლიეტუვა	44 515	2	ჩეხეთი	56 266
3	სლოვაკეთი	10 632	3	უნგრეთი	19 720	3	ლიეტუვა	30 131	3	ესტონეთი	42 282	3	პოლონეთი	56 089
4	ესტონეთი	9 617	4	სლოვაკეთი	19 195	4	სლოვაკეთი	29 821	4	პოლონეთი	40 736	4	უნგრეთი	52 153
5	რუსეთი	9 510	5	რუსეთი	17 097	5	პოლონეთი	27 562	5	უნგრეთი	39 062	5	რუმინეთი	50 576
6	პოლონეთი	9 033	6	ლიეტუვა	16 987	6	უნგრეთი	27 500	6	სლოვაკეთი	38 149	6	ესტონეთი	49 963
7	ლიეტუვა	8 376	7	პოლონეთი	16 384	7	რუსეთი	25 438	7	ლატვია	36 217	7	სლოვაკეთი	49 538
8	რუმინეთი	7 814	8	ლატვია	15 786	8	ლატვია	25 420	8	რუმინეთი	36 064	8	ლატვია	46 803
9	ბულგარეთი	7 121	9	ყაზახეთი	14 481	9	ყაზახეთი	24 165	9	რუსეთი	31 918	9	რუსეთი	41 879
10	ლატვია	6 874	10	რუმინეთი	14 008	10	რუმინეთი	23 552	10	ყაზახეთი	29 789	10	ბულგარეთი	41 135
11	ყაზახეთი	6 645	11	ბულგარეთი	11 547	11	ბულგარეთი	19 326	11	ბულგარეთი	29 224	11	ყაზახეთი	38 639
12	ბელარუსი	4 737	12	ბელარუსი	10 518	12	ბელარუსი	18 486	12	ბელარუსი	22 266	12	საქართველო	30 256
13	უკრაინა	4 402	13	თურქმენეთი	8 992	13	თურქმენეთი	16 484	13	საქართველო	19 306	13	ბელარუსი	28 123
14	მოლდოვა	3 373	14	აზერბაიჯანი	8 717	14	აზერბაიჯანი	15 466	14	თურქმენეთი	17 453	14	სომხეთი	25 710
15	თურქმენეთი	3 183	15	ალბანეთი	7 122	15	საქართველო	12 377	15	ალბანეთი	16 977	15	ალბანეთი	23 827
16	ალბანეთი	3 153	16	უკრაინა	7 070	16	ალბანეთი	11 960	16	აზერბაიჯანი	16 819	16	მოლდოვა	22 356
17	აზერბაიჯანი	3 124	17	სომხეთი	5 652	17	უკრაინა	11 046	17	სომხეთი	16 478	17	თურქმენეთი	21 265
18	საქართველო	2 437	18	საქართველო	5 582	18	სომხეთი	10 620	18	მოლდოვა	15 021	18	აზერბაიჯანი	20 834
19	უზბეკეთი	2 374	19	მოლდოვა	4 971	19	მოლდოვა	9 776	19	უკრაინა	13 777	19	უკრაინა	17 555
20	სომხეთი	1 987	20	უზბეკეთი	4 013	20	უზბეკეთი	6 724	20	უზბეკეთი	9 137	20	უზბეკეთი	12 494
21	ყირგიზეთი	1 708	21	ყირგიზეთი	2 563	21	ყირგიზეთი	4 474	21	ყირგიზეთი	5 795	21	ყირგიზეთი	7 470
22	ტაჯიკეთი	1 064	22	ტაჯიკეთი	1 752	22	ტაჯიკეთი	3 110	22	ტაჯიკეთი	4 652	22	ტაჯიკეთი	6 566

ცხრილებში გაანგარიშებული მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალო მნიშვნელობები პერიოდების მიხედვით, ასახავს ცალკეული წლების მსგავს სურათს და არ ცდება ჩვენს მსჯელობას, როცა ვამბობთ, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან ლიდერობენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები (რუსეთის ფედერაცია და ყაზახეთი მეტნაკლებად უწევენ კონკურენციას და ზოგჯერ უსწრებენ კიდევ ზოგიერთ მათგანს გასაგები მიზეზების გამო), ხოლო ჩამორჩებიან, როგორც ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნები და ბელარუსი, ასევე სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნები. აქვე, შეუძლებელია არ აღინიშნოს საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის ეტაპობრივი გაუმჯობესების დადებითი სურათი. დეტალური ანალიზისთვის წარმოდგენილია საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით გაანგარიშებული მთლიანი სამამულო პროდუქტის შედარება სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (იხ. ცხრილი 2.3.3) კი ჩამოთვლილია ის

ქვეყნები, რომელთა მონაცემებსაც აღემატება საქართველოს შესაბამისი მაჩვენებლები. შედარებები გაკეთებულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ და თითოეული ათწლეულის ბოლოს, ასევე მიმდინარე 2023 წელს და IMF-ის პროგნოზის მიხედვით 2029 წელს (ელიზბარაშვილი, 2024ა, გვ. 42-51).

ცხრილი 2.3.3

საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის „კიბე“

წლები	1994	2000	2010	2020	2023	2029
საქართველოს მოსახლეობის 1 სულზე GDP-PPP (აშშ დოლარი)	1 719,4	3 091	7 684,3	15 257,6	23 236,8	35 642,6
პოსტკომუნისტური ქვეყნები, რომლებსაც საქართველო უსწრებს მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ის (PPP) მიხედვით						ბელარუსი*
						თურქმენეთი*
						უკრაინა*
						ალბანეთი*
						აზერბაიჯანი*
		მოლდოვა*	მოლდოვა	მოლდოვა	მოლდოვა	მოლდოვა
		უზბეკეთი*	უზბეკეთი	უზბეკეთი	უზბეკეთი	უზბეკეთი
	ყირგიზეთი	ყირგიზეთი	ყირგიზეთი	ყირგიზეთი	ყირგიზეთი	ყირგიზეთი
	ტაჯიკეთი	ტაჯიკეთი	ტაჯიკეთი	ტაჯიკეთი	ტაჯიკეთი	ტაჯიკეთი
	სომხეთი	სომხეთი	სომხეთი	სომხეთი	სომხეთი	სომხეთი

ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირველი ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნების მომენტში საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, მსყიდველობითი პარიტეტის მიხედვით წარმოადგენდა 1 719,4 აშშ დოლარს, რაც აღემატებოდა მხოლოდ სამი პოსტკომუნისტური ქვეყნის მაჩვენებელს: სომხეთს, ტაჯიკეთს და ყირგიზეთს; გასული საუკუნის ბოლოს საქართველოს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 3 091 აშშ დოლარი და გაუსწრო ასევე მოლდოვას და უზბეკეთს; 21-ე სკ-ის პირველი ათწლეულის ბოლოს შენარჩუნდა იგივე სურათი და უსწრებდა კვლავ ხუთ ქვეყანას: მოლდოვას, სომხეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთსა და ყირგიზეთს; მიმდინარე საუკუნის მეორე ათწლეულის ბოლოს საქართველომ აღნიშნული მაჩვენებლით გაუსწრო დამატებით სამ ქვეყანას: აზერბაიჯანს, ალბანეთს და უკრაინას. აქვე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უკრაინაში ამ მომენტისთვის ომი არ იყო დაწყებული. რაც შეეხება თანამედროვე მდგომარეობას, 2023 წლის მონაცემებით საქართველო უკვე ჩამოთვლილ ქვეყნებთან ერთად უსწრებს თურქმენეთსაც და IMF-ის პროგნოზის

მიხედვით მიმდინარე საუკუნის მესამე ათწლეულის მიწურულს გადაასწრებს ბელარუსსაც. გამოდის, რომ საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტი მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე გადააჭარბებს ყველა პოსტკომუნისტური ქვეყნის მაჩვენებლებს, გარდა - რუსეთის, ყაზახეთის და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა. ამ კვლევის რიცხოვრივი და ილუსტრაციული შედეგებიდან გამომდინარე ზემოთ მოყვანილ ცხრილ 2.3.3-ს ვუწოდეთ საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის „კიბე“ (ელიზბარაშვილი, 2024ა, გვ. 50), რომელიც აღმავალია და ოპტიმისტურ განწყობას გვიმყარებს IMF-ის პროგნოზებიც.

როგორც ცნობილია, არ არსებობს რაიმე ზოგადად მიღებული კრიტერიუმები, რომელთა არსებობითაც შეიძლება დამტკიცდეს ამა თუ იმ ქვეყანაში გარდამავალი პერიოდის დასრულება. კითხვაზე, დასრულებულია თუ არა ქვეყანაში გარდამავალი პერიოდი, ყველაზე მარტივი პასუხი შემდეგია: თუ ევროკავშირი აღიარებს, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა მზადაა მის რიგებში შესასვლელად, მაშინ დიდი ალბათობით ამ ქვეყანაში გარდამავალი პერიოდი დასრულებულია და მისი მოქმედი ეკონომიკური სისტემა მზად არის შეუერთდეს ევროპული ტიპის ბაზარს (Papava, 2010a, p. 368). ახლა კი განვიხილოთ ის უმთავრესი გამოწვევები, რომლის წინაშეც ლიდერი და აუტსაიდერი პოსტკომუნისტური ქვეყნები თანამედროვე პერიოდში დგანან. ლიდერი ქვეყნების დღის წესრიგში დგას ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, რომლებიც ნაკლებად მზარდია, ასევე, ზრდადი ეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილურ დონეზე შენარჩუნება და თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური განვითარებისკენ სწრაფვა. ლიდერი ქვეყნების მიერ უკვე დაგროვებული გამოცდილების გაზიარების, მათი დახმარების გარეშე აუტსაიდერი ქვეყნების განვითარება თითქმის შეუძლებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ თითქმის ყველა აუტსაიდერ ქვეყანას აქვს ისეთი რესურსი, მდებარეობა ან სხვა დამახასიათებელი ნიშანი, რითაც ლიდერი ქვეყნის მხარდაჭერას იმსახურებს და მისი ყურადღების ცენტრში ექცევა. მაგალითად, საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობა შესაძლებლობას აძლევს შეასრულოს ე.წ. სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია აზიასა და ევროპას შორის, რაც მის ნაყოფიერ ნიადაგთან და მრავალწლიან სხვადასხვაგვარ კულტურასთან ერთად სტრატეგიულ მნიშვნელობას

ანიჭებს ქვეყანას. სწორედ მსგავსი, თითქოს მცირეოდენი უპირატესობები აძლევს მცირე ქვეყნებს შესაძლებლობას, რომ მათზე ეკონომიკურად ძლიერი, განვითარებული ქვეყნების ყურადღება მიიპყრონ, გაიზიარონ მათი გამოცდილება და განავითარონ ქვეყნის ის დარგები, რომელთა წარმატებაც ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით ყველაზე მომგებიანია. რასაკვირველია, ესეთ დროს სარგებელი ორმხრივია. აუტსაიდერი ქვეყნები სწავლობენ და ვითარდებიან ლიდერი ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, მათ მიერ გაწეული ფულადი, თეორიული თუ ტექნოლოგიური დახმარებით, ხოლო ლიდერი ქვეყნები თავის სასარგებლოდ იყენებენ იმ მნიშვნელოვან რესურსებს, რითაც კონკრეტულმა აუტსაიდერმა ქვეყანამ მათი დაინტერესება გამოიწვია.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ლიდერი ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით შეუძლებელია აუტსაიდერი ქვეყნების ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზება. ქვეყნის განვითარებისკენ მიმავალ ამ გზაზე გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს კონკრეტული ქვეყნის შიგა პოლიტიკა, მოსახლეობისა და მთავრობის მიდგომა და დამოკიდებულება იმ სიახლეების მიმართ, რაც უნდა განხორციელდეს რეფორმების წარმატებით დასასრულებლად. აუტსაიდერმა ქვეყნებმა უნდა გააანალიზონ ყველა ის ეკონომიკური, სოციალური, თუ კულტურული ცვლილება, რომელიც თან სდევს ევროპული მომავლისკენ მიმავალ გზას. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლი ენიჭება კროს-კულტურული ურთიერთობების შესწავლას, რომლებიც წარმოედგენენ ზოგადად სხვადასხვა კულტურის და ეროვნული საქმიანი კულტურის „შეჯახების“ პროცესს (ბედიანაშვილი, 2018, გვ. 17). თითოეული აუტსაიდერი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავდროულად ყველაზე რთული გამოწვევა მათზე წარმატებული ქვეყნების მიერ განვლილი გზის ისე გაკვალვაა, რომ ამ გზის დასასრულს ქვეყნებს შენარჩუნებული ჰქონდეთ საკუთარი იდენტობა, ეროვნული ფასეულობები და კულტურული თავისებურებები.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ როგორც ლიდერი, ისე აუტსაიდერი პოსტკომუნისტური ქვეყნები მუდმივად იბრძვიან უკეთესი მომავლისთვის. სხვაობა ის არის, რომ ლიდერი ქვეყნებს უკვე მიღწეული აქვთ გარკვეული წარმატება და მათი ეკონომიკური სისტემა მეტ-ნაკლებად ჯანსაღად ფუნქციონირებს, რაც ამ ქვეყნებში

მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის მაღალ დონეზე მიგვანიშნებს. აუტსაიდერი ქვეყნების მთავარი გამოწვევა, სულ მცირე, არსებული მდგომარეობის სტაბილურ დონეზე შენარჩუნებაა, თუმცა, რასაკვირველია, ზოგიერთ მათგანს აქვს მეტი ამბიცია, რომ გახდეს კიდევ უფრო მოწინავე ქვეყანა თავისი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებით.

თავი III. ქვეყნის თანაზომიერი განვითარების ინდიკატორები და საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითადი გზები

III.1. ქვეყნის თანაზომიერი განვითარების არსი და ინდიკატორები

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის ერთ-ერთი ხელის შეშლელი ფაქტორია დედაქალაქისა და რეგიონების განვითარების დონეებს შორის მნიშვნელოვანი დისბალანსი. თანაზომიერი განვითარება თანამედროვე პერიოდში ქვეყნების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. არ არსებობს ქვეყანა, თუ ის ძალიან მცირე ზომის არ არის, რომელსაც აღნიშნული დისბალანსი არ ახასიათებს (პაპავა, 2013).

ქვეყნის არათანაბარი განვითარების დროს რესურსების დიდი ნაწილი ძირითადად დედაქალაქშია თავმოყრილი, შესაბამისად რეგიონებთან შედარებით ცხოვრების სტანდარტიც უფრო მაღალია, აღნიშნული იწვევს რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის დედაქალაქში თავმოყრას, რასაც ქვეყნის შიგა მიგრაცია ეწოდება. შედეგად ვიღებთ სოფლების დეპოპულაციას.

განვითარებულ ქვეყნებში დედაქალაქისა და რეგიონის განვითარების უთანაბრობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ფონის დამამძიმებელი იშვიათად შეიძლება გახდეს, რადგან ქვეყნებს მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლებით აქვთ უამრავი რესურსი იმისთვის, რომ დათრგუნონ აღნიშნული უთანაბრობისგან გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები. რაც შეეხება, განვითარებად ქვეყნებს, დედაქალაქსა და რეგიონს შორის მაღალი არათანაზომიერი განვითარების შემთხვევაში, თითქმის შეუძლებელია იმ უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების თავიდან აცილება, რაც აღნიშნულ სხვაობას მემკვიდრეობად მოჰყვება.

მთავრობები ეკონომიკური საქმიანობის ადგილმდებარეობის არჩევისას უნდა ითვალისწინებდნენ სხვადასხვა რეგიონში კლიმატის, სასარგებლო წიაღისეულის, ნიადაგის, ტოპოგრაფიისა და სხვა ბუნებრივი მახასიათებლების არათანაბარ განაწილებას, სწორედ ამის შემდეგ უნდა ხდებოდეს კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის შესაბამისი ადგილმდებარეობის შერჩევა (Hoover, Giarratani, 1999,

p. 12). აღნიშნული პროცესის დაწყებამდე, რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა საჭირო. ეს ნაბიჯები, პირველ რიგში, გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობისა და რეგიონის განვითარების საბჭოების ჩამოყალიბებას. აღნიშნულმა საბჭოებმა ორგანიზება უნდა გაუწიონ სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელშიც გაერთიანდებიან სხვადასხვა პროფესიის საუკეთესო სპეციალისტები. უმნიშვნელოვანესია, რომ სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაადგენს კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის ხელსაყრელი რეგიონების ჩამონათვალს, იყოს მაღალკვალიფიციური, ვინაიდან სწორედ ამ შედეგებზეა დამოკიდებული როგორც შერჩეული რეგიონის და მისი მოსახლეობის, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის გარკვეული სექტორის განვითარება. თუ გადავხედავთ დღევანდელი მსოფლიოს რეალურ სურათს, დავინახავთ, რომ მრავალი ქვეყნის მაგალითზე სამწუხაროდ საუბარია არათუ აღნიშნული პრაქტიკის განხორციელების პრობლემაზე, არამედ ზოგიერთ რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის სრულიად არ არსებობაზე, რასაც მივყავართ რეგიონების მოსახლეობისგან დაცარიელებამდე.

დეპოპულაცია დღესდღეობით ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მსოფლიოში. სოფლები, განსაკუთრებით კი მაღალმთიანი რეგიონები მიდრეკილია დეპოპულაციისა და მარგინალიზაციისაკენ (Paniagua, 2013, p. 1; Kohler, et al., 2017, p. 415). არ არსებობს დეპოპულაციის ერთი ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი, რაც ართულებს მის გამკლავებასთან საჭირო პოლიტიკის განხორციელებას, თუმცა არსებობს დეპოპულაციის გამომწვევ სხვადასხვა ფაქტორთა ნაკრები, რომლებიც მოიცავს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ინსტიტუციურ და სოციო-კულტურულ გარემო ფაქტორთა კომბინაციებს (Plieninger, et al., 2016, p. 204). ეკონომიკური ფაქტორებიდან აღსანიშნავია ინვესტიციების მოცულობა რეგიონში და კაპიტალზე ხელმისაწვდომობა, გამართული ინფრასტრუქტურა, მრეწველობისა და ბიზნესის სიმცირე, ან სულაც მათი არარსებობა, სასმელი წყლის დეფიციტი და უმუშევრობა. მრეწველობა სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია (ერქომაიშვილი, 2024, გვ. 17), შესაბამისად მისი და ზემოთ აღნიშნული სხვა ეკონომიკური ფაქტორების ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე მოსალოდნელია სიღარიბისა და მიგრაციის ზრდა. რაც შეეხება, სოციალურ ფაქტორებს, აქ

შეიძლება გამოიყოს შემოსავლების დაბალი, ხოლო ფასების მაღალი დონე რეგიონში, აგრეთვე, ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი ადგილების სიმწირე. ინსტიტუციური ფაქტორები ეხება იმ მახასიათებლებსა და ელემენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ინსტიტუტების ფუნქციონირებას და აყალიბებენ საზოგადოებრივ, თუ ორგანიზაციულ ქცევას. პოლიტიკური ფაქტორების ქვეშ კი მოიაზრება მთავრობის მიერ გასატარებელი იმ ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც გარკვეული პროცესების ხელშეწყობას ან თავიდან აცილებას ემსახურება (EP, 2023). რეგიონიდან მოსახლეობის ემიგრაციის შესამცირებლად ასევე მნიშვნელოვანია, რომ რეგიონის მოსახლეობას ჰქონდეს საშუალება გააკეთოს არჩევანი აგრარულ სფეროში დასაქმებასა და სხვა ალტერნატიულ სამსახურებს შორის, მაგალითად, როგორიცაა მომსახურების სფეროში დასაქმება. ამისათვის საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ხელი შეეწყოს ადგილობრივი ეკონომიკის ისეთი დარგების განვითარებას, როგორებიცაა მრეწველობა, მომსახურების სფერო, ინფრასტრუქტურა და სხვ. შეუძლებელია კონკურენტუნარიანი იყოს ქვეყანა, სადაც ადამიანს თავისი სახლიდან კილომეტრების მოშორებით უწევს ცხოვრება იმისთვის, რომ მიიღოს განათლება, სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება და განტვირთვისთვის ესტუმროს გასართობ დაწესებულებებს. კონკურენტუნარიანი ვერ იქნება ქვეყანა, სადაც საგზაო ინფრასტრუქტურა იმდენად გაუმართავია, რომ მაღალმთიან რეგიონებში უამინდობის დროს გადაადგილება იზღუდება. მნიშვნელოვანია განვიხილოთ რეგიონების დეპოპულაციის შედეგები (MAPFRE, 2021):

- მცირდება ცხოვრების ხარისხი - სოფლის დაცარიელების შედეგად, დარჩენილი მოსახლეობისთვის შესათავაზებელი სერვისების (განათლება, ჯანდაცვა, კვება და სხვ.) ხარისხი სულ უფრო მეტად კლებულობს, რადგან ასევე იკლებს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიც. ამ პროცესების შედეგად დეპოპულაციის შემცირების კვალდაკვალ, წარმოიქმნება სამუშაო ადგილების დეფიციტი სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, რაც მათ აიძულებს დატოვონ სოფელი და წავიდნენ სამუშაოს საძიებლად. საბოლოოდ, ეკონომიკური დინამიზმის ეს დანაკარგი გამოიწვევს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის და თვით მუნიციპალიტეტების გაღარიბებას;

- იკლებს სოფლად წარმოებული პროდუქციის რაოდენობა - სოფლის დაცლის შედეგად მცირდება ადგილობრივი წარმოების პროდუქციის რაოდენობაც, რაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფლის რესურსის „გაფლანგვის“ ტოლფასია. აღნიშნულის შედეგად დროთა განმავლობაში ხდება ე.წ. „სოფლის გაუდაბნობა“, რაც გავლენას ახდენს ადგილობრივ ფაუნაზე და სავალალო შედეგის მომტანი შეიძლება გახდეს არსებული ეკოსისტემისთვის;
- იზრდება გარემოს დაბინძურების საშიშროება - სოფლის დეპოპულაციის ფონზე მცირდება სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის შედეგად წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, რაც ნიშნავს, რომ ადგილობრივი წარმოების პროდუქციის დეფიციტი იმპორტით უნდა დაკმაყოფილდეს. საბოლოოდ გაიზრდება ტრანსპორტირების შედეგად გარემოს დაბინძურების ხარისხი;
- იზრდება ეკოლოგიური კატასტროფის რისკი - როდესაც სოფელი მოსახლეობისგან იცლება მცირდება მესაქონლეობა, ფერმერების დიდი ნაწილი წყვეტს საქმიანობას, პირუტყვი აღარ ძოვს, რაც იწვევს ტყიან ადგილებში სხვადასხვა სახის მცენარეების გამრავლებას. შესაბამისად, წარმოიქმნება ხანძრის გაჩენის დიდი რისკი, რაც სოფლის კიდევ უფრო დიდი ნაწილის გაუდაბნობას გამოიწვევს.

რეგიონის დეპოპულაციის უარყოფითი შედეგების პარალელურად უნდა განვიხილოთ აღნიშნული პროცესის გავლენა დედაქალაქზე, კერძოდ (MAPFRE, 2021):

- ჭარბი პოპულაცია - 1 კმ²-ზე მოსახლეობის რაოდენობის ზრდა გამოიწვევს მათი კეთილდღეობისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობის დეფიციტს. შედეგად, თითოეული ადამიანისთვის მცირდება ცხოვრების ხარისხი;
- ფასების ზრდა - გაზრდილი მოსახლეობის ფონზე, სამუშაო ბაზარზე მიწოდების ზრდა იწვევს მუშაკთა ხელფასის შემცირებას, ხოლო გაზრდილი მოთხოვნა საცხოვრებელ ადგილებზე ზრდის მის ფასს. საბოლოო ჯამში შემცირებული შემოსავლის ფონზე იზრდება საცხოვრებელთან დაკავშირებული ხარჯები, რაც აუარესებს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას;
- მაღალი ზემოქმედება გარემოზე - 1 კმ²-ზე მოსახლეობის რაოდენობის ზრდა იწვევს გარემოს დაბინძურების ზრდას, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე


უარყოფით გავლენას ახდენს, შესაბამისად ამ კუთხით საჭირო ხდება სხვადასხვა გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარება.

მარტივი ენით რომ ვთქვათ, ქვეყანაში, სადაც მაღალია შიგა მიგრაციის დონე, დედაქალაქშია კონცენტრირებული მოსახლეობის უმრავლესობა, სამუშაო ადგილები არ არის საკმარისი აღნიშნული მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად, რაც წარმოქმნის უმუშევრობას, ამავდროულად მოსახლეობისგან დაცარიელებულ სოფლებში ეკონომიკური აქტიურობა თითქმის აღარ აღინიშნება, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკის უკუსვლას. აქედან გამომდინარე, განვითარებადი ქვეყნების დღის წესრიგში აღნიშნული უთანაბრობის მინიმუმამდე დაყვანა დგას. შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქის განვითარების დონე და მასში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი წარმოადგენს ქვეყნის სავიზიტო ბარათს და მისი იმიჯის ერთ-ერთ განმსაზღვრელს. თუმცა, ქვეყნის რეალური განვითარებისთვის საჭიროა არსებობდეს ბალანსი რეგიონისა და ქალაქის განვითარებას შორის, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღწევა ქვეყნის ყველა ტერიტორიული ერთეულის მდგრადი ეკონომიკური ზრდა. ასეთ შემთხვევაში ქვეყნის თითოეული მოქალაქის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება მათი ისტორიული საცხოვრებელი ადგილის დატოვების გარეშე და არავის ექნება იმის განცდა, რომ დედაქალაქში ცხოვრების შემთხვევაში ოჯახის რჩენას უფრო მარტივად შეძლებს. ამასთანავე მსგავსი პრობლემის წინაშე მდგომი ადამიანი იქნება კმაყოფილი, რადგან არ მოუწევს მოშორდეს კარ-მიდამოსა და სოციალურ გარემოს, სადაც მოღვაწეობაც სიამოვნებას ანიჭებს. შედეგად ერთიან ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ეს ფაქტი ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური ბედნიერების დონის ზრდასაც.

იმის ნათლად წარმოსაჩენად, თუ რა ვითარებაა სხვადასხვა ქვეყანის დედაქალაქსა თუ რეგიონში მოსახლეობის გადანაწილების კუთხით წარმოდგენილია დიაგრამა, რომელიც გვიჩვენებს ამ დისბალანსის სიდიდეს პროცენტულად (იხ. დიაგრამა 3.1.1). დიაგრამა აგებულია დანართში მოცემული ცხრილის საფუძველზე (იხ. დანართი 2, ცხრილი 1), რომელშიც გათვლები ჩატარებულია ხელმისაწვდომი სტატისტიკური ბაზების საფუძველზე. დაზუსტების კვალობაზე შესაძლებელია განსხვავებული შედეგები მივიღოთ (ელიზბარაშვილი, 2024გ, გვ. 140; CP, n.d.).

დიაგრამა 3.1.1

დედაქალაქის მოსახლეობის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში



დიაგრამა 3.1.1-ზე გამოსახულია 2022 წლის მონაცემებით დედაქალაქის მოსახლეობის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში 15 პოსტკომუნისტური და 27 ევროკავშირის წევრი ქვეყნის მაგალითზე. როგორც აღნიშნული დიაგრამიდან ვხედავთ, დედაქალაქში მთლიანი მოსახლეობის ყველაზე დიდი პროცენტული წილი თავმოყრილია პოსტსაბჭოთა ხუთეულში, კერძოდ, სომხეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, ლატვიასა და ესტონეთში. რაც შეეხება დედაქალაქში მოსახლეობის კონცენტრაციის ყველაზე მცირე პროცენტული მაჩვენებლების მქონე ქვეყნებს, აღნიშნულ ხუთეულს ევროკავშირის წევრი შემდეგი განვითარებული ქვეყნები იკავებენ - გერმანია, საფრანგეთი, იტალია, მალტა და კვიპროსი (ელიზბარაშვილი, 2024ბ, გვ. 295; ელიზბარაშვილი, 2024გ, გვ. 141).

გასაკვირი არ არის, რომ მთლიან მოსახლეობაში დედაქალაქის მოსახლეობის პროცენტული წილით პოსტკომუნისტური ქვეყნების ხუთეული გამოირჩევა, ვინაიდან გარდამავალი ეკონომიკის მქონე, განვითარებადი და ამასთანავე ტერიტორიულად მცირე ზომის ქვეყნებში ძირითადად დედაქალაქის განვითარების დონე მნიშვნელოვნად აღემატება რეგიონების განვითარების დონეს, შესაბამისად რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიილტვის დედაქალაქში საცხოვრებლად, რათა გაიმჯობესოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. აღნიშნული ხუთეულიდან აღსანიშნავია ლატვია და ესტონეთი, რომლებიც პოსტსაბჭოთა ქვეყნების იმ რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებმაც შეძლეს ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მოპოვება და განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე გადასვლა, თუმცა ამის მიუხედავად, სავარაუდოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მომხდარმა უარყოფითმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა გავლენა იქონია მოსახლეობის დედაქალაქში კონცენტრაციაზე, რაც შემდგომი განვითარების მიუხედავად ვეღარ დარეგულირდა და წარსულში მომხდარი გარდაუვალი უარყოფითი პროცესების მემკვიდრეობად დღემდე მოჰყვებათ (ელიზბარაშვილი, 2024გ, გვ. 141). აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია აღინიშნოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის როლი ქვეყნის განვითარებაში. მან უნდა უზრუნველყოს რეგიონების სახელმწიფოებრივი, სოციო-კულტურული, ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა. რეგიონულ პოლიტიკას მთავრობა უნდა

ატარებდეს ქვეყნის კონკრეტულ რეგიონში ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებისათვის, რათა შემცირდეს უთანაბრობა ქვეყნის რეგიონებსა და დედაქალაქსა და ცალკეულ რეგიონს შორის (ჩიხლაძე, 2021, გვ. 3).

ამრიგად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასება არის საკმაოდ ხანგრძლივი, რთული და მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. საჭიროა ქვეყანა შეფასდეს არა ერთი კონკრეტული მიმართულებით, არამედ შეფასების დროს აუცილებელია აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული თეორიული ასპექტის მრავალფეროვნების, ეკონომიკური ინდიკატორებისა და სტატისტიკური მაჩვენებლების სინთეზი. ეკონომიკურ მაჩვენებელთა სიმრავლიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას გამოყენებულ იქნას ის მაჩვენებლები, რომლებიც ამ ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობას სრულფასოვნად შეაფასებენ.

იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყნის დაბალანსებული განვითარების როლი მისი კონკურენტუნარიანობის ზრდაში საკმაოდ დიდია, ქვეყნის თანაზომიერი განვითარების უფრო სრულყოფილი ეკონომიკური ანალიზისთვის, ტერიტორიულ ჭრილში გაანგარიშებული მთლიანი სამამულო პროდუქტისა და მოსახლეობის რაოდენობის გამოყენებით, შევიშუშავეთ ქვეყნის ეკონომიკის თანაზომიერი განვითარების შეფასების ინდიკატორები. ამ ინდიკატორების საშუალებით შესაძლებელი იქნება, ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური განვითარების დონის ერთმანეთთან შედარება (ელიზბარაშვილი, 2024ბ, გვ. 295-296; 2024გ, გვ. 141-143; Elizbarashvili, 2024, pp. 182-183). კერძოდ:

- ქვეყნის დედაქალაქის, რეგიონის ან რეგიონთა ჯგუფის ეკონომიკური განვითარების დონის შედარება ამავე ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარებასთან;
- ქვეყნის დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონის შედარება ცალკეული რეგიონის ან რეგიონთა ჯგუფის ეკონომიკურ განვითარებასთან;
- ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ეკონომიკური განვითარების დონის ერთმანეთთან ან სხვადასხვა რეგიონთან შედარება;

- ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონის ერთმანეთთან შედარება.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ანალიზისთვის ანალოგიური მაჩვენებლები არცერთ ქვეყანაში არ გამოიყენება, ამასთან ისინი არცერთ სამეცნიერო ნაშრომში არ არის დაწერილი, აქედან გამომდინარე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით აღნიშნულ ინდიკატორებზე.

წარმოგიდგენთ ეკონომიკური თანაზომიერების ინდექსს, რომელიც გაიანგარიშება როგორც რეგიონული მთლიანი სამამულო პროდუქტის თანაფარდობა დედაქალაქის მთლიან სამამულო პროდუქტთან:

$$I_1 = \frac{RGDP}{CGDP},$$

სადაც: RGDP წარმოადგენს რეგიონულ მთლიან სამამულო პროდუქტს, ხოლო CGDP დედაქალაქის მთლიანი სამამულო პროდუქტია.

შემდეგი ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ეკონომიკური თანაზომიერების ინდექსთან ერთად თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან გადახრის კოეფიციენტების გამოსათვლელად გამოიყენება არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანაზომიერების ინდექსი. აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს რეგიონში არსებული მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის თანაფარდობას დედაქალაქში არსებულ მოსახლეობის ერთ სულზე მთლიან სამამულო პროდუქტთან და შემდეგნაირად გამოისახება:

$$I_2 = \frac{RGDP}{RN} / \frac{CGDP}{CN} = \frac{RGDP}{CGDP} \times \frac{RN}{CN} = I_1 \times \frac{RN}{CN},$$

სადაც: RN რეგიონის მოსახლეობის რაოდენობაა, ხოლო CN დედაქალაქის მოსახლეობის რაოდენობა.

ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების სრულყოფილი ეკონომიკური შეფასებისთვის შევიმუშავეთ თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტები და მათი ფორმულირება (K_{xn}) (ელიზბარაშვილი, 2024ბ, გვ. 296; 2024გ, გვ. 141-143; Elizbarashvili, 2024, pp. 182-183):

III.1.1 - ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან რეგიონალური გადახრის კოეფიციენტი (K_{R1}) ერთმანეთს ადარებს ქვეყნის ცალკეული რეგიონის ან რეგიონთა ერთობლიობის ეკონომიკური განვითარებისა და ქვეყნის საშუალო ეკონომიკური განვითარების დონეებს, რაც შემდეგნაირად გამოითვლება:

$$K_{R1} = \frac{RGDP/RN - GDP/N}{GDP/N} = \frac{RGDP/RN}{GDP/N} - 1,$$

სადაც: GDP მთლიანი სამამულო პროდუქტია, N - მოსახლეობის რაოდენობა, K_{xn} წარმოადგენს K_{R1} , K_{R2} , K_{C1} და K_{C2} კოეფიციენტების ზოგად აღნიშვნას.

III.1.2 - დედაქალაქის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან რეგიონალური გადახრის კოეფიციენტი (K_{R2}) გვიჩვენებს ქვეყნის ცალკეული რეგიონის ან რეგიონთა ჯგუფის ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლის გადახრას დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონიდან. იგი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$K_{R2} = \frac{RGDP/RN - CGDP/CN}{CGDP/CN} = \frac{RGDP/RN}{CGDP/CN} - 1 = I_1 \times \frac{I_1}{I_2} - 1 = \frac{I_1^2}{I_2} - 1,$$

III.1.3 - ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან დედაქალაქის გადახრის კოეფიციენტი (K_{C1}) გვიჩვენებს, თუ რამდენად ჩამორჩება ან აღემატება დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონე ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონეს, რომლის ფორმულირებაც შემდეგია:

$$K_{C1} = \frac{CGDP/CN - GDP/N}{GDP/N} = \frac{CGDP/CN}{GDP/N} - 1,$$

III.1.4 - რეგიონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან დედაქალაქის გადახრის კოეფიციენტი (K_{C2}) წარმოადგენს დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლის გადახრას ცალკეული რეგიონის ან რეგიონთა ჯგუფის ეკონომიკური განვითარების დონიდან, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:

$$K_{C2} = \frac{CGDP/CN - RGDP/RN}{RGDP/RN} = \frac{CGDP/CN}{RGDP/RN} - 1 = \frac{1}{I_1} \times \frac{I_2}{I_1} - 1 = \frac{I_2}{I_1^2} - 1.$$


თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტების გამოსათვლელ ფორმულირებასთან ერთად ამ კოეფიციენტების რიცხვით ღერძზე განლაგებისთვისა და თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების სტატუსის განსაზღვრისთვის შევიმუშავეთ სამი დიაპაზონი, რომლებიც შესაბამისად შემდეგი

კვადრატული ფუნქციების ამონახსნებია (ელიზბარაშვილი, 2024ბ, გვ. 297; 2024გ, გვ. 142-143; Elizbarashvili, 2024, p.183):

$$1) K^2 < 0,25, \quad 2) \begin{cases} K^2 \geq 0,25 \\ K^2 \leq 1 \end{cases}, \quad 3) K^2 > 1.$$


- 1) $-0,5 < K_{xn} < 0,5$, თუ K_{xn} კოეფიციენტი ერთეულებამდე დამრგვალების შემთხვევაში მოთავსებულია $(-0,5; 0,5)$ დიაპაზონში, ე.ი. K_{xn} მოთავსებულია **თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში**¹, ეს დიაპაზონი რიცხვით ღერძზე შემდეგნაირად გამოისახება (იხ. გრაფიკი 3.1.1). აღნიშნული დიაპაზონი უკეთესი იქნებოდა უფრო პატარა ყოფილიყო, თუმცა საკვლევი ქვეყნების თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლის მაღალმა დისბალანსმა არ მოგვცა ამის საშუალება;

გრაფიკი 3.1.1




- 2) $0,5 \leq K_{xn} \leq 1$ და $-1 \leq K_{xn} \leq -0,5$, თუ K_{xn} კოეფიციენტი ერთეულებამდე დამრგვალების შემთხვევაში მოთავსებულია $[-1; -0,5] \cup [0,5; 1]$ დიაპაზონში, ე.ი. იგი მოთავსებულია **არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში**, რომელიც რიცხვით ღერძზე ასე გამოიყურება (იხ. გრაფიკი 3.1.2).

¹ K_{xn} წარმოადგენს K_{R1} , K_{R2} , K_{C1} და K_{C2} კოეფიციენტების ზოგად აღნიშვნას.



3) $K_{xn} < -1$ და $K_{xn} > 1$, როდესაც K_{xn} კოეფიციენტი ერთეულებამდე დამრგვალების შემთხვევაში მოექცევა $(-\infty; -1) \cup (1; +\infty)$ დიაპაზონში, მაშინ იგი მოთავსებულია მნიშვნელოვნად არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში, ეს დიაპაზონი კი რიცხვით ღერძზე შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. გრაფიკი 3.1.3).

გრაფიკი 3.1.3



საყურადღებოა, რომ ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების შემთხვევაში თითოეული კოეფიციენტი უნდა მისწრაფოდეს ნულისკენ. ამასთანავე თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების არეალს ის დიაპაზონი განსაზღვრავს, რომელშიც ყველაზე მაღალი გადახრის მქონე კოეფიციენტი მოხვდება.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ მიზანს ქვეყნის ეკონომიკის თანაზომიერი განვითარების შეფასება წარმოადგენდა, განვიხილეთ მსოფლიოს 44 ქვეყნის მაგალითი (Elizbarashvili, 2024, pp. 181-188), რომელთა თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების შესაფასებლად გამოვიყენეთ ჩვენ მიერ შემუშავებული ეკონომიკური ინდიკატორები.

აღნიშნულ ქვეყანებში გაერთიანებულია მსოფლიოს ხუთი კონტინენტის განვითარებული თუ განვითარებადი სახელმწიფოები: ევროპის, აზიის, ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ ამერიკის, ავსტრალია და ოკეანეთის ქვეყნები. გათვლები ჩატარებულია ხელმისაწვდომი სტატისტიკური ბაზების საფუძველზე, რომელთა დაზუსტების შემდეგაც შესაძლებელია შედეგები ნაწილობრივ შეიცვალოს.

III.2. ქვეყნის თანაზომიერი განვითარების ინდიკატორები: საქართველოს მაგალითი და საერთაშორისო გამოცდილება

თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ჩვენ მიერ შემუშავებული ინდიკატორები პირველ ჯერზე, აღნიშნული კუთხით საქართველოს მდგომარეობის ანალიზისთვის გამოვიყენეთ, ჩამოვყალიბეთ შესაბამისი ცხრილები და დიაგრამები, რომელთა დახმარებითაც დეტალურად განვიხილეთ, როგორც თითოეული რეგიონის, ასევე ყველა რეგიონის ჯამური ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება, როგორც საქართველოს დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონესთან, ასევე ქვეყნის საშუალო ეკონომიკური განვითარების დონესთან. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, მათთან მიმართებაში გაანგარიშებულია მხოლოდ რეგიონთა ერთობლიობის ჯამური მაჩვენებლების, ქვეყნის დედაქალაქისა და ქვეყნის საშუალო ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისას.

ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი 3.2.1, რომელიც გვიჩვენებს საქართველოს დემოგრაფიულ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს 2010-2022 წლებში, იგი აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებგვერდიდან (საქსტატი, 2023ა, 2023ბ). ცხრილ 3.2.1-ზე მოცემულია ასევე სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შესრულებული სხვადასხვა ოპერაციები, რის შედეგადაც მივიღეთ ჩვენი მთავარი გათვლებისთვის საჭირო მონაცემები. გათვლების შედეგები კი წარმოდგენილია, ცხრილ 3.2.2-ში. აღნიშნულ ორ ცხრილში არსებული მონაცემები წარმოადგენს ჩვენი კვლევის საფუძველს. იგი მონაწილეობას იღებს ამ პარაგრაფში საქართველოსთან დაკავშირებულ ყველა მომდევნო გრაფიკსა თუ დიაგრამაში. ანალოგიური პრინციპითაა დათვლილი კვლევისთვის აღებული სხვა ქვეყნების მონაცემებიც, თუმცა დიდი

რაოდენობიდან გამომდინარე ცხრილები წარმოდგენილია დანართში, ხოლო პარაგრაფში წარმოდგენილია მხოლოდ გათვლების შედეგები დიაგრამებისა და გრაფიკების სახით.

ცხრილი 3.2.1

საქართველოს დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (მლნ. კაცი/ლარი)

წელი	GDP	CGDP	RGDP	N	CN	RN	GDP/N	CGDP/CN	RGDP/RN
2010	22 149	11 707	10 442	3,787	1,099	2,688	5 849	10 654	3 885
2011	26 099	13 902	12 198	3,756	1,094	2,662	6 948	12 702	4 582
2012	27 897	14 483	13 414	3,729	1,092	2,637	7 481	13 267	5 086
2013	29 138	14 751	14 387	3,718	1,097	2,621	7 838	13 451	5 489
2014	31 722	15 990	15 732	3,719	1,108	2,611	8 529	14 426	6 025
2015	34 548	17 425	17 123	3,725	1,124	2,601	9 274	15 505	6 582
2016	36 553	18 939	17 614	3,728	1,139	2,589	9 806	16 632	6 804
2017	41 340	21 073	20 267	3,728	1,152	2,576	11 089	18 292	7 868
2018	45 374	23 222	22 152	3,727	1,165	2,562	12 176	19 935	8 648
2019	49 726	25 172	24 555	3,720	1,178	2,542	13 367	21 369	9 659
2020	49 789	24 927	24 862	3,723	1,194	2,529	13 374	20 881	9 831
2021	60 724	30 243	30 481	3,709	1,202	2,506	16 374	25 155	12 162
2022	72 860	36 973	35 887	3,713	1,222	2,491	19 626	30 263	14 408

ცხრილში წარმოდგენილია შემდეგი ეკონომიკური ინდიკატორები: წლების მიხედვით (Y) მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP) მიმდინარე ფასებში, დედაქალაქის მთლიანი სამამულო პროდუქტი (CGDP) მიმდინარე ფასებში, რეგიონების მთლიანი სამამულო პროდუქტი (RGDP) მიმდინარე ფასებში, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა (N), დედაქალაქის მოსახლეობის რაოდენობა (CN), რეგიონების მოსახლეობის რაოდენობა ჯამურად (RN), ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (GDP/N) მიმდინარე ფასებში, დედაქალაქის მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (CGDP/CN) მიმდინარე ფასებში, რეგიონების მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (RGDP/RN) მიმდინარე ფასებში.


საქართველოს თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ინდიკატორები

წელი	I ₁	I ₂	K _{R1}	K _{R1} (%)	K _{R2}	K _{R2} (%)	K _{C1}	K _{C1} (%)	K _{C2}	K _{C2} (%)
2010	0,89	2,18	-0,34	-34%	-0,64	-64%	0,82	82%	1,74	174%
2011	0,88	2,13	-0,34	-34%	-0,64	-64%	0,83	83%	1,77	177%
2012	0,93	2,24	-0,32	-32%	-0,62	-62%	0,77	77%	1,61	161%
2013	0,98	2,33	-0,30	-30%	-0,59	-59%	0,72	72%	1,45	145%
2014	0,98	2,32	-0,29	-29%	-0,58	-58%	0,69	69%	1,39	139%
2015	0,98	2,27	-0,29	-29%	-0,58	-58%	0,67	67%	1,36	136%
2016	0,93	2,11	-0,31	-31%	-0,59	-59%	0,70	70%	1,44	144%
2017	0,96	2,15	-0,29	-29%	-0,57	-57%	0,65	65%	1,32	132%
2018	0,95	2,10	-0,29	-29%	-0,57	-57%	0,64	64%	1,31	131%
2019	0,98	2,11	-0,28	-28%	-0,55	-55%	0,60	60%	1,21	121%
2020	1,00	2,11	-0,26	-26%	-0,53	-53%	0,56	56%	1,12	112%
2021	1,01	2,10	-0,26	-26%	-0,52	-52%	0,54	54%	1,07	107%
2022	0,97	1,98	-0,27	-27%	-0,52	-52%	0,54	54%	1,10	110%
საშუალო	0,96	2,16	-0,29	-29%	-0,58	-58%	0,67	67%	1,38	138%

ცხრილი 3.2.2-ში მოცემულია 2010-2022 წლებში, როგორც შუალედური მონაცემები, საქართველოს ეკონომიკური თანაზომიერების - I₁ და ეკონომიკური განვითარების თანაზომიერების - I₂ ინდექსები. ასევე, ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან რეგიონალური გადახრის კოეფიციენტი - K_{R1}, დედაქალაქის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან რეგიონალური გადახრის კოეფიციენტი - K_{R2}, ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან დედაქალაქის გადახრის კოეფიციენტი - K_{C1} და რეგიონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან დედაქალაქის გადახრის კოეფიციენტი - K_{C2}. ცხრილში მოცემულია აგრეთვე კოეფიციენტების პროცენტული მნიშვნელობები. აღნიშნული კოეფიციენტების თვალნათლად წარმოსადგენად, გამოვსახოთ გრაფიკულად (იხ. გრაფიკი 3.2.1).

საქართველოს თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის
კოეფიციენტების (K_{R1} , K_{R2} , K_{C1} , K_{C2})

დინამიკა 2010-2022 წლებში



ცხრილი 3.2.1-ის და ცხრილი 3.2.2-ის მონაცემების საფუძველზე შედგენილ გრაფიკ 3.2.1-ზე დაყრდნობით შეგვძლია ვთქვათ, რომ 2010-2022 წლებში:

- ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან რეგიონალური გადახრის კოეფიციენტი (K_{R1}) მერყეობს -0,34-სა და -0,26-ს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის საქართველოს საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონესთან ჩამორჩენა მერყეობს 26%-სა და 34%-ს შორის. საშუალოდ, რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონე საქართველოს საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონეს ჩამორჩება 29%-ით;
- დედაქალაქის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან რეგიონალური გადახრის კოეფიციენტი (K_{R2}) მერყეობს -0,64-სა და -0,52-ს შორის, ე.ი. საქართველოს

რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის ჩამორჩენა თბილისის ეკონომიკური განვითარების დონესთან შედარებით მერყეობს 52%-დან 64%-ს შორის. საშუალოდ, რეგიონების ეკონომიკური განვითარება თბილისის ეკონომიკურ განვითარებას ჩამორჩება 58%-ით;

3. ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან დედაქალაქის გადახრის კოეფიციენტი (K_{C1}) მერყეობს 0,54-სა და 0,83-ს შორის. გამოდის, რომ საქართველოს დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონე ქვეყნის საშუალო ეკონომიკური განვითარების დონეს აღემატება 54%-სა და 83%-ს შორის ინტერვალში. საშუალოდ, თბილისის ეკონომიკური განვითარების დონე საქართველოს საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონეს აჭარბებს 67%-ით;
4. რეგიონის თანაზომიერი განვითარებიდან დედაქალაქის გადახრის კოეფიციენტი (K_{C2}) მერყეობს 1,07-სა და 1,77-ს შორის, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონე საქართველოს რეგიონების ეკონომიკურ განვითარების დონეს აღემატება 107%-სა და 177%-ს შორის ინტერვალში. საშუალოდ, თბილისის ეკონომიკური განვითარების დონე რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეს აღემატება 138%-ით.

ამ ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარება არათანაზომიერია და მისი დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონე არა მხოლოდ აღემატება რეგიონების განვითარების დონეს, არამედ ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონესაც აჭარბებს. ეს ფაქტი კიდევ უფრო ასტიმულირებს რეგიონის მოსახლეობის შემცირების ხარჯზე დედაქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობისა და დემოგრაფიული დისბალანსის ზრდას (ელიზბარაშვილი, 2024ბ, გვ. 297-299; 2024გ, გვ. 143-144).


ახლა კი წარმოვადგინოთ თბილისის კონტროლირებადი ცალკეული რეგიონების თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტების 2010-2022 წლებში დინამიკის ამსახველი დიაგრამები (იხ. დიაგრამა 3.2.1), რომელიც შედგენილია დანართში არსებული დემოგრაფიული მონაცემებისა და საქართველოს ცალკეული რეგიონის


მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე (იხ. დანართი 2, ცხრილი 2-დან 21-ის ჩათვლით) (ელიზბარაშვილი, 2024გ, გვ. 144-145).

დიაგრამა 3.2.1

საქართველოს რეგიონების თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის

კოეფიციენტების (K_{R1} ■, K_{R2} ■, K_{CZ} ■) დინამიკა 2010-2022 წლებში






დიაგრამებზე ნათლად ჩანს თუ რამდენად თანაზომიერად მიუყვება თითოეული რეგიონის ეკონომიკური განვითარება, როგორც ქვეყნის საშუალო, ასევე დედაქალაქის საშუალო ეკონომიკურ განვითარებას 12 წლის განმავლობაში (ელიზბარაშვილი, 2024გ, გვ. 145).

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამა 3.2.2-ზე კი გამოსახულია თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტების საშუალო მაჩვენებლები, რათა განვსაზღვროთ თითოეული რეგიონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების სტატუსი. ეს დიაგრამა აგებულია დანართში მოცემულ 2010-2022 წლების მიხედვით გაანგარიშებული საქართველოს თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ინდიკატორების საშუალო მაჩვენებლების ცხრილის საფუძველზე (იხ. დანართი 2, ცხრილი 22) (ელიზბარაშვილი, 2024გ, გვ. 146).

დიაგრამა 3.2.2

საქართველოს რეგიონების K_{R1} , K_{R2} , K_{C2} კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობები



დიაგრამაზე ვხედავთ, რომ თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების კოეფიციენტების საშუალო მაჩვენებლების ერთეულებამდე დამრგვალების შემთხვევაში

საქართველოს რეგიონალური ეკონომიკური განვითარება შემდეგნაირად დაიყოფა: **K_{R1}** კოეფიციენტები გაუტოლდება ნულს და მიეკუთვნება თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონს ათივე რეგიონისთვის, რაც ნამდვილად სასიკეთო სურათია, რადგან მათი ეკონომიკური განვითარება თანაზომიერად მიუყვება ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარებას; **K_{R2}** კოეფიციენტები თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში ხვდება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებისთვის. დანარჩენი რეგიონებისთვის იგი ხვდება არათანაბარი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში; რაც შეეხება **K_{C2}** კოეფიციენტებს, არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში ხვდება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში, ხოლო დანარჩენი რეგიონების შემთხვევაში იგი მოთავსებულია მნიშვნელოვნად არათანაზომიერ ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში. გამოდის, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი წარმოადგენენ არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დონის მქონე რეგიონებს, ხოლო დანარჩენი რეგიონები - მნიშვნელოვნად არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარებისას (ელიზბარაშვილი, 2024გ, გვ. 146).

საქართველოში 2010-დან 2022 წლამდე სულ სამი რეგიონია, სადაც მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა ან არ შემცირებულა. ესენია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, მცხეთა-მთიანეთი და ქვემო ქართლი. დანარჩენ რეგიონებში კი მნიშვნელოვნად იკლო მოსახლეობის რიცხოვნობამ. ამ მონაცემებისა და თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების კოეფიციენტების დინამიკიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შედარებით თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია 2010 წელთან შედარებით 2022 წლის მდგომარეობით მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, რამაც 7,8% შეადგინა (საქსტატი, 2023ა). ბუნებრივია, ამ ზრდაში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილიც დიდი იქნებოდა, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების მთავარ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ. იგი ზღვისპირა რეგიონია და რაც მეტი შრომისუნარიანი მოქალაქე იცხოვრებს, მით უფრო მეტი არეალი შეიქმნება


სხვადასხვა ტურისტული თუ ტრადიციული საქმიანობების განსახორციელებლად. რაც შეეხება მცხეთა-მთიანეთს, 2010-2022 წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა თითქმის არ შემცირებულა. ამ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში და მოსახლეობის რაოდენობის უცვლელ მაჩვენებელში მცხეთა-მთიანეთს, მაღალმთიანობის და ტურისტულად მიმზიდველი მდებარეობის გამო, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის, აქ ეკონომიკურმა განვითარებამ არათუ ხელი შეუწყო რეგიონის მოსახლეობის რაოდენობის შენარჩუნებას, არამედ გარკვეულწილად დააბრუნა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ დაბრუნებულთა უმეტესობას სარეგისტრაციო მისამართად კვლავ დედაქალაქი უფიქსირდებათ და ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში არ ჩანს რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად ეს არაა ხელშემშლელი. დაბრუნებული მოსახლეობა მუდმივად მცხოვრებლებთან ერთად ეწევა სხვადასხვა საქმიანობას, რომლებიც როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივებისთვისაც საინტერესოა. კერძოდ, საოჯახო სასტუმროებით და კვების ობიექტებით მომსახურებასთან ერთად, პოპულარული გახდა სპორტული აქტიურობები: ჯომარდობა, პარაპლანებით მომსახურება, ტურების გაძღოლა მყინვარწყვრზე, რაც ტურისტებზე არანაკლებ ჩვენს თანამოქალაქეებს აინტერესებთ. ეს აქტიურობები მრავალმხრივ ანვითარებს ადგილობრივ მოსახლეობის როგორც ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე მათ ფართო ასპარეზზე გასვლის გასაქანს აძლევს. მაგალითისთვის საკმარისია ის ფაქტიც, რომ ტურიზმის განვითარებასთან ერთად მრავალმა ადგილობრივმა, თუ დაბრუნებულმა მკვიდრმა დაიწყო სათხილამურო ტრასებზე სრიალის არაოფიციალურ მასწავლებლად მუშაობა, რაც პრაქტიკულად საკმაოდ კარგად გამოსდით, შემდგომ გაუჩნდათ ამბიცია ოფიციალურად კვალიფიცირებული ინსტრუქტორები და მაშველები გამხდარიყვნენ, რისთვისაც გაიარეს შესაბამისი კურსები, შედეგად კი, უმეტესი მათგანი დღეს უკვე კვალიფიციური საერთაშორისო დონის ინსტრუქტორია და სხვადასხვა ქვეყნების სამთო-სათხილამურო კურორტებზეც აქტიურად მუშაობს. რაც შეეხება მესამე რეგიონს, ქვემო ქართლს, 2010-2022 წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა, თუმცა თანაზომიერი ეკონომიკური განვითარება არ აღინიშნება, სავარაუდოდ აქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის მრავალშვილიანობის ტრადიციებიდან გამომდინარე გაიზარდა შობადობა,


არაშრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა, ამასთანავე მათი ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობაა, საიდანაც არ მიიღება მაღალი ეკონომიკური ამონაგები. აქედან გამომდინარე ქვემო ქართლის მაგალითი არ არის გამოსადეგი ზემოთქმული კანონზომიერების დასადგენად. დანარჩენი რეგიონების შემთხვევაში, თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების კოეფიციენტები მეტნაკლებად გაუმჯობესდა, თუმცა სავარაუდოა, რომ ეს გაუმჯობესება ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების ზემოქმედებაა. რომ არა მოსახლეობის რიცხოვნობის მნიშვნელოვანი შემცირება ჩვენ მიერ შემუშავებული რეგიონალური ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მცხეთა-მთიანეთის მსგავს შედეგს მოგვიტანდა. საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა ან თუნდაც შენარჩუნება თითოეული რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია და პირიქით, რეგიონის ეკონომიკური განვითარება მოსახლეობის ზრდის მასტიმულირებელია. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის დადებითი შედეგი, რომელიც საქართველოს დედაქალაქისა და რეგიონების ეკონომიკური მაჩვენებლებიდან იკვეთება. 2010 წელს რეგიონების მთლიანი სამამულო პროდუქტი დედაქალაქის მთლიან სამამულო პროდუქტს ჩამორჩებოდა დაახლოებით 10%-ით, ხოლო 2022 წელს რეგიონების მთლიანი სამამულო პროდუქტი თბილისის მთლიან სამამულო პროდუქტს ჩამორჩება დაახლოებით 3%-ით (საქსტატი, 2023ბ). ეს ფაქტი, ტერიტორიული და მოსახლეობის რიცხოვნობის პროპორციებიდან გამომდინარე მართალია არ არის სახარბიელო, თუმცა გარკვეულწილად იმედის მომცემია სამომავლოდ საქართველოს არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონიდან თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში გადასანაცვლებლად (ელიზბარაშვილი, 2024გ, გვ. 147-149).


ახლა კი, განვიხილოთ ჩვენ მიერ შემუშავებული კოეფიციენტები მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებადი თუ განვითარებული ქვეყნისთვის. ქვემოთ მოცემული დიაგრამები, აგებულია დანართში არსებული ცხრილების საფუძველზე (იხ. დანართი 2, ცხრილი 23-დან 108-ს ჩათვლით), ხოლო ცხრილები კი შედგენილია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით (Elizbarashvili, 2024; IMF, n.d.; OECD, n.d.a, n.d.c; TE, n.d.; Statista, n.d.; EU, n.d.).


ქვეყნების თანაზომიერი ეკონომიკური გადახრის კოეფიციენტების დინამიკა 2010-2022 წლებში


K_{R1} K_{R2} K_{C1} K_{C2}






















დიაგრამებზე თვალნათლივ ჩანს ძირითადად გასული ათწლეულის ცალკეულ საანგარიშო წელს 44 ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების თითოეული კოეფიციენტის ნულისგან დაშორება/გადახრა, როცა ვიცით, რომ ნულთან სიახლოვე გვიჩვენებს შედარებით უკეთეს მდგომარეობას ვიდრე სიშორე. გადახრის კოეფიციენტების შედარების გარეშეც დიაგრამათა შორის აშკარად შესამჩნევია ხუთი ქვეყნის: ავსტრალიის, ავსტრიის, გერმანიის, კანადის და მექსიკის საუკეთესო მაჩვენებლები, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ, დანარჩენი დიაგრამები კი მოყვანილია იდეალური სურათის გამოკვეთილად აღქმადობისთვის.

ახლა კი განვიხილოთ მოცემული 44 ქვეყნის თითოეული კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებლები, და წარმოვადგინოთ, როგორც ცალ-ცალკე, თითოეული კოეფიციენტის, ასევე ოთხივე კოეფიციენტის ერთად გამომსახველი დიაგრამები (იხ. დიაგრამა 3.2.4 - დიაგრამა 3.2.7). რომლებიც აგებულია დანართში მოყვანილი სხვადასხვა ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტების გრაფიკებისა (იხ. დანართი 3, გრაფიკი 1-დან 43-ის ჩათვლით) და ამავე კოეფიციენტების საშუალო მაჩვენებლების ცხრილის საფუძველზე (იხ. დანართი 2, ცხრილი 109).


K_{R1} კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობები




K_{R2} კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობები



K_{C1} კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობები





დიაგრამა 3.2.4 - დიაგრამა 3.2.7-ზე ვხედავთ, რომ მოცემული ქვეყნების თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტების ერთეულებამდე დამრგვალების შემთხვევაში:


- **K_{R1}** კოეფიციენტი პირველი დონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში აზერბაიჯანის და მოლდოვას გარდა ყველა ქვეყნის შემთხვევაში ხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ, ამ ქვეყნებში რეგიონის ეკონომიკური განვითარება თანაზომიერად მიუყვება ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარებას, რასაც ვერ ვიტყვით აზერბაიჯანსა და მოლდოვაზე, რომელთა **K_{R1}** თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების მეორე დონის დიაპაზონში მოხვდა და მათი რეგიონის არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარება გამოაშკარავდა;
- **K_{R2}** კოეფიციენტი პირველი დონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში მოხვდა შემდეგი ქვეყნების შემთხვევაში: ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, თურქეთი, ირლანდია, კანადა, კოლუმბია, მექსიკა, ნორვეგია, ფინეთი, შვეიცარია და ჩილე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებისთვის რეგიონების ეკონომიკური განვითარება თანაზომიერად მიუყვება დედაქალაქის ეკონომიკურ განვითარებას, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენი ქვეყნებისთვის, რომელთა **K_{R2}** მოხვდა მეორე დონის - არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში;
- **K_{C1}** კოეფიციენტი პირველი დონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში მოხვდა შემდეგი ქვეყნების შემთხვევაში: ავსტრალია, ავსტრია, გერმანია, ირლანდია, კანადა, კოლუმბია, მექსიკა, ნორვეგია, ფინეთი, შვეიცარია და ჩილე, რაც იმას ნიშნავს რომ ამ ქვეყნებში დედაქალაქისა და ქვეყნის საშუალო ეკონომიკური განვითარება თანაზომიერად მიუყვება ერთმანეთს. იგი მეორე დონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში ხვდება შემდეგი ქვეყნების **K_{C1}**: ახალი ზელანდია, ბელგია, ბულგარეთი, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, იაპონია, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთი, საბერძნეთი, საქართველო, სლოვაკეთი, სომხეთი, უნგრეთი, შვედეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და ხორვატია, რაც იმას ნიშნავს რომ ამ ქვეყნების დედაქალაქების ეკონომიკა უფრო მეტად ვითარდება ვიდრე თვითონ ეს ქვეყნები საშუალოდ. დანარჩენი ქვეყნების შემთხვევაში **K_{C1}**, მოექცა მნიშვნელოვნად არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში, რაც

იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკური დისბალანსი ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარებასა და დედაქალაქის ეკონომიკურ განვითარებას შორის მნიშვნელოვნად მაღალია, დედაქალაქი მნიშვნელოვნად მეტად ვითარდება, ვიდრე თავად ქვეყნის საშუალო ეკონომიკური მდგომარეობა. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, აშშ, მოლდოვა, ნიდერლანდები, რუმინეთი, სამხრეთ კორეა, საფრანგეთი, სლოვენია, უკრაინა და ჩინეთი.

- **K₂** კოეფიციენტი პირველი დონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში მოხვდა შემდეგი ქვეყნების შემთხვევაში: ავსტრალია, ავსტრია, გერმანია, კანადა, მექსიკა, ნორვეგია, ჩილე, რომელთა დედაქალაქების და თავად ქვეყნის საშუალო ეკონომიკური განვითარება თანაზომიერად მიუყვება ერთმანეთს. მეორე დონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში ანუ არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში K₂ მოხვდა შემდეგი ქვეყნების შემთხვევაში: ახალი ზელანდია, ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, თურქეთი, იაპონია, ირლანდია, იტალია, კოლუმბია, ლატვია, პოლონეთი, რუსეთი, საბერძნეთი, საქართველო, სომხეთი, ფინეთი შვედეთი და შვეიცარია. K₂ - მესამე დონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში ანუ მნიშვნელოვნად არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში სადაც დედაქალაქის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად უსწრებს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას, მოხვდა შემდეგი ქვეყნების შემთხვევაში: აზერბაიჯანი, აშშ, ბულგარეთი, ესტონეთი, ლიეტუვა, მოლდოვა, ნიდერლანდები, პორტუგალია, რუმინეთი, სამხრეთ კორეა, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უკრაინა, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ჩინეთი და ხორვატია.

განვიხილოთ თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ჩვენ მიერ შემოღებული სტატუსის მინიჭების პრინციპი. საილუსტრაციოდ კი წარმოვადგინოთ დიაგრამა, რომელიც აგებულია დანართში არსებული ცხრილის საფუძველზე (იხ. დანართი 2, ცხრილი 109).

K_{R1} ■, K_{R2} ■, K_{C1} ■, K_{C2} ■ კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობები



დიაგრამა 3.2.8 - ზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი (Elizbarashvili, 2024, pp. 184-185):

- ავსტრალია, ავსტრია, გერმანია, კანადა, მექსიკა, ნორვეგია და ჩილე არიან თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების სტატუსის მქონე ქვეყნები, რადგან ამ ქვეყნებისთვის გამოთვლილი ჩვენ მიერ შემუშავებული ოთხივე კოეფიციენტი მოთავსებულია $(-0,5; 0,5)$ დიაპაზონში. ერთეულებამდე დამრგვალებული აღნიშნული კოეფიციენტები ნულის ტოლია, ანუ ეკონომიკური განვითარების დისბალანსი 50%-ზე ნაკლებია;
- არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში $[-1; -0,5]$ U $[0,5; 1]$ მოხვდნენ: ახალი ზელანდია, ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, თურქეთი, იაპონია, ირლანდია, იტალია, კოლუმბია, ლატვია, პოლონეთი, რუსეთი, საბერძნეთი, საქართველო, სომხეთი, ფინეთი, შვედეთი და შვეიცარია, რომელთათვისაც თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების კოეფიციენტები დამრგვალებული ერთეულებამდე სიზუსტით, მოდულში უდრის ერთს, ანუ ეკონომიკური განვითარების დისბალანსი მერყეობს 50%-დან 100%-ის ჩათვლით შუალედში;
- რაც შეეხება მესამე დიაპაზონს $(-\infty; -1)$ U $(1; +\infty)$, რომელიც მნიშვნელოვნად არათანაზომიერ ეკონომიკურ განვითარებას ახასიათებს, მოხვდნენ: აზერბაიჯანი, აშშ, ბულგარეთი, ესტონეთი, ლიეტუვა, მოლდოვა, ნიდერლანდები, პორტუგალია, რუმინეთი, სამხრეთ კორეა, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უკრაინა, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ჩინეთი და ხორვატია. ამ ქვეყნების ეკონომიკური თანაზომიერების კოეფიციენტები დამრგვალებული ერთეულებამდე სიზუსტით, მოდულში აღემატება ერთს, ანუ აღინიშნება 100%-ზე მეტი ეკონომიკური განვითარების დისბალანსი.

მსოფლიოს 44 ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, იკვეთება, რომ არ არსებობს კანონზომიერება, რომელიც რომელიმე ქვეყნის თანაზომიერ განვითარებას გარკვეული ნიშნის ან სტატუსის მიხედვით გამოარჩევს სხვა ქვეყნებისგან. ამ ქვეყნებს შორის არის,

როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ტიპის სახელმწიფოები, თუმცა შედეგები გვამცნობს, რომ რეგიონსა და დედაქალაქს შორის არათანაზომიერი განვითარება დამახასიათებელია ორივე მათგანისთვის (Elizbarashvili, 2024, p. 185).

აუცილებელია აღინიშნოს ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნება. თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებიდან, გამოიკვეთა ორი გამორჩეულად თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყანა, გერმანია და კანადა, რომელთათვისაც თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ოთხივე კოეფიციენტის მნიშვნელობა თითქმის ნულის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ დისბალანსი რეგიონისა და დედაქალაქის ეკონომიკურ განვითარებას შორის თითქმის არ არსებობს და მათი ეკონომიკური განვითარება ერთმანეთის ტოლია, ანუ თანაზომიერია. თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების კოეფიციენტების მესამედამდე დამრგვალებით ვიღებთ, რომ გერმანიის შემთხვევაში: $K_{R1}=0,00$, $K_{R2}=0,01$, $K_{C1}=0,01$, $K_{C2}=0,01$, ხოლო კანადის შემთხვევაში: $K_{R1}=0,00$, $K_{R2}=0,04$, $K_{C1}=0,04$, $K_{C2}=0,04$. ვხედავთ, რომ გერმანია თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დონით კანადასაც უსწრებს და მსოფლიოში ანალოგი არ ჰყავს. იგი ჩვენი კვლევის კუთხით იდეალური ქვეყანაა და წარმოადგენს თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების მსოფლიო ეტალონს. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული ფორმულები ადასტურებენ იმ იდეალურ შედეგს, რომლის გამოსაჩენადაც მიმართულია კვლევა: გერმანიას ყველაზე მეტად შეესაბამება ეტალონურ ქვეყანას და აშკარაა, რომ, ნებისთი თუ უნებლიედ მას გააჩნია ეკონომიკური განვითარების ისეთი მიდგომები, რომელსაც ქვეყანა თანაზომიერ ეკონომიკურ განვითარებამდე მიჰყავს (Elizbarashvili, 2024, pp. 185-186).

ჩვენ მიერ შემუშავებული თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების კოეფიციენტები, წარმოადგენს ქვეყნის შიგნით არსებული თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების საზომს და ჩვენ მიერ შემუშავებული თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონები განსაზღვრავს ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების სტატუსს. ეს ყოველივე სავარაუდოდ გახდება მოტივატორი განვითარებული, თუ განვითარებადი ქვეყნების ეკონომისტებისთვის, შეიმუშაონ თითოეული კოეფიციენტის საკუთარ ქვეყანაზე მორგებული იმგვარი მექანიზმები,

რომლებიც გამოიწვევს ამ კოეფიციენტების ნულთან დაახლოებას და ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლებას. ამისათვის აუცილებელი იქნება გერმანული მეთოდების და მიდგომების სიღრმისეული ანალიზი და მუდმივი დაკვირვება. საჭიროა ეკონომისტებმა უფრო მეტი დაკვირვებით გამოიკვლიონ და გამოააშკარაონ აღნიშნული პრაქტიკული წარმატების თეორიული საფუძვლები, რაც მეცნიერ-ეკონომისტებს შესაძლებლობას მისცემს თავიანთ ქვეყნებს მოარგონ და შეუსაბამონ გერმანული თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების საფუძვლები, რასაც „გერმანომიკა“ (*Germanomics*) ეწოდება (MAKRONOM, 2021).

ზემოხსენებული აბსტრაქტული სურათის იდეალურად განხორციელების შემთხვევაში ქვეყნები მივლენ თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ზენიტში, ანუ თითოეული ქვეყნის ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ტოლი იქნება როგორც ერთმანეთის და ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის ასევე დედაქალაქის მაჩვენებლის, რომლის მნიშვნელოვანი დისბალანსიც ქვეყნების უმეტესობაში ფიქსირდება.

მოცემული მიდგომა საბოლოოდ ქვეყნებს მიიყვანს იმ შედეგამდე, როდესაც ადამიანს არათუ დედაქალაქში საცხოვრებლად გადასვლის სურვილი ექნება, არამედ საკუთარ რეგიონში მიაღწევს ეკონომიკურ ბედნიერებას და მეტიც, მას საკმარისი დრო/საშუალება გაუჩნდება საკუთარ რეგიონში ეკონომიკური დოვლათის შესაქმნელად, ასევე სხვადასხვა კუთხით ამ რეგიონის განვითარებაში მონაწილეობის მისაღებად. ეს კი თავისთავად ქვეყნის საშუალო განვითარებაში რეგიონების ჩართულობას აამაღლებს და ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის დაჩქარებული და უფრო მაღალი განვითარების საწინდარი გახდება, ვინაიდან ქვეყანაში არსებულ რეგიონებსა და დედაქალაქს შორის სხვადასხვა სახეობის უთანასწორობა მთლიანი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ფონის დამამძიმებელია. ამასთანავე მოგვარდება ნებისმიერ ქვეყნებში არსებული აქტუალური საკითხები, კერძოდ, შემცირდება: დეპოპულაცია, ურბანიზაციის დონე, ჰაერის დაბინძურება, ტერიტორიების გაუდაბნოება, საცობები ცენტრალურ ქალაქებში, კრიმინალური დანაშაულების რაოდენობა, ამასთანავე სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში დაბალანსდება და მეტნაკლებად ერთმანეთს გაუტოლდება უძრავი ქონების

ფასები და თავისთავად მოგვარდება ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული სხვა მრავალი პრობლემა.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების ერთი კონკრეტული მაჩვენებელი არ არსებობს, ამიტომ აუცილებელია თეორიულ შეხედულებათა და ეკონომიკურ მაჩვენებელთა კომპლექსური გამოყენება, რათა მიღებული შედეგი იყოს რეალური. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მთავრობამ გაატაროს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე დამყარებული, ქვეყნის თანაზომიერ კონკურენტუნარიანობის ზრდაზე ორიენტირებული, რეგიონალური განვითარების გააზრებული, მიზანმიმართული და ეფექტიანი პოლიტიკა, რომელიც დამყარებული იქნება როგორც აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებულ, ეკონომიკური მაჩვენებლებით განმტკიცებულ თეორიულ ცოდნაზე, ისე პრაქტიკულ გამოცდილებაზე.

III.3. საქართველოს ეკონომიკის მომხმარებელი ხასიათი და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოდელი, როგორც საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობა

ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი ამავე ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკის სიჯანსაღის დონის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური საზომი სამომხმარებლო კალათაა. ეს უკანასკნელი ყველა იმ საქონლისა და მომსახურების საერთო ნაკრებია, რომელიც აუცილებელია ადამიანის ელემენტარული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მრავალფეროვანი სამომხმარებლო კალათა მიგვანიშნებს ერის სიმდიდრეზე, ხოლო სამომხმარებლო კალათა მწირი საქონლისა და მომსახურების შემადგენლობით მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონეს გულისხმობს (ელიზბარაშვილი, 2024დ, გვ. 122).

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოდელი ორიენტირებულია არა წარმოების, არამედ მოხმარების სტიმულირებაზე. აღნიშნული მიდგომა შესაძლოა გამართლებული იყოს იმ ქვეყნებისთვის, სადაც მწარმოებლურობის დონე მაღალი, ხოლო რეალური ეკონომიკა ზრდადია. საქართველოში რეალური ეკონომიკა, სამწუხაროდ, ნაკლებად ვითარდება, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში წარმოების


ნაცვლად მოთხოვნის სტიმულირება იწვევს საერთაშორისო ვაჭრობაში იმპორტის წილის მნიშვნელოვან ზრდას და საგარეო სავაჭრო სალდოს დეფიციტის კიდევ უფრო გადიდებას (იხ. ცხრილი 3.3.1) (საქსტატი, 2024დ).

ცხრილი 3.3.1

საქართველოს საგარეო ვაჭრობა (მლნ. აშშ დოლარი)

წელი	ექსპორტი	იმპორტი	საგარეო სავაჭრო ბრუნვა	იმპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში	ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში	საგარეო სავაჭრო სალდო
2009	1 134	4 476	5 609	80%	20%	-3 342
2010	1 677	5 236	6 913	76%	24%	-3 559
2011	2 186	7 072	9 259	76%	24%	-4 886
2012	2 377	8 056	10 433	77%	23%	-5 680
2013	2 910	8 023	10 933	73%	27%	-5 112
2014	2 861	8 602	11 463	75%	25%	-5 741
2015	2 204	7 304	9 508	77%	23%	-5 100
2016	2 117	7 342	9 459	78%	22%	-5 225
2017	2 746	8 057	10 803	75%	25%	-5 311
2018	3 380	9 361	12 741	73%	27%	-5 982
2019	3 797	9 518	13 315	71%	29%	-5 721
2020	3 341	8 049	11 389	71%	29%	-4 708
2021	4 242	10 099	14 341	70%	30%	-5 856
2022	5 582	13 548	19 131	71%	29%	-7 966
2023	6 086	15 604	21 690	72%	28%	-9 517

ცხრილი 3.3.1-დან ჩანს, რომ ქვეყნის იმპორტი და ექსპორტი ბოლო სამი წლის განმავლობაში სულ უფრო მეტად იზრდება. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოსთვის, როგორც იმპორტდამოკიდებული ქვეყნისთვის იმპორტის მოცულობა 2-ჯერ და მეტად აღემატება ექსპორტის მოცულობას. რაც შეეხება წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს, შეინიშნება ექსპორტის უმნიშვნელო ზრდისა და იმპორტის შემცირების ტენდენციები. საბოლოოდ, მოცემული ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ საქართველოს სავაჭრო სალდო 2009 წლიდან დღემდე მუდმივად უარყოფითია. რაც შეეხება მისი ცვლილების ტენდენციას, 2009 წელთან შედარებით უარყოფითი სავაჭრო სალდო თითქმის 3-ჯერ არის გაზრდილი (იხ. დიაგრამა 3.3.1) (ელიზბარაშვილი, 2024დ, გვ. 124; საქსტატი, 2024დ).



როგორც ვხედავთ, საგარეო სავაჭრო უარყოფითი სალდო წლების განმავლობაში განუწყვეტლად მცირდება, რაც გამოწვეულია მრავალი ფაქტორით. მათ შორის სხვადასხვა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებითა და გაფორმებული საერთაშორისო ვაჭრობის შეთანხმებებით, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში იმპორტიორებს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს და არარსებულ ან სუსტ ექსპორტიორებზე პრაქტიკულად ვერ მოქმედებს. საქართველოს მაგალითზე ნათელია, რომ ისეთი პოზიტიური მოვლენებიც კი, როგორიცაა განვითარებულ ქვეყნებთან მიღწეული საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები, შეიძლება იქცეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებლად, თუკი მისი გამოყენება მოხდება არასწორი მიმართულებით, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაში გაზრდილი მოთხოვნით, და არა წარმოების სტიმულირებით მოხდა.

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე მოთხოვნის ზრდის წყაროს საზღვარგარეთიდან შემოსული ფულადი სახსრები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ემიგრანტების მიერ ფულადი გზავნილები წარმოადგენს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი წყაროა, რადგან უმეტესწილად ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან პერიოდში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით განვითარებად ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა გლობალურ ბაზარზე წარადგინონ კონკურენტუნარიანი პროდუქცია (სიხარულიძე, ჭარაია, 2018, გვ. 52-53), თუმცა მეტად მნიშვნელოვანია, თუ

რომელ სექტორში მოხდება ინვესტირება. დღეისათვის საქართველოს განვითარებისთვის სხვა მაღალტექნოლოგიურ წარმოებასთან ერთად, რომელსაც მაღალი ეკონომიკური ამონაგები აქვს, ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი სექტორებია: ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირება, სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, ტურიზმი და ჰიდროენერგეტიკა. აღნიშნული სექტორების განვითარებისკენ დაფინანსება ნაკლებად არის მიმართული, თუმცა საქართველოს ეკონომიკა 2021 წლიდან მაღალი ტემპით ვითარდება. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ნაკლებად აღინიშნება, რაც ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია არა უბრალოდ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, არამედ მიზეზები, რომლებიც აღნიშნული ზრდას განაპირობებს (საქსტატი, 2024).

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში მიმდინარეობს საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის სატრანსპორტო დერეფნის გააქტიურებაზე საუბარი. საქართველოს სტრატეგიულ გეოპოლიტიკური მდებარეობას ადასტურებს მსოფლიოს სიდიდით მე-2 ეკონომიკის მქონე ჩინეთის დაინტერესება ქვეყნით, რაც საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით გამოიხატა. ეს შეთანხმება საქართველოში წარმოებული საქონლისა და მომსახურებისთვის ხსნის მსოფლიოს უდიდესი სავაჭრო ბაზრის კარს და საშუალებას აძლევს ქვეყანაში ოპერირებად მწარმოებლებს, რომ მინიმალური საბაჟო ტარიფებით გაიტანონ საქონელი მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს ბაზარზე (სემგს, 2017). აღნიშნული, რასაკვირველია, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე დადებითად აისახება. რაც შეეხება ფულად გზავნილებს, ეს რესურსი ძირითადად ყოველდღიური მოხმარებისთვის გამოიყენება.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე და მის კონკურენტუნარიანობაზე მსჯელობა შეუძლებელია მისი სამომხმარებლო კალათის ანალიზის გარეშე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ძირითადად განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში სამომხმარებლო კალათაში დიდი წილი სურსათს უჭირავს, რომელსაც ადამიანისთვის სხვა მნიშვნელოვანი პროდუქტი/მომსახურება მოსდევს. ეს გამოწვეულია ქვეყნების განვითარების დონეების უთანაბრობით. რაც უფრო ეკონომიკურად მდგრადია ქვეყანა, მით უფრო მაღალია მასში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონე, რომელთა


სამომხმარებლო ხარჯების დიდი ნაწილიც გართობაზე, დასვენებასა და კვების ობიექტებში სტუმრობაზე ნაწილდება, რასაც ვერ ვიტყვით ღარიბ და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებზე. იმისათვის, თუ რა მდგომარეობაა ჩვენ ქვეყანაში აღნიშნული კუთხით, ანალიზისთვის ნაშრომში მოყვანილია საქართველოს სამომხმარებლო კალათში შემავალი თითოეული კატეგორიის პროდუქციის წილების სრული ცხრილი (იხ. დანართი 2, ცხრილი 133) (საქსტატი, 2024ბ), რომლის საფუძველზეც წარმოდგენილია შემოკლებული, 12 კატეგორიად დაყოფილი პროდუქციისა და მომსახურების ცხრილი 3.3.2, მათი წონების დინამიკის გამომსახველი გრაფიკი (იხ. გრაფიკი 3.3.1) და ამავე პროდუქტის/მომსახურების შესაბამისი პერიოდის (2012-2024 წწ.) საშუალო მაჩვენებლები (იხ. დიაგრამა 3.3.2).

ცხრილი 3.3.2

საქართველოს სამომხმარებლო კალათის წონები (%)


	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	30,3	30,7	30,2	30,7	31,1	30,1	30,3	30,8	31,3	32,2	33,1	33,7	33,4
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	5,5	5,4	5,1	5,2	6,0	6,4	6,7	6,6	6,4	6,4	6,7	6,9	6,8
ტანსაცმელი/ფეხსაცმელი	2,6	2,6	2,9	2,9	3,1	3,4	3,6	3,7	3,9	3,8	3,9	4,0	4,0
საცხოვრებელი სახლი, კომუნალურები	8,2	8,8	8,4	8,5	8,2	8,4	8,5	8,8	9,0	9,0	9,0	9,0	8,7
ავეჯი, საოჯახო ნივთები, რემონტი	5,1	4,8	6,2	6,4	6,4	6,6	6,4	6,4	5,9	5,3	5,2	5,2	5,5
ჯანმრთელობის დაცვა	7,5	9,0	10,1	9,5	9,8	8,4	8,6	8,0	7,8	7,8	9,5	9,4	9,4
ტრანსპორტი	12,8	12,7	11,8	11,8	12,1	13,1	12,6	12,1	12,1	13,0	11,8	12,3	12,0
კავშირგაბმულობა	5,6	4,1	3,6	3,6	3,2	3,7	3,9	3,6	3,8	3,6	3,8	3,6	3,7
დასვენება, გართობა და კულტურა	6,8	6,7	6,6	7,1	6,2	6,4	5,8	5,7	3,8	3,7	3,0	3,1	3,3
განათლება	6,1	4,9	5,4	5,0	5,0	4,7	4,6	5,0	5,0	4,6	4,9	4,4	4,6
სასტუმროები, კაფეები/რესტორნები	4,4	5,2	5,0	4,8	4,0	4,1	4,0	4,0	5,4	5,4	3,9	3,1	3,3
სხვადასხვა საქონელი/მომსახურება	5,0	5,1	4,7	4,5	4,8	4,9	5,1	5,3	5,5	5,3	5,3	5,3	5,2

გრაფიკი 3.3.1





დიაგრამა 3.3.2



ცხრილი 3.3.2 და გრაფიკი 3.3.1 დეტალურად გვიჩვენებს 2012 წლიდან 2024 წლამდე პერიოდში თითოეული წლის სასურსათო კალათაში შემავალი 12 კატეგორიად დაყოფილი პროდუქციის/მომსახურების წილებს და მათ დინამიკას დროში, რომელსაც, როგორც ვხედავთ სტაბილურია და ერთსა და იმავე ტენდენციას ინარჩუნებს ან მცირედით იზრდება. რაც შეეხება წრიულ დიაგრამა 3.3.2-ს, იგი გვიჩვენებს, ამავე წლების განმავლობაში გამოთვლილ საშუალო წილებს. მასზე ვხედავთ, რომ საქართველოს სამომხმარებლო კალათაში მოხმარების უდიდესი წილი - 61,2%, მართლაც, ისეთ საქონელსა და მომსახურებაზე ნაწილდება, რომლის გარეშეც ადამიანის ცხოვრება შეუძლებელია. ესენია: სურსათი (31,4%), ტრანსპორტი (12,3%), ჯანმრთელობის დაცვა

(8,8%), საცხოვრებელი და კომუნალურები (8,7%). რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეს უსვამს ხაზს (ელიზბარაშვილი, 2024დ, გვ. 123-124).

საქართველოს ეკონომიკის მომხმარებლური ხასიათიდან გამომდინარე სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების დიდი ნაწილი იმპორტულია, რაც ეკონომიკის განვითარებას აფერხებს. აღნიშნულის დეტალური ანალიზისთვის წარმოგიდგენთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოთხოვილ ოფიციალურ მონაცემებს (საქსტატი 2024გ) ცხრილ 3.3.3-ის სახით.

ცხრილი 3.3.3

საქართველოს სამომხმარებლო კალათის წილები (%)

			2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	საშუალო
1.	სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	ადგილობრივი	61,5	58,8	59,8	57,8	57,5	56,9	56,4	57,6	56,5	57,1	56,8	57,9
		იმპორტული	4,8	4,9	4,9	6,5	5,9	7,0	6,9	6,6	6,2	6,6	6,9	6,1
		შერეული	33,8	36,3	35,3	35,7	36,6	36,1	36,7	35,8	37,3	36,4	36,3	36,0
2.	ტრანსპორტი	ადგილობრივი	27,8	28,4	31,8	30,2	29,8	29,7	30,3	31,9	26,9	25,9	26,2	29,0
		იმპორტული	69,8	69,6	65,7	67,1	65,4	65,8	65,4	64,2	69,2	70,1	69,3	67,4
		შერეული	2,4	2,0	2,5	2,7	4,8	4,5	4,3	3,8	3,9	4,0	4,4	3,6
3.	ჯანმრთელობის დაცვა	ადგილობრივი	76,4	73,6	73,5	66,3	65,1	60,2	56,3	54,0	39,3	34,6	34,9	57,7
		იმპორტული	1,3	1,0	1,0	1,1	1,0	1,4	1,4	1,8	1,2	1,4	1,5	1,3
		შერეული	22,3	25,4	25,5	32,6	33,9	38,4	42,3	44,2	59,5	64,0	63,6	41,1
4.	საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	ადგილობრივი	66,7	67,3	65,6	64,9	62,6	40,9	42,9	47,3	41,9	41,0	40,8	52,9
		იმპორტული	31,7	31,8	33,3	34,3	36,5	34,9	33,6	30,7	34,1	34,6	34,5	33,6
		შერეული	1,6	0,9	1,1	0,8	0,8	24,2	23,5	21,9	24,0	24,4	24,6	13,4
5.	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	ადგილობრივი	59,7	57,5	59,3	60,8	61,4	47,2	37,4	33,8	30,9	30,8	30,6	46,3
		იმპორტული	30,2	31,4	26,3	25,4	27,4	35,4	44,6	48,5	49,3	48,7	48,7	37,8
		შერეული	10,2	11,1	14,4	13,8	11,2	17,4	18,0	17,7	19,8	20,4	20,7	15,9
6.	ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთ.	ადგილობრივი	3,4	3,0	2,7	2,6	2,7	2,7	3,7	3,4	4,1	4,3	3,9	3,3
		იმპორტული	54,8	78,8	80,3	79,0	80,7	77,5	75,3	76,6	78,0	79,5	79,7	76,4
		შერეული	41,8	18,2	16,9	18,5	16,6	19,8	21,0	20,0	18,0	16,1	16,4	20,3
7.	დასვენება, გართობა და კულტურა	ადგილობრივი	78,8	82,0	70,7	63,6	60,7	78,4	42,0	40,2	45,4	49,2	47,7	59,9
		იმპორტული	13,0	14,5	23,8	28,5	31,9	17,0	23,0	25,3	33,1	32,8	35,2	25,3
		შერეული	8,2	3,5	5,4	7,9	7,4	4,6	35,0	34,5	21,5	18,0	17,1	14,8
8.	სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	ადგილობრივი	71,3	69,9	70,3	69,1	63,6	65,6	67,9	63,6	62,6	63,5	58,6	66,0
		იმპორტული	28,7	30,1	29,7	29,8	29,8	28,6	26,1	29,6	29,7	28,3	32,1	29,3
		შერეული	0	0	0	1	7	6	6,0	6,7	7,7	8,2	9,3	4,7
9.	განათლება	ადგილობრივი	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
		იმპორტული	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
		შერეული	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
10.	სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	ადგილობრივი	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
		იმპორტული	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0,0
		შერეული	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0,0
11.	კავშირგაბმულობა	ადგილობრივი	99	78	99	83	81	81	78	80	82	81	82	84,2
		იმპორტული	1	22	1	17	19	19	20	19	17	18	17	15,4
		შერეული	0	0	0	0	0	0	1	1	1	1	1	0,4
12.	ტანსაცემელი და ფეხსაცემელი	ადგილობრივი	1,2	1,2	1,3	1,6	1,5	2,1	2,1	1,7	1,3	1,3	1,3	1,5
		იმპორტული	2,4	4,4	5,6	3,4	3,6	3,0	2,6	2,9	3,1	3,1	5,9	3,6
		შერეული	96	94	93	95,0	94,9	94,9	95,3	95,4	95,6	95,6	92,8	94,8
სულ:	სამომხმარებლო კალათა	ადგილობრივი	61,0	58,9	58,8	55,7	55,0	52,7	51,0	51,3	48,3	47,1	47,0	53,3
		იმპორტული	19,7	22,5	22,2	24,5	24,4	23,9	23,7	23,8	24,1	24,9	25,2	23,5
		შერეული	19,3	18,6	19,1	19,7	20,6	23,4	25,3	24,9	27,6	28,1	27,8	23,1

მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს სამომხმარებლო კალათის წონები COICOP-ის (Classification of Individual Consumption According to Purpose - კლასიფიკაცია პირადი მოხმარების მიზნის მიხედვით) ჯგუფებისა და პროდუქტების წარმომავლობის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში ადგილობრივ წარმოებასა და იმპორტთან ერთად მოცემულია მესამე კომპონენტი ე.წ. „შერეული“. რომელიც, სამწუხაროდ, ამახინჯებს და არასრულყოფილს ხდის მონაცემებს. მასში შედის გაუმიჯნავი პროდუქცია, საიდანაც დიდი ალბათობით უმეტესი ნაწილი იმპორტულია. ეს სავარაუდოა პირველ რიგში ზემოთ მოყვანილ ცხრილ 3.3.1-სა და დიაგრამა 3.3.1-ის მონაცემებიდან გამომდინარე, ვინაიდან 2009 წლიდან მოყოლებული დღემდე, იმპორტის წილი მთლიან სავაჭრო ბალანსში განუწყვეტლივ იზრდება და იგი არცერთი წლის მონაცემებით არ ფიქსირდება 70%-ზე ნაკლები. ამასთანავე განუწყვეტლივ მცირდება უარყოფითი სავარგო სავაჭრო სალდოც (იხ. დიაგრამა 3.3.1). აქედან გამომდინარე მიმდინარე კვლევისას უნდა ჩავთვალოთ, რომ ე.წ. კომპონენტ „შერეულში“ უდიდესი ნაწილი იმპორტს უკავია. ცხრილი 3.3.3-ის დეტალური ანალიზისთვის ქვემოთ წარმოდგენილია ამავე ცხრილის შესაბამისი მონაცემებიდან აგებული გრაფიკები და დიაგრამები, რომლებიც გამოსახულია ორ სვეტად. პირველ სვეტში მოყვანილია აღნიშნული თორმეტი კატეგორიის პროდუქციისა და მომსახურებიდან თითოეულის შესატყვისი კომპონენტების (ადგილობრივი წარმოება, იმპორტი, „შერეული“) წილების დინამიკის ამსახველი გრაფიკები, რომლებიც გვიჩვენებს თითოეული წლის მდგომარეობას, ხოლო მეორე სვეტში წარმოდგენილია აღნიშნული გრაფიკების შესაბამისი წრიული დიაგრამები, რომლებიც გვიჩვენებს თითოეული კატეგორიის პროდუქციისა და მომსახურებაში საშუალოდ რა წილი უკავია ადგილობრივ წარმოებას, იმპორტსა და შერეულ კომპონენტს (ელიზბარაშვილი, 2024დ, გვ. 125-126).

ბოლოში მოყვანილია ჯამურად, მთლიანი სამომხმარებლო კალათის 2014-2024 წლების საშუალო მონაცემების შედეგად აგებული გრაფიკი, რომელშიც გაერთიანებულია სამომხმარებლო კალათის თითოეული კატეგორიის საქონელი და მომსახურება. ამასთანავე მოცემული გრაფიკები და დიაგრამები დალაგებულია სამომხმარებლო


კალათის 12 კატეგორიის პროდუქციისა და მომსახურების საშუალო წილების კლების მიხედვით (იხ. გრაფიკი 3.3.2 და დიაგრამა 3.3.3).

გრაფიკი 3.3.2


საქართველოს სამომხმარებლო კალათის თითოეული კატეგორიის პროდუქციასა და მომსახურებაში იმპორტის, ადგილობრივი წარმოებისა და „შერეულის“ წილების დინამიკა 2014-2024 წლებში. (მრუდები და ფერები შეესაბამება მოცემულ ფიგურებს:

1.  ადგილობრივი წარმოება;
2.  იმპორტი;
3.  „შერეული“.)


1. სურსათი და უალკოჰოლო სასმელები




⇒ საშუალო




2. ტრანსპორტი




⇒ საშუალო




3.ჯანმრთელობის დაცვა




⇒ საშუალო




4.საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი და სხვ.




⇒ საშუალო




5.აღკოპოლოური სასმელები, თამბაქო




⇒ საშუალო




6. ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა/შეკეთება




⇒ საშუალო




7. დასვენება, გართობა და კულტურა




⇒ საშუალო





8. სხვადასხვა საქონელი და მომსახურება



⇒ საშუალო







წინამდებარე გრაფიკებსა და დიაგრამებზე ნათლად ჩანს, საქართველოს სამომხმარებლო კალათის თითოეული კატეგორიის პროდუქციასა და მომსახურებაში ადგილობრივი წარმოების, იმპორტისა და ე.წ. „შერეულის“ წილების დინამიკა 2014-2024 წლებში. ასევე მათი შესაბამისი საშუალო მაჩვენებლები გაანგარიშებული ამავე წლების მონაცემების მიხედვით. საბოლოო ჯამში ვხედავთ რომ საქართველოს სამომხმარებლო კალათა არასახარბიელო მდგომარეობაშია, რასაც მოწმობს ადგილობრივი წარმოების პროცენტული წილის დინამიკის (როგორც ცალკეული კატეგორიის პროდუქციისა/მომსახურების, ასევე ჯამურად) ამსახველი მრუდებიც. ეს უკანასკნელი არცერთ ჩამოთვლილ კატეგორიაში არ იზრდება, გარდა იმ შემთხვევებისა რომელი

კატეგორიის იმპორტიც საერთოდ არ ხორციელდება და მხოლოდ ადგილობრივი წარმოება გვაქვს, როგორიცაა: განათლება და სასტუმროების, კაფეების, რესტორნების მომსახურება. ამასთანავე იმპორტის წილების დინამიკის ამსახველი მრუდი არცერთ კატეგორიაში არ მცირდება და ასევე არ მცირდება „შერეული“ პროდუქციის დინამიკის ამსახველი მრუდებიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ უკანასკნელის უდიდესი ნაწილი სწორედ იმპორტზე უნდა მოდიოდეს და გვართმევს რეალური სურათის აღქმის საშუალებას. რაც შეეხება მთლიანი სამომხმარებლო კალათის ჯამურ მაჩვენებლებს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი უფრო უარესი მდგომარეობის გამომხატველია ვიდრე ცალკეული კატეგორიების შემთხვევაში. აქ, ადგილობრივი წარმოების დინამიკის გამომსახველი მრუდი 2014 წლიდან დღემდე დამრეცია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი წარმოება მცირდება. იმპორტის პროცენტული წილის ამსახველი მრუდი დროთა განმავლობაში ზრდადია ან სტაბილურია. ხოლო „შერეული“ პროდუქციის ამსახველი მრუდიც, (რომლის დიფერენციაციის შემთხვევაშიც უფრო უარესი სურათი გვეჩვენოდა) საკმაოდ სტაბილურია.

ბოლოს კი სამომხმარებლო კალათის ანალიზისას არ შეიძლება არ აღინიშნოს ქვეყნისთვის ის ძალზე მტკივნეული ფაქტი, რომელიც მიმდინარე კვლევისას გამოიკვეთა. როგორც ზემოთ მოყვანილ დიაგრამაზე ვნახეთ (იხ. დიაგრამა 3.3.2) მთლიან სასურსათო კალათაში საშუალო მონაცემების მიხედვით ნახსენებ თორმეტ კატეგორიის პროდუქტსა და მომსახურებას შორის განათლება თითქმის უკანასკნელ, მე-9 ადგილზეა (4,9%), რომელსაც ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელი პროდუქციისა და მომსახურების მაჩვენებლების გარდა სამწუხაროდ უსწრებს ისეთი პროდუქცია და მომსახურებები, როგორებიცაა: გართობა, დასვენება, ალკოჰოლი, თამბაქო, მორთულობა-მოკაზმულობა და სხვ. აქ უკვე ცხადია, თუ რაოდენ მწვავე პრობლემას ვაწყდებით და, თუ როგორ „ეხმარება“ ქვეყანას მოსახლეობა მისი განვითარების შეფერხებაში.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს ეკონომიკის მომხმარებლური ხასიათის შესასუსტებლად და ექსპორტის წასახალისებლად გადაიდგა არის საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომელმაც საქართველოში წარმოებულ საქონელსა და

მომსახურებას მსოფლიოს უმსხვილესი ბაზრის კარი გაუღო (სემგს, უთარილოა). აღნიშნული შეთანხმება სტიმულია ადგილობრივი მწარმოებლებისთვის, რადგან ხელს უწყობს ეროვნული წარმოების საქონლისა და მომსახურების ხარისხის ზრდას, რაც საბოლოოდ კონკურენტუნარიანობის ამაღლებით გვირგვინდება. მოცემული შეთანხმების ფარგლებში საქართველოს საშუალება ეძლევა ისარგებლოს საქონლის/მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებით. მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებას კი თავისთავად ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია.

ზოგადად, განვითარებადი ქვეყნისთვის სოციალურ-ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა განვითარებულ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავების გარეშე წარმოუდგენელია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აქტიურად ცდილობს მაღალი ეკონომიკური მიღწევების მქონე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას, რაც სხვადასხვა ქვეყანასთან გაფორმებულ საერთაშორისო შეთანხმებებში ვლინდება აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნის ეკონომიკა ბოლო რამდენიმე წელია მაღალი ტემპით ვითარდება, თუმცა შედეგი რეალური განვითარების კუთხით არ დგება ეს უკანასკნელი გამოწვეულია ქვეყნის იმპორტდამოკიდებულებით, ექსპორტის კუთხით დიდი პოტენციალის მქონე სექტორების მიძინებითა და არადივერსიფიცირებული საექსპორტო საქონლის წარმოებით.

საქართველოს ეკონომიკის ჩამორჩენილობის კიდევ ერთი უმთავრესი მიზეზი ქვეყანაში არსებული ნეკროეკონომიკაა. იმისათვის, რომ შეიქმნას ობიექტური პირობები მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის, ქვეყანა საბოლოოდ უნდა გათავისუფლდეს ნეკროეკონომიკისგან, ვინაიდან რაც უფრო ჩამორჩება საქართველო მაღალტექნოლოგიურ მიღწევებს, მით უფრო მცირეა იმის შანსი, რომ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები სტაბილურად შეინარჩუნოს (Papava, 2017b, p. 455).

ვინაიდან საქართველო პოსტკომუნისტური ქვეყანაა და ამასთანავე ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიისწრაფვის, მისი და სხვა პოსტკომუნისტური თუ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისთვის დაგვეხმარება ამ 40 ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთმანეთთან შედარება. თუმცა, რასაკვირველია პირდაპირ, ფაქტობრივ ეკონომიკურ ზრდებს ვერ შევადარებთ, რადგან ყველა ქვეყანას ახასიათებს

ეკონომიკის განვითარების განსხვავებული დონე და მათი ერთმანეთთან შედარებისთვის აუცილებელია აღნიშნული ეკონომიკები „გავათანაბროთ“ რაიმე ნიშნულთან - გამოვრიცხოთ ე.წ. „მკვეთრი ზრდის ეფექტი“ (პაპავა, 2020, გვ. 228-233). ამისათვის საჭიროა ავიღოთ, რომელიმე ეტალონური ქვეყანა და მას შევუსაბამოთ სხვა დანარჩენი ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები. კვლევა ჩატარებულია IMF-ის, როგორც ფაქტობრივი (2001-2023 წწ.), ასევე პროგნოზირებული (2024-2029 წწ.) მონაცემების საფუძველზე და დანართში წარმოდგენილია შესაბამისი მონაცემების/გათვლების ამსახველი სრული ცხრილები (იხ. დანართი 2, ცხრილი 114-ცხრილი 123) (IMF, 2024). ვინაიდან კვლევისას გამოიკვეთა ირლანდიის ეკონომიკური უპირატესობა დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებით და (ქვეყნიდან GDP მოსახლეობის ერთ სულზე (PPP-ის მიხედვით) შეადგენს 80 866 აშშ დოლარს და საშუალო ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდა შეადგენს 4,54%-ს) ნებისმიერი სხვა ქვეყნის ეტალონად აღების შემთხვევაში ირლანდიის საშუალო კორექტირებული ეკონომიკური ზრდა გამოდის ყველაზე მაღალი, სწორედ ამიტომ, იგი ავიღეთ, როგორც ეტალონური ქვეყანა და გავუთანაბროთ დანარჩენი 39 ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები. მაგალითად, საქართველოს GDP მოსახლეობის ერთ სულზე (PPP-ის მიხედვით) 2023 წელს იყო 21 131 აშშ დოლარი, ხოლო ირლანდიის - 132 219 აშშ დოლარი. მათი თანაფარდობით ვიღებთ ე.წ. „პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტს“ (პაპავა, 2014, გვ. 30-31), რომელიც გვიჩვენებს, რომ ირლანდიის ეკონომიკა 2022 წელს 6,26-ჯერ აღემატებოდა საქართველოს ეკონომიკას, რაც იმას ნიშნავს, რომ ირლანდიისთვის 6,26-ჯერ უფრო რთული იყო საქართველოს შესატყვისი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. გამოდის, რომ საქართველოს ეკონომიკის 10,96%-იანი ზრდა ირლანდიის ეკონომიკის 1,75%-იანი ($10,96 : 6,26$) ზრდის ექვივალენტური ყოფილა და ცალსახად იმის თქმა, რომ საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ (10,96%) გადააჭარბა ირლანდიის ეკონომიკურ ზრდას (9,43%), როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს არასწორია. ამ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკური ზრდა კიარ აჭარბებს ირლანდიის ეკონომიკურ ზრდას, არამედ 5,39-ჯერ ($9,43 : 1,75$) ჩამორჩება კიდევ მას. საბოლოოდ „მკვეთრი ზრდის ეფექტის“ გამორიცხვის შემდეგ ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდიდან მივიღებთ კორექტირებულ ეკონომიკურ ზრდას ე.წ. „პიპოთეზურ ეკონომიკურ ზრდას“ (პაპავა, 2014, გვ. 30-31.

აღნიშნული მაგალითის შესაბამისად გამოვთვალეთ 2001 წლიდან 2030 წლამდე თითოეული ქვეყნის „ჰიპოთეზური ეკონომიკური ზრდა“ (იხ. დანართი 2, ცხრილი 114 - ცხრილი 123), როგორც ცალკეული წლის მიხედვით ასევე აღნიშნული ბოლო სამი ათწლეულის საშუალო მაჩვენებლები და შევადარეთ ერთმანეთს. დეტალური ცხრილების სიდიდიდან გამომდინარე პარაგრაფში მოყვანილია საშუალო მაჩვენებლების ანალიზი (იხ. ცხრილი 3.3.4; დიაგრამა 3.3.4-დიაგრამა 3.3.5).


ცხრილი 3.3.4

ფაქტობრივი და „ჰიპოთეზური“ საშ. ეკონომიკური ზრდა (ირლანდიის - 4.54%)


№	ქვეყანა	ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდა (%)	№	ქვეყანა	„ჰიპოთეზური“ ეკონომიკური ზრდა (%)
1	ტაჯიკეთი	7,00	1	ლუქსემბურგი	4,09
2	თურქმენეთი	6,27	2	მალტა	2,35
3	აზერბაიჯანი	6,24	3	ყაზახეთი	1,73
4	უზბეკეთი	6,20	4	კვიპროსი	1,51
5	სომხეთი	6,09	5	შვედეთი	1,51
6	<u>საქართველო</u>	5,71	6	ლიეტუვა	1,44
7	ყაზახეთი	5,16	7	სლოვაკეთი	1,40
8	მალტა	4,20	8	პოლონეთი	1,38
9	მოლდოვა	4,02	9	თურქმენეთი	1,37
10	ყირგიზეთი	4,00	10	ესტონეთი	1,28
11	ალბანეთი	3,87	11	აზერბაიჯანი	1,27
12	რუმინეთი	3,74	12	რუმინეთი	1,24
13	ლიეტუვა	3,53	13	ჩეხეთი	1,16
14	პოლონეთი	3,49	14	სლოვენია	1,15
15	სლოვაკეთი	3,28	15	ნიდერლანდები	1,08
16	ბელარუსი	3,25	16	ლატვია	1,07
17	ბულგარეთი	3,15	17	ბელგია	1,07
18	ლატვია	3,05	18	რუსეთი	1,06
19	ესტონეთი	2,85	19	დანია	1,04
20	კვიპროსი	2,80	20	უნგრეთი	1,01
21	რუსეთი	2,78	21	ავსტრია	0,96
22	უნგრეთი	2,51	22	<u>საქართველო</u>	0,95
23	ლუქსემბურგი	2,46	23	ხორვატია	0,87
24	ხორვატია	2,41	24	სომხეთი	0,87
25	სლოვენია	2,39	25	ფინეთი	0,86
26	ჩეხეთი	2,29	26	ესპანეთი	0,85
27	შვედეთი	2,05	27	ბულგარეთი	0,85
28	უკრაინა	1,71	28	ბელარუსი	0,83
29	ესპანეთი	1,58	29	გერმანია	0,78
30	ბელგია	1,52	30	საფრანგეთი	0,78
31	ნიდერლანდები	1,48	31	ალბანეთი	0,64
32	დანია	1,46	32	უზბეკეთი	0,61
33	ფინეთი	1,27	33	მოლდოვა	0,56
34	ავსტრია	1,27	34	პორტუგალია	0,42
35	საფრანგეთი	1,21	35	ტაჯიკეთი	0,31
36	პორტუგალია	1,12	36	უკრაინა	0,28
37	გერმანია	1,06	37	ყირგიზეთი	0,25
38	საბერძნეთი	0,66	38	საბერძნეთი	0,23
39	იტალია	0,42	39	იტალია	0,19

ცხრილის პირველ სვეტში ქვეყნები დალაგებულია ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდის კლების მიხედვით, ხოლო მეორე სვეტში კორექტირებული - „ჰიპოთეზური“ ეკონომიკური ზრდის კლების მიხედვით. მათ შორის აშკარად ჩანს თანმიმდევრობის ცვლილება. მაგალითად, ცხრილ 3.3.4-დან გამომდინარე საქართველო საშუალო ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდით (5,71%) უსწრებს ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს, და ჩამორჩება მხოლოდ რამდენიმე პოსტკომუნისტურ განვითარებად ქვეყანას: ტაჯიკეთს; თურქმენეთს; აზერბაიჯანს; უზბეკეთსა და სომხეთს. რაც შეეხება კორექტირებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს (0,95%), ამ კუთხით საქართველო უკვე ჩამორჩება მთელ რიგ განვითარებად, თუ განვითარებულ ქვეყნებს, მათ შორის ეტალონურ ირლანდიას. ამასთანავე, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს საქართველო კორექტირებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით 9 პოსტკომუნისტურ ქვეყანასთან ერთად (ალბანეთი, ბელარუსი, ბულგარეთი, მოლდოვა, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ყირგიზეთი) 9 ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსაც (ბულგარეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, ხორვატია) უსწრებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ირლანდიის ეტალონურ ქვეყანად აღების შემდეგ ლუქსემბურგის გარდა ყველა ქვეყნის ეკონომიკური ზრდა (ზოგიერთის უმნიშვნელოდ, ზოგიერთის მნიშვნელოვნად) შემცირდა, მათ შორის, საქართველოს საშუალო ეკონომიკური ზრდა 5,71%-დან 0,95%-მდე, ე.ი. დაახლოებით 6-ჯერ შემცირდა. ამ ცვლილებების თვალნათლივ, წარმოსაჩენად უმჯობესია ცხრილის შედეგების გამოსახვა დიაგრამების სახით, რომლებიც ილუსტრაციულად, ერთი შეხედვით, გვაჩვენებს თითოეული ქვეყნის ფაქტობრივ ეკონომიკურ ზრდასა და კორექტირებულ - „ჰიპოთეზურ“ ეკონომიკურ ზრდას შორის ცვლილების სიდიდეს. სწორედ ამიტომ, ქვემოთ წარმოდგენილია დიაგრამები (იხ. დიაგრამები 3.3.4 - 3.3.5).

დიაგრამა 3.3.4



დიაგრამა 3.3.5



დიაგრამა 3.3.4-ზე ნაჩვენებია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და პოსტკომუნისტური ქვეყნების ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდის საშუალო პროცენტული მაჩვენებლები კლებადობის მიხედვით, ხოლო დიაგრამა 3.3.5-ზე კი ამავე ქვეყნების კორექტირებული - „ჰიპოთეზური“ ეკონომიკური ზრდა ასევე კლებადობის მიხედვით. აქ თვალნათლივ ვხედავთ ცხრილ 3.3.5-ში მოყვანილი მონაცემების ერთმანეთისგან განსხვავებას და ილუსტრაციულადაც მყარდება ჩვენი მსჯელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ანალიზის შესახებ.

კვლევიდან გამომდინარე აშკარა ხდება, რომ სანამ ამა თუ იმ ქვეყნის ფაქტობრივ მაღალ ეკონომიკურ ზრდას მივიჩნევთ სხვა ქვეყნებთან შედარებით პრიორიტეტულად, მანამდე უმჯობესია გავითვალისწინოთ „მკვეთრი ზრდის ეფექტი“ და მისი გამორიცხვის შედეგად მიღებული ცვლილებები. ეს ყოველივე ყველაზე მეტად ეხება განვითარებად ქვეყნებს, რომელთა ეკონომიკური ზრდა ხშირ შემთხვევაში „თვალისმომჭრელად“ მაღალია და იქმნება იმის ილუზია თითქოს ამ უკანასკნელთა ეკონომიკური ზრდა რეალურად აღემატება უფრო დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკურ ზრდებს.

თითოეულ პოსტკომუნისტურ ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, ძალიან გრძელი და რთული გზა აქვს გასავლელი იმისთვის, რომ ეკონომიკური განვითარების სამომხმარებლო მოდელიდან ინოვაციურ მოდელზე გადავიდეს. ამ გზის წარმატებით გასავლელად მხოლოდ მთავრობის ძალისხმევა არ არის საკმარისი. საერთაშორისო შეთანხმებების პარალელურად აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იყოს კერძო მეწარმეთა ინტერესების გასაღვივებლად და კერძო სექტორზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდის ინოვაციური ტიპის წასახალისებლად (Papava, 2014, p. 8).

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონისა და ეკონომიკური ზრდის მისაღწევად საჭიროა განვითარდეს წარმოება. წარმოების განვითარების საწინდარია სხვადასხვა სექტორისა და დარგის გამოცოცხლება, რაც ქმნის ახალ შესაძლებლობებს სამუშაოს მაძიებლებისთვის. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია წარმოების განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები, როგორც ტექნოლოგიური წინსვლისა და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების

კუთხით, ისე იმ ადამიანთა კვალიფიციური მზაობა, რომლებმაც უნდა შეძლონ მაღალტექნოლოგიური წარმოების ამოქმედება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეკონომიკის სტრუქტურული მახასიათებელი ცოდნის წარმოების ფუნქციაა (Leydesdorff, 2010, p. 2).

იმისათვის რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება არ შეფერხდეს და იყოს მუდმივად ზრდადი საჭიროა ორიენტირი გაკეთდეს ისეთი სექტორების განვითარებაზე, რომლებიც არა მოკლევადიან, არამედ ხანგრძლივ, გრძელვადიან დადებით შედეგს მოიტანს. შეიძლება ითქვას, რომ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა (Knowledge Based Economy - KBE) სწორედ ამ უკანასკნელს წარმოადგენს. ცოდნის, როგორც ეკონომიკის მამოძრავებელი უმთავრესი „პროდუქტის“ ბუნების განსაზღვრა ძალიან რთულია, აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბებული არ არის ცოდნის ეკონომიკის ერთი კონკრეტული განსაზღვრება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცოდნის ეკონომიკა არ არის სრულყოფილად შესწავლილი არც თეორიული და არც რაოდენობრივი თვალსაზრისით, სწორედ ამიტომ მისი შეფასების ეფექტიანი სტატისტიკური მექანიზმი არ არსებობს. ეს მოცემულობა კი ართულებს სხვადასხვა ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

თანამედროვე საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე, მცირე ზომის ქვეყნისთვის, დღის წესრიგში დგას გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემა. ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის განხილვისას ძირითადი ყურადღება ეთმობა ისეთ რაოდენობრივ მაჩვენებლებს, როგორიცაა საექსპორტო პოტენციალი, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა, ადამიანისეული რესურსები და სხვ. (ბედიანაშვილი, 2019, გვ. 30). შედარებით ნაკლები ორიენტაცია კეთდება ცოდნის ეკონომიკის განვითარებაზე, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე.

აღსანიშნავია, რომ პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ძირითად რესურსს ცოდნა და ინფორმაცია წარმოადგენს, ამდენად, ცოდნის ეკონომიკის განვითარება ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების კუთხით დიდ მნიშვნელობას იძენს. როდესაც ვსაუბრობთ ტერიტორიული ნიშნით მცირე ქვეყანაზე, და მცირერიცხოვან ერზე, მნიშვნელოვანია, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროცესში არ

მოხდეს ეროვნული ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში სიღრმისეულად უნდა იქნეს შესწავლილი მისი განვითარების ხელშემწყობი ყველა ასპექტი, შეიქმნას და გატარდეს შესაბამისი პოლიტიკა, რომელშიც ასახული იქნება სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინსტიტუტების ფორმირება და ქვეყნის კულტურული ფასეულობების მოდერნიზაციის ღონისძიებები. აღნიშნულის შემდეგ შესაძლებელი იქნება ცოდნის ეკონომიკის რეალური მშენებლობა (ბედიანაშვილი, 2019, გვ. 30).

ეროვნული ეკონომიკები, განურჩევლად ეკონომიკური განვითარების საფეხურისა, იყენებენ ცოდნას იმისთვის, რომ განვითარდნენ. ზოგადად, ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარების მიზნები ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული, შესაბამისად ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება ერთად განიხილება. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მიხედვით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება დაკავშირებულია, არა უბრალოდ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან, არამედ ამ ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენებასთან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინფორმაცია არის ცოდნის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, რომელიც წარმოების ძალზედ მნიშვნელოვანი რესურსია (Cleveland, 1982). მსოფლიო ბანკი გვთავაზობს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ყველაზე ფართოდ გამოყენებულ მოდელს, რომელშიც განსაზღვრულია სისტემის ოთხი საყრდენი. ესენია (ADB, 2007, pp. 10-21):

- განათლება კვალიფიციური სამუშაო ძალისთვის;
- მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაციები;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური (ICT) ინფრასტრუქტურა;
- პოლიტიკა და მარეგულირებელი გარემო.

განვიხილოთ თითოეული მათგანის როლი ცოდნის ეკონომიკის განვითარებაში:

განათლება კვალიფიციური სამუშაო ძალისთვის - თანამედროვე პერიოდში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უწყვეტი გაუმჯობესების პროცესი სულ უფრო მეტად ეყრდნობა ცოდნისა და ახალი იდეების გამოყენებას. როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნის

გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე და მის მამოძრავებელ ძალაზე შრომა არის ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორი. ზოგადად, ნაკლებად განსწავლული, დაბალკვალიფიციური შრომითაც შეიძლება წარმატება მიაღწიოს ამა თუ იმ საწარმომ და შეიტანოს თავისი წვლილი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მატერიალურ ნაწილში, თუმცა წარმოუდგენელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლისთვის საჭირო ისეთი ფუნდამენტური დარგების განვითარება, რომლებიც ინოვაციურ, გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოდელი ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის წყაროდ მხოლოდ მაღალკვალიფიციურ, ადაპტირებად მუშაკებს განიხილავს, დაბალკვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნა კი სულ უფრო მეტად მცირდება.

კვალიფიციური მუშახელი სინამდვილეში უფრო მეტ ღირსებას გულისხმობს ვიდრე უბრალოდ განათლების დონე და კარგი უნარების ფლობაა. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

- კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვის შესაძლებლობას, როგორც ზეპირად, ისე არავერბალური სახით. აგრეთვე, მოსმენის, წაკითხვისა და გააზრების კარგ უნარებს;
- კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრის უნარი გულისხმობს ინოვაციურობას, კრეატიულობას, რთული სიტუაციებიდან გამოსავლის პოვნას, არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებას;
- რესურსების მდგრადი გამოყენების უნარი, რაც ხელს უწყობს პროდუქტიულობის ზრდას და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას;
- თვითგანვითარების უნარი, რომელიც უმნიშვნელოვანესია ცოდნის ეკონომიკის განვითარებისთვის. იგულისხმება დისციპლინის, პასუხისმგებლობის გრძნობის, თვითრეალიზების, კოლეგიალურობის, თვითშეგნებისა და სხვა ისეთი პიროვნული უნარების განვითარება, რომლებიც ცოდნის ეკონომიკის დანერგვა-განვითარებას შეუწყობს ხელს;

- ადამიანის უნარი, ჩაერთოს გლობალური ცნობიერების ამაღლების ხანგრძლივ და უმნიშვნელოვანეს პროცესში. აღნიშნული აფართოებს ადამიანის თვალსაწიერს და უზრუნველყოფს ისეთი უნარების ჩამოყალიბებას, როგორიცაა სოლიდარობა, პატივისცემა, არაძალადობრივი კონფლიქტის აღმოფხვრა, ურთიერთდამოკიდებულების მიმდებლობა და სხვ.

როგორც ვხედავთ, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელი განათლებული სამუშაო ძალა გულისხმობს არა უბრალოდ რომელიმე დარგში გათვითცნობიერებულ და დასპეციალიზებულ ადამიანებს, არამედ მათ სწორად ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობასა და პიროვნულ უნარებს.

მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაციები - ყოველ ქვეყანას აქვს ეროვნული ინოვაციების სისტემა, რომელიც უფრო დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის ინოვაციების კუთხით ქვეყნის პოტენციალის შესახებ. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოდელში თითოეული დასაქმებული მოწოდებულია რომ არა უბრალოდ შეასრულოს თავისი სამუშაო, არამედ მუდმივად ეძიოს ახალი, უკეთესი მომავლის განვითარებისთვის საჭირო ინოვაციური მომსახურება, ტექნოლოგიები თუ სხვა საშუალებები, რაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას შეუწყობს ხელს.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის (ICT) განვითარება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და საზოგადოებისკენ სვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. KBE-ის მრავალი მახასიათებელი ჩამოყალიბდა და განვითარდა ICT-ის სწრაფი განვითარებისა და მზარდი გამოყენების შედეგად, რადგან ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ადგილობრივი და უცხოური ცოდნის გლობალურ დონეზე აღმოჩენას, შეძენას, შენახვასა და ეფექტიან გამოყენებას. ცოდნაზე დაფუძნებული განვითარება (KBD) ეყრდნობა ეფექტიანი ქსელების, ურთიერთკავშირების გავრცელებას ქვეყანაში და ასტიმულირებს ქვეყნის გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას;

პოლიტიკა და მარეგულირებელი გარემო - ყოველი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში დიდი ადგილი უჭირავს მარეგულირებელ გარემოს და რეგულაციების შინაარსს. მარეგულირებელი გარემო არის გადასახადების, წესებისა და კანონების

ერთობლიობა კომპანიებისა და მომხმარებლებისთვის სამართლიანი და ეფექტიანი ბაზრის უზრუნველსაყოფად. ეს შეზღუდვები შექმნილია სამთავრობო უწყებების მიერ, ეკონომიკის სხვადასხვა საკითხების საზედამხედველოდ. მთავარი კი ისაა, რომ შეზღუდვათა ნაკრები იყოს სამართლიანი და კონკრეტული ქვეყნის განვითარების ხელშეწყობისკენ მიმართული.

ამრიგად, საქართველოს, როგორც განვითარებადი, მომხმარებლური ხასიათის ეკონომიკის მქონე ქვეყნის მთავარ ამოცანას ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის დანერგვა და კონკურენტუნარიანობის ზრდის უზრუნველყოფა წარმოადგენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა გულისხმობს ცოდნის, როგორც ძირითადი ინსტრუმენტის გამოყენებას ქვეყნისთვის ახალი ეკონომიკური სარგებლის მისაღებად ან უკვე არსებულის მაქსიმიზაციისთვის, რაც ახალ შესაძლებლობებს უქმნის მას. ზოგადად, ნებისმიერი პროდუქტის შემთხვევაში, მისი გახარჯვის შედეგად მიიღება ეკონომიკური სარგებელი. ცოდნა, თუ მას განვიხილავთ როგორც პროდუქტს, არის ერთადერთი, რომელიც არ იხარჯება და სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი იზრდება არა მისი, „გახარჯვის“, არამედ დაგროვების შედეგად. ცოდნის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება არის ის, რომ არ ჰგავს სხვა საზოგადოებრივ საქონელს, რომელთა გამოყენებაც ერთი პირის მიერ, უზღუდავს მასთან წვდომას დანარჩენებს. ცოდნის, როგორც პროდუქტის ღირებულების შეფასება მეტად რთულ, შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენს, რადგან ის ორდინალური პროდუქტისგან სრულიად განსხვავდება თავისი არსით, ბუნებითა და დანიშნულებით. ცოდნის პრივატიზება ამცირებს ნაყოფიერებას, ცოდნის გაზიარება კი პირიქით, ამაღლებს მას (Gorz, 2004, p. 65). ინფორმაციულ საზოგადოებაში, რომელშიც ცოდნა ყველაზე ღირებული სიმდიდრეა, უმნიშვნელოვანესი ელემენტი დამატებული ღირებულების მიწოდებაში არის ცოდნის უნარებად გადაქცევა (Mortazavi, Bahrami, 2012, p. 282), სწორედ ამიტომ ძალიან რთულია ცოდნის ისე გამოყენება, რომ მან ეკონომიკური ზრდა და განვითარება უზრუნველყოს. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის წყაროს წარმოადგენს ე.წ. ცოდნის ინდუსტრიები რომელთა წარმატებით ფუნქციონირებაც მოითხოვს მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ადამიანების სიმრავლეს.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნისთვის ახალ, ინოვაციურ შესაძლებლობებს, ტექნოლოგიურ პროგრესსა და კვალიფიციური სამუშაო ძალის ზრდას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკას განვითაროს წარმოება და შეამციროს მოხმარებაზე დამოკიდებულება. ცალკე საკითხია ის, თუ დროის რა პერიოდს მოითხოვს საქართველოს ეკონომიკის ამჟამინდელი მოდელის ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოდელზე ტრანსფორმირება. დღევანდელი რეალობიდან და ცოდნის ბუნებიდან გამომდინარე საკმაოდ ხანგრძლივ, გრძელვადიან პროცესს უნდა შეეჭიდოს ქვეყანა. ამ პროცესში ყველაზე დიდი როლი მთავრობის მიერ განხორციელებულ პოლიტიკასთან ერთად მოსახლეობის დამოკიდებულებას, მათი განწყობას აქვს, რადგან არ აქვს მნიშვნელობა არც მთავრობათა ცვლილებას და არც დროის ხანგრძლივობას მაშინ, როდესაც მოსახლეობას აქვს ჩაუქრობელი ჟინი - მიაღწიოს უკეთეს მომავალს, რომლის გარანტიც არა ისეთი ცვალებადი აქტივები, როგორიცაა საზღვარგარეთიდან შემოსული გრანტები და ინვესტიციები, არამედ ცოდნა და მასზე დაფუძნებული წარმოების ზრდა იქნება.

დასკვნები და რეკომენდაციები

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდის უზრუნველყოფაზე. ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, როგორც მთლიანად ეკონომიკის ჯანსაღ ფუნქციონირებას, აგრეთვე ამავე ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეს, რაც ნებისმიერი ქვეყნის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს.

პოსტკომუნისტური ქვეყნები იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფექტიანად გაატარეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთვის საჭირო პოლიტიკა დაიყვნენ ლიდერ და აუტსაიდერ პოსტკომუნისტურ ქვეყნებად. აუტსაიდერი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერს ნეკროეკონომიკა და რეტროეკონომიკა წარმოადგენს. „ნეკრო“ იგივე მკვდარი ეკონომიკა, ხოლო „რეტრო“, როგორც მოძველებული, „წარსულისკენ მიპყრობილი“ ეკონომიკა, რომელიც გულისხმობს საქონლისა და მომსახურების წარმოებას მოძველებული ტექნოლოგიებით, ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის ჯანსაღ ნაწილს ფუნქციონირებაში, რაც მათი აღმოფხვრის გარდაუვალ აუცილებლობაზე მეტყველებს.

მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში გამოკვეთილია საქართველოს ეკონომიკის მომხმარებლური ხასიათი. აღნიშნული გაუმართლებელია ისეთი ქვეყნისთვის, რომელშიც რეალური ეკონომიკა ნაკლებად ვითარდება, რადგან შედეგად საერთაშორისო ვაჭრობაში იმპორტის წილის მნიშვნელოვან ზრდას და საგარეო სავაჭრო სალდოს დეფიციტის კიდევ უფრო გადიდებას ვიღებთ. ეს უკანასკნელი წარმოადგენს შემაფერხებელ ბარიერს მთლიანი ეკონომიკური სისტემის, მისი კონკურენტუნარიანობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის.

საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე დაამყარა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება მივიჩნიოთ ევროკავშირთან, როგორც გაერთიანებასთან, რომლის წევრობაც ქვეყნის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს და

ჩინეთთან, როგორც მსოფლიოს სიდიდით პირველი ეკონომიკის მქონე, ძლიერ, უდიდესი სავაჭრო ბაზრის მქონე ქვეყანასთან ურთიერთობების გაღრმავება.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა ცხადყოფს, რომ ისეთი პოზიტიური მოვლენებიც კი, როგორიცაა განვითარებულ ქვეყნებთან მიღწეული საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები, შეიძლება იქცეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებლად, თუკი მათი გამოყენება მოხდება არასწორი მიმართულებით, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაში გაზრდილი მოთხოვნით, და არა წარმოების სტიმულირებით მოხდა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასთან შედარებული განვითარებადი ქვეყნების მაღალი ეკონომიკური ზრდა მხოლოდ მაშინ არის რეალური, როდესაც გათვალისწინებულია „მკვეთრი ზრდის ეფექტი“ და მისი გამორიცხვის შედეგად მიღებული ცვლილებები. განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა ხშირ შემთხვევაში „თვალისმომჭრელად“ მაღალია და იქმნება იმის ილუზია თითქოს ამ უკანასკნელთა ეკონომიკური ზრდა რეალურად აღემატება უფრო დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკურ ზრდებს.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის მნიშვნელოვანია საზღვარგარეთიდან შემოსული ფულადი სახსრების, კერძოდ კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ისეთი სექტორების განვითარებისკენ მიმართვა, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ ქვეყნის გრძელვადიანი, მდგრადი ეკონომიკური ზრდა. საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი სექტორებია: ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირება, სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, ტურიზმი და ჰიდროენერგეტიკა. სამწუხაროდ, აღნიშნული სექტორების განვითარებისკენ დაფინანსება ნაკლებად არის მიმართული, თუმცა საქართველოს ეკონომიკა მიმდინარე საუკუნის მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან მაღალი ტემპით ვითარდება. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ნაკლებად აღინიშნება, რაც ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია არა უბრალოდ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, არამედ მიზეზები, რომლებიც აღნიშნული ზრდას განაპირობებს.

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის უმნიშვნელოვანეს ბერკეტს წარმოადგენს. ასეთ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც აქვს უნიკალური შესაძლებლობა გამოიყენონ ეს უპირატესობა და გახდნენ სხვადასხვა ქვეყნის დამაკავშირებელი ხიდი ვაჭრობასა, თუ სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში. თუ ვისაუბრებთ საქართველოზე, გეოპოლიტიკური კუთხით მისი როლი უმნიშვნელოვანესია მთელი ცენტრალური კავკასიის მასშტაბით. შესაბამისად, საქართველო წარმოადგენს ცენტრალური კავკასიის ქვეყნების „სატრანსპორტო დერეფანს“ და „ენერგეტიკულ ხიდს“, რაც ქვეყნის არა მხოლოდ რეგიონული არამედ, საერთაშორისო ეკონომიკური მნიშვნელობის განმსაზღვრელია. მიმდინარე პერიოდის დღის წესრიგში დგას საქართველოს, როგორც „შუა დერეფნის“ გააქტიურების საკითხი, რაც მომავალში ქვეყნის რეალური ეკონომიკური წინსვლისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის ოპტიმისტურ განწყობას კიდევ უფრო განამტკიცებს.

სადისერტაციო ნაშრომში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით მთლიანი სამამულო პროდუქტის დინამიკისა და ამავე მაჩვენებლის სამომავლო პროგნოზებზე დაყრდნობით, გამოვლინდა რომ ბალტიისპირეთის და სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გვევლინებიან ე.წ. ლიდერ ქვეყნებად, რომელთათვისაც ხსენებული მაჩვენებლები წლების განმავლობაში მკვეთრად იზრდება, ხოლო ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონის ე.წ. აუტსაიდერი ქვეყნების შემთხვევაში ზრდა გაცილებით ნელი ტემპით მიმდინარეობს.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ შემუშავებული და განსაზღვრული ხუთი პერიოდის მიხედვით (გვიჩვენებს თითოეული პოსტკომუნისტური ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ცვლილებას საბჭოთა კავშირის დაშლიდან 21-ე საუკუნის მესამე ათწლეულის მიწურულამდე) და მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალო მნიშვნელობების გამოყენებით ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან ლიდერობენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, ხოლო ჩამორჩებიან, როგორც ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნები და ბელარუსი, ასევე სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნები.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტით, მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტის ანალიზმა საბჭოთა კავშირის დამლიდან დღემდე გვიჩვენა, რომ ეს მაჩვენებელი ხსენებული პერიოდის განმავლობაში მუდმივად იზრდება. აღნიშნული ზრდა ქმნის საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის აღმავალ „კიბეს“. საბოლოო ფაქტობრივ მონაცემებსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზებზე დაყრდნობით მიმდინარე საუკუნის მესამე ათწლეულის მიწურულს საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტი მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე გადააჭარბებს ყველა პოსტკომუნისტური ქვეყნის მაჩვენებლებს, გარდა - რუსეთის, ყაზახეთის და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა. მოცემული შედეგები ამყარებს საქართველოს კონკურენტუნარიანობის ზრდის თაობაზე წარმოქმნილ ოპტიმისტურ განწყობას.

მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული აგრეთვე ქვეყნის თანაზომიერი განვითარების, როგორც ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორის მნიშვნელობა. განვითარებულ ქვეყნებში დედაქალაქისა და რეგიონის განვითარების უთანაბრობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ფონის დამამძიმებელი იშვიათად შეიძლება გახდეს, რადგან ქვეყნებს მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლებით აქვთ უამრავი რესურსი იმისთვის, რომ დათრგუნონ აღნიშნული უთანაბრობისგან გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები. რაც შეეხება, განვითარებად ქვეყნებს, დედაქალაქსა და რეგიონს შორის მაღალი არათანაზომიერი განვითარების შემთხვევაში, თითქმის შეუძლებელია იმ უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების თავიდან აცილება, რაც აღნიშნულ სხვაობას მემკვიდრეობად მოჰყვება.

ქვეყნის თანაზომიერი განვითარება განაპირობებს ამავე ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლეობის დაბალანსებულ განაწილებას, რაც ძირითადად განვითარებული ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. მეტი თვალსაჩინოებისთვის, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია 15 პოსტკომუნისტური და 27 ევროკავშირის წევრი ქვეყნის დედაქალაქის მოსახლეობის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში ბოლო წლების მონაცემებით. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ დედაქალაქებში მთლიანი

მოსახლეობის ყველაზე დიდი პროცენტული წილი თავმოყრილია პოსტსაბჭოთა ხუთეულში, კერძოდ, სომხეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, ლატვიასა და ესტონეთში, რადგან ამ ქვეყნებში დიდია სხვაობა დედაქალაქისა და რეგიონის განვითარების დონეებს შორის, რაც შეეხება დედაქალაქში მოსახლეობის კონცენტრაციის ყველაზე მცირე პროცენტული მაჩვენებლების მქონე ქვეყნებს, აღნიშნულ ხუთეულს ევროკავშირის წევრი შემდეგი განვითარებული ქვეყნები იკავებენ: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, მალტა და კვიპროსი.

ქვეყნის დაბალანსებული განვითარების როლი მისი კონკურენტუნარიანობის ზრდაში საკმაოდ დიდია, სწორედ ამიტომ ნაშრომში, ქვეყნის თანაზომიერი განვითარების უფრო სრულყოფილი ეკონომიკური ანალიზისთვის, შემუშავებულია ტერიტორიულ ჭრილში გაანგარიშებული მთლიანი სამამულო პროდუქტისა და მოსახლეობის რაოდენობის გამოყენებით, ქვეყნის ეკონომიკის თანაზომიერი განვითარების შეფასების ინდიკატორები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია ქვეყნის შიგნით არსებული ნებისმიერი ორი ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური განვითარების დონის ერთმანეთთან შედარება. აღნიშნული ინდიკატორები ნაშრომში გამოყენებულია, როგორც საქართველოს აგრეთვე მსოფლიოს სხვა ქვეყნების თანაზომიერი განვითარების შესაფასებლად.

აუცილებელია აღინიშნოს ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი. თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებიდან, გამოიკვეთა ორი გამორჩეულად თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყანა, გერმანია და კანადა, რომელთათვისაც თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების ოთხივე კოეფიციენტის მნიშვნელობა თითქმის ნულის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ დისბალანსი რეგიონისა და დედაქალაქის ეკონომიკურ განვითარებას შორის თითქმის არ არსებობს და მათი ეკონომიკური განვითარება ერთმანეთის ტოლია, ანუ თანაზომიერია. თუმცა, გერმანია თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დონით კანადასაც უსწრებს და მსოფლიოში ანალოგი არ ჰყავს. იგი ჩვენი კვლევის კუთხით იდეალური ქვეყანაა და წარმოადგენს თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების მსოფლიო ეტალონს.

თანაზომიერი განვითარების ჩვენ მიერ შემუშავებული კოეფიციენტები ნაშრომში გამოყენებულ იქნა საქართველოს დედაქალაქისა და რეგიონების განვითარების დონეებს შორის არსებული სხვაობის განსასაზღვრად. შედეგებმა ცხადყო, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება არათანაზომიერია და მისი დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონე არა მხოლოდ აღემატება რეგიონების განვითარების დონეს, არამედ ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონესაც აჭარბებს. ეს ფაქტი კიდევ უფრო ასტიმულირებს რეგიონის მოსახლეობის შემცირების ხარჯზე დედაქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობისა და დემოგრაფიული დისბალანსის ზრდას.

ნაშრომში აგრეთვე გამოვლენილია საქართველოს რეგიონების განვითარების დონეებს შორის არსებული განსხვავებები, რომლისთვისაც ასევე გამოყენებულ იქნა თანაზომიერი განვითარების ჩვენ მიერ შემუშავებული კოეფიციენტები. შედეგებმა აჩვენა რომ უპირატესობა თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების კუთხით სხვა რეგიონებთან შედარებით აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას, მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთს, რაც ძირითადად გამოწვეულია ამ რეგიონებში მოსახლეობის მაღალი კონცენტრაციით და ეკონომიკური აქტიურობის შედარებით მაღალი დონით.

ამრიგად, იმისათვის რომ პოსტკომუნისტურმა, განსაკუთრებით კი აუტსაიდერმა ქვეყნებმა მიაღწიონ ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მაღალ დონეს, ამ ქვეყნებში უნდა განხორციელდეს დღეისათვის არსებული მდგომარეობის შესაბამისი თანმიმდევრული და მიზანმიმართული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა. რაც შეეხება რეკომენდაციებს, რომლებიც პოსტკომუნისტური ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ზრდას შეუწყობს ხელს, მოცემულ ნაშრომში განხილული საკითხებიდან გამომდინარე, ამგვარ რეკომენდაციებს წარმოადგენს შემდეგი:

- ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება - უზრუნველყოფს ქვეყნისთვის ახალ, ინოვაციურ შესაძლებლობებს, ტექნოლოგიურ პროგრესსა და კვალიფიციური სამუშაო ძალის ზრდას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკას განავითაროს წარმოება და შეამციროს მოხმარებაზე დამოკიდებულება;

- ნეკროეკონომიკის ტყვეობიდან თავის დაღწევა - ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის აუცილებელია ეკონომიკის ჯანსაღად ფუნქციონირება, რასაც ნეკროეკონომიკა ეწინააღმდეგება. მის აღმოსაფხვრელად აუცილებელია კერძო ინვესტიციების ხარჯზე შექმნილი კერძო სექტორის განვითარებისა და ქვეყანაში ახალი ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;
- რეტროეკონომიკის მინიმიზაცია, რისთვისაც უპირველეს ამოცანას ე.წ. „ტექნოლოგიური ხაფანგიდან“ თავის დაღწევა წარმოადგენს, რაც გულისხმობს გარკვეული ფირმების არჩევანს დაბალეფექტიან ტექნოლოგიურ წარმოებაზე. აქცენტი უნდა გაკეთდეს მაღალტექნოლოგიური წარმოების დანერგვა-განვითარებაზე, აღნიშნულის განხორციელებაში კი მთავრობის როლი გადამწყვეტია;
- წარმოების ზრდის ხელშეწყობა - საქართველოს ეკონომიკის მომხმარებლური ხასიათიდან გამომდინარე სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების დიდი ნაწილი იმპორტულია, რაც ეკონომიკის განვითარებას აფერხებს. კონკურენტუნარიანობის მაღალი დონისა და ეკონომიკური ზრდის მისაღწევად საჭიროა განვითარდეს წარმოება. წარმოების განვითარების საწინდარია სხვადასხვა სექტორისა და დარგის გამოცოცხლება, რაც ქმნის ახალ შესაძლებლობებს სამუშაოს მაძიებლებისთვის. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია წარმოების განვითარებისკენ გადადგმული სწორი ნაბიჯები, როგორც ტექნოლოგიური წინსვლისა და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების კუთხით, ისე იმ ადამიანთა კვალიფიციური მზაობა, რომლებმაც უნდა შეძლონ მაღალტექნოლოგიური წარმოების ამოქმედება.

